

ელის ცალი ფრთა

ნათია შიჭინაძე

რომანი

რედაქტორი
მაიკო მიქაია

ყდის დიზაინერი
სოფო ბერაია

დიზაინერი
თეა მაისურაძე

პირველი გამოცემა, თბილისი 2021

© ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-83989-4

© All rights reserved

Editor in chief: **Maiko Mikiaia**

Cover design by: **Sopo Beraia**

Technical Designer: **Thea Maisuradze**

Fb: ედას ცადი ფრთა

ძენ სხვა ხარ.

ძენ ძოვარის ძუფზე ძხის ჩასვლა ხარ.

ძენ ზღვის ნაპირებზე ქროლვარე ქვიძა ხარ.

ძიუყარე სიყთარი თავი და ძეციყარებენ



ოთახში რადიო იყო ჩართული, გარეთ წვიმის ხმა
ყურადღებებს ფანტავდა. vino dulce-ს გემო მოტკბოდ და-
თამაშობდა ტუჩებზე. დიდ თოვლში ჭეშმარიტებასავით
მოიკლაკნებოდა სიბნელის შვილი – დიდებული სევდა.

ახალბედა

ასე დაიწყო ეს ყველაფერი. განათლებულის რა მოგახსენოთ, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასე თუ ისე ვერთვებოდი პატარ-პატარა მიღწევებით. ჩემი ცხოვრებაც ეს იყო, როგორც კი ხალხის მოსაწონს გავაკეთებდი, მაშინვე ჩემი ძილიც ტკბილი და მეტად ხანგრძლივი ხდებოდა. დედა ხშირად მეუბნებოდა – ბედნიერება თავისით არ მოდის, ჯერ უბედურების მწარე ბილიკია გასავლელი, მოთმინებაა მთავარიო. მეც თვალს ვაყოლებდი იმედებით მოპირკეთებულ ბილიკს და ვტკებოდი მომავლის ზრახვებით. ვითმენდი და ჩემი წილი წარმატებისკენ ნელი ნაბიჯებით მივიწვევდი.

ამ სოფელში უნდა წამოვსულიყავი, როგორც ახალბედა ჟურნალისტი, ფსიქოლოგიურად სანდო პიროვნება და გამოსაცდელი ვადით აყვანილი მომუშავე პირი. მახსოვს, მაშინ სიახლეებისკენ მამაცურად სწრაფვა ერთადერთი გზა იყო თავის გამოსახენად და დაუფასებელი ნიჭის გამოსამჟღავნებლად.

განათლების მხრივ ეს სოფელი, შეიძლება ითქვას, ჩამორჩენილად ითვლებოდა, ამიტომ ჩემი რალაც მიღწევებიდან მიღებული ცოდნით სიახლეები უნდა შემეტანა. მახსოვს, კარგად დამარიგეს ჭკუა, ვინმე ფეხს რომ იღრძობს, სიტყვით მოუტეხე და გაზეთისთვის გაამზადეო, ან ბავშვს თუ წამოარტყამს მოხუცი ჯოხს, არ დაგეზაროს და ორ მეტრიანი ფსიქოლოგიური მოდელი დაგვიხატე ხანდაზმულთა წრისო. წრისო? ეს წრეები ჩემთვის დიდ სამკუთხედს ხაზავდა, ერთი რამ კი ნამდვილად ვიცოდი, ენა და სიტყვა სწორ ხაზზე დიდ „იამკებს“ წარმოშობდა. წარმატება თავისით არ მოდის, ცოტა ინტრიგა, ცოტა იუმორი, ნაკლები სიმორცხვე და საკუთარი თავის სიყვარული – აი, რა არის მისი საიდუმლო, მაგრამ ვიყავი ამ საიდუმლოს გასადებების მორგებისთვის მზად? საკუთარ თავს ვახსენებდი, ბავშვობაში სხვა ფეხს რომ იღრძობდა, მე წამოყენებაში უნდა დავხმარებოდი, ახლა კი... ადამიანები იცვლებიან, ალბათ კარგიც არის, მაგრამ ამ დროს ბავშვური სიკეთე არ უნდა დაკარგო, არ უნდა დაუდო ლანგრიტ დროებით მოსულ საზოგადოებას. აი, იმ საზოგადოებას, შენ რომ რამე დაგჭირდება, დამალობანას თამაშს

რომ იწყებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარეზე არაფერი მქონდა გაგებულნი, დიდი ინტერესითა და ხალისით წამოვედი ჩემი ძველი ნივთებით. ძველი იყო, მაგრამ ძვირფასი, ალბათ მიმიხვდებით, სიახლეების დამწერგავი ასე რატომ ვარ გადაკლული ამ ძველმანებზე, – ჩემი წარსულია, მეტად მნიშვნელოვანი ამბებიდან მოვიპოვე. ბავშვობიდანვე მე ისინი შევისწავლე, ჩავილაგე და მტვერდაუდებელ მოგონებებად ვაქციე.

გაზეთისთვის ყოველკვირეულად ახალი ინფორმაცია უნდა მიმეწოდებინა მოსახლეობის ეკონომიურ მდგომარეობასა თუ ყოველდღიურ ყოფაზე, როგორ იცვლებოდა მათი განათლება ჩემი ჩასვლის შემდეგ. პოლემიკა უნდა გამემართა, აღფრთოვანება გამომეწვია და ინტერესი გამედვივებინა. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი რაიმეს შეცვლა გახლდათ, რადგან მათთან ცვლილების შეტანას გმირობა და დიდი გამბედაობა სჭირდებოდა. ჰოდა, მეც არ დავიზარე.

წარმოვიდგენდი ხოლმე ჩემს თავს გაზეთის პირველ გვერდზე წარწერით „შენ ჩვენი გმირი ხარ!“ ალბათ დედაც იამაყებდა.

მატარებელი დილით გადიოდა. ჩემი ჩემოდნით სადგურში ჩამოვდექი. დილის სიცივე მედებოდა კანზე, რაღაც ოცნებების სურნელი დამტრიალებდა. მეგონა, თეთრი კედლების სამფლობელოში მივდიოდი, სადაც ყველაზე დიდ გიჟს ყველაზე დიდ ოთახს აძლევდნენ. უცხო იყო ჩემთვის სოფლის მორალი, მარტო ის ვიცოდი, დაგეგმილი იდეები მათი გონებისთვის ოსტატურად უნდა მომეხვია, ურჩები დამემორჩილებინა და ჟურნალისტური ლოგიკით, რაც არის და რაც არ არის, ყველაფერი უნდა გამეერთიანებინა ქალაქელი, დაბაბიანი ვირთხებისთვის. მე ყოველთვის მინდოდა იქ მისვლა, სადაც არ მელოდნენ და იქ სუნთქვა, სადაც ყველა ერთად სუნთქავდა. ეს სურვილი კი ბოლო კვირა გაიპარა უსახელო კარებიდან. დიახ, დიახ, ასეა! ადრინდელი სურვილები მაშინ ვიხდება ადამიანს, როდესაც ისინი უკვე სადღაც მიმალულები და დაობებულები ახლებს ელიან.

გზაში უჩვეულო სილამაზე ვიხილე, მატარებელი უფლისწულივით ნელა და ამაყად მიდიოდა მეფობისკენ.

არ დავმაღავე და ვიტყვი, რომ აქაურობამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ ყველაფერს მე გაზეთის გარეშე ჩემს ბავშვობის დროინდელ დღიურში ვწერდი, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე ფურცელი მქონდა სავსე თავგადასავლებით თუ ბანაკის ამბებით. მეც ცარიელ ფურცლებს დავუწყე ბლაჭენა, ვწერდი და ვწერდი, სარგებლის მომტანი მაინც უნდა ყოფილიყო ასი კაციდან ერთისთვის, იმისთვის, ვინც ზუსტად ამოიცნობდა გარემოს, მიხვდებოდა ჩემი გულის გამოძახილსა და არ დანებდებოდა. დიას, მთავარი ეს იყო – ბრძოლა.

ეს ადგილები ბუნებას უსაზღვრო სილამაზითა და მიმალული სინაზით დაუჯილდოვებია, აქ ზამთარიც კი ახლად გაფურჩქნული ქალიშვილის კანს ჰგავდა, წმინდა და სათუთი თრთვილი ედო ბალახსა და ხეებს.

თეთრი ბაწრით მოქსოვილი მთები შეჭხაროდნენ გაზაფხულის მოსვლას, ჩრდილოეთით ყველაფერი სიხალისეს იძენდა. წუთიერი დაგვიანებაც კი შემოფოთებას გამოიწვევდა, გაზაფხულს ამ მიკარგულ ადგილში თავის წილი ტოტი უნდა ეპოვა. მთა-გორაკებს შეყინული სიმწვანე გამოეჩინათ და თითქოს სიამაყით სავსენი, შეხედეთ როგორ შევებრძოლეთ უხმლოდ ზამთარსო, მხრებგაშლილები ეგებებოდნენ უცხო მზეს.

ახლად მოსული თბილი მზის ირგვლივ ჟრიაშულით აღსავსე მდინარე მოიკლაკნებოდა. გაშლილ ხეებს მრავლად ახსოვთ მდინარეში ჩაღვრილი შიშით, ტკივილით, სიხარულითა თუ სინანულით სავსე ცრემლები, წამწამებთან ჩამოკიდებული უშნო ფერიებივით რომ იწყებდნენ დაგორებას, ვარდებოდნენ აღუვსებელი ამბორით და იფანტებოდნენ წყლის ზედაპირზე...

მაგრამ ამ ხეებს ყოველთვის ემახსოვრებათ ახლად მოსულ მზესთან ერთად წითლის დაბადება, შეუცნობლის, რომელიც ყველასთვის აუხსნელი წარმომავლობის ბუდიდან იყო, იმ ბუდიდან, რომელსაც ხშირად შლიან გრძელი, უხეში ხის ჩოხით, რათა არ დაიდონ ბინა, არ გამრავლდნენ და არ ავნონ.

ყველაფერი ახლად მოქცეული ანგელოზივით ღამაზი და საინტერესო გახლდათ, ირგვლივ არ არსებობდა არცერთი ცხოველი, არცერთი ფრინველი, რომელთაც არ აკვირდებოდა

ჩემი თვალები, არ იმასსოვრებდა და არ ოცნებობდა მათთან ყოფნაზე, მაგრამ აქ აუცილებელი ერთი რამ იყო, ფრინველს ფრინველად მინდოდა გავცნობოდი, ცხოველს – ცხოველად, გადამექცია ჩემი თავი მათნაირად, მეფრინა და მერბინა მათ გარშემო, მეგრძნო უშიშრად და კეთილად თავი. მაგრამ გულს უფრო სხვა რამ უნდოდა, ალბათ მათთან ყოფნა ჩემს დიდ პასუხისმგებლობას მოხსნიდა. სილამაზის მიუხედავად, სოფელში ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა რაღაც, რასაც ვერ ვიტანდი, რასაც ვერ ვეუბოდი. ეს ჯერ ადამიანად არქცეული არსებების თვალები იყო, მეტად ბოროტები და უხეშები ჩანდნენ. ვერიდებოდი და გულში ვფიქრობდი, „რა დაუშავეს შემქმნელს ასეთი, უბედურად რომ არიან, ასე რომ დასტირიან ყველაფერს...“

უნდა ვაღიარო, რომ ჩემს პროფესიასთან შეუფერებლად ვიქცეოდი, მეტად მორცხვი და დინჯი გავხდი. სადმე რამე თუ ხდებოდა, ვცდილობდი იქიდან წავსულიყავი, შორიდან მედევნებინა თვალი და შემდეგ შელამაზებულად ან თუნდაც გაზვიადებულად ჩამენიშნა მომავალი გაზეთის გვერდისთვის. ახალბედას კვალობაზე ძალიან მოსწონდათ ჩემი ნაწერები, ისეთი სათაურებიც მქონდა მიწერილი, ვისკზე დახარბებული საზოგადოება რომ გადაავლებდა ნახევარ გვერდს ცალ თვალს, საეჭვოდ შეხედავდა სათაურს და ირონიულად ჩაიციინებდა. დირექტორსაც მეტი რა უნდოდა, ეს იყო მისი გეგმა. სათაურები ხშირ შემთხვევაში ასეთი იყო: „არც ისე მოკრძალებული დახვედრა ჩრდილოეთში“, „ყაჩაღობა და ბავშვობა აქ მსგავსია“, „ხურდაზე გაყიდული დილა“ და სხვა მრავალი არც ისე გაზვიადებული ფრაზა.

აქამდე ასეთი ადგილის არსებობას ვერც კი ვუშვებდი. დღითიდღე უფრო მეტად ვაკვირდებოდი და ვხვდებოდი ჩემთვის უცხო რეალობას, საეჭვოდ მიწუმებელი რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი „სროვა“ ყველა საზოგადოებაში რომ ყოფილა.

დააკვირდით თუნდაც იმ საღამოებს, ერთი შეხედვით ლამაზი რომ არის, იქაც მომრავლებულად არიან შურისმაძიებლად მომღიძარი მაყურებლები, რომლებსაც სიკეთის მიმართ არანაირი დამოკიდებულება არ გააჩნიათ. ბიზნესმენებთან, ვაჭრებთან, ოჯახის წევრებთან თუ უბრალო მებაღესთან საუ-

ბრის დროსაც კი მათი დიალოგები ერთი დიდი სპექტაკლი გახლავთ. უნიჭო როლებს ირგებენ და ავტორიტეტის გამო მსმენელს აიძულებენ ყური უგდონ. ღმერთო, რა საცოდავად იხლართებოდნენ თავიანთ გაშვებულ ქსელში, ბაბილონის გოდოლს დამსგავსებოდა ეს სადამოები. ერთად იყვნენ, მაგრამ ვერ გაეგოთ ნათქვამი, ისინი მხოლოდ ხორციელად ეტრფოდნენ თავიანთ ნაბოდვარსა და ნამოქმედარს. ჩემი ჩასვლიდან რამდენიმე დღეში, ერთ-ერთმა ვაჭარმა სტუმრად მიმიწვია თავისთან, ლატუნის შანდლების ბიზნესი ჰქონდა, მაგრამ მის სახელში ვერცერთი სასანთლე ვერ დავინახე.

– ლატუნის სამეული, ამას დღესდღეობით ფასი დააკლდა, მხოლოდ აქ, ამ სოფელში. მინდა გითხრათ, რომ საუკეთესო შანდლები მაქვს ჩრდილოეთში. ალბათ გაგებულიც გექნებათ ყველას. ეი, შენ, მოიტანე ყუთი, ოღონდ არ დაამტვრიო. გაფრთხილებ, შენი სულიც კი არ ეღირება მაგდენი! – ვაჭარი, ცხვირს ხშირად იფხანდა, მოსამსახურესაც უხეშად ესაუბრებოდა, მაგრამ თვალებში აშკარად ესახებოდა მის მიმართ გამოკვეთილი სიმპათია, როგორც ჩანს, ცოლს დალატობდა.

– აი, ბატონებო, ლატუნის სამეული, თავისი მარმარილოს დეტალებით. დღესვე ჩემი ხელიდან მივაწვდი იმას ამ შანდლებს, ვინც მეტყვის, რამდენი გადავიხადე ამ სახელში. – იცინოდა, ეტყობოდა ამით სიამოვნებას იღებდა.

სიჩუმე მოსალოდნელი ფრაზის მოლოდინში ჩამოწვა. მხოლოდ ერთმა, ბრბოდან ნაკლებად რომ იკვეთებოდა, თითი სწრაფად ასწია.

– შენ იცი, რამდენი გადავიხადე ამ სახელში? გისმენთ მოკრძალებით.

– იტყუებით!

ვაჭრის გაურკვეველი მზერა ბრბოში დაბოდიალობდა, ვერ გაეგო, ვინ ესაუბრებოდა.

– გამოდით, დამენახეთ, ყოვლისმცოდნე.

ბრბოდან არც ისე ლამაზად ჩაცმული ახალგაზრდა ბიჭი გამოვიდა, თვალებში ბოღმა და სიძულვილი აღბეჭდვოდა, შიში საერთოდ არ იგრძნობოდა. შემშურდა კიდევ მისი მამაცობის.

– ეგვიპტეში ნაპოვნ მონეტაში გაუცვალეთ ქადების მცხო-
ბელს ეს სახლი. მგონი იმ კაცს სხვა გზა არც ჰქონდა. რომ
არ მოეცა თქვენთვის სახლი, მაშინ დაუნგრევდით და გა-
უფასურებული მონეტაც სიმბოლურად მიუგდეთ, ასეა, ხო?
ჩრდილოეთით თქვენი შანდლები მხოლოდ ამ სოფელში
იციან, იმასაც კარგად ვხვდებით თქვენთვის ჩამორჩენილი
ხალხი, მარმარილოს დეტალებისგან სულაც რომ არ შედგე-
ბა ეს შანდლები. – ხალხში ჩოჩქოლი და გაურკვეველი საუ-
ბრები დაიწყო, ერთმანეთს ცნობისმოყვარედ უყურებდნენ.
შანდლებსაც უფრო კარგად დაუწყეს დაკვირვება.

– კარგით, არ მითხრათ, რომ ჩემი მტრისგან შემოგზავნი-
ლი ჯაშუშის გჯერათ, რომელსაც სურს ავტორიტეტი გამი-
ფუჭოს. იცით, მინდა დაგამწუხროთ, სპეკტაკლი ჩაგეშალათ.
– ძალით იცინოდა, კბილებს სასოწარკვეთილად აჩენდა და
შანდლებს თითებით ეფერებოდა.

– ტყუით!

– გაბრძანდით ჩემი სახლიდან, სასწრაფოდ! –

ბიჭი დაჟინებით აკვირდებოდა ყველას, შარვლიდან თეთრი
ცხვირსახოცი ამოიღო და ვაჭარს ფეხებთან დაუგდო, შემდეგ
კი აუჩქარებლად გავიდა. სიხარული და კმაყოფილება ეტყო-
ბოდა. ალბათ, საკუთარი მიზეზიც ჰქონდა სიტყვით გამოსვ-
ლის. ხალხის ნაწილი გაკვირვებული იყო, მაგრამ ზოგს კი
სახეზე ეწერა, თითქოს ეს ყველაფერი ამ საუბრის გარემეც
იცოდა. სხვისი სიმამაცის შემყურენი ჩემ თვალწინ ხმებოდ-
ნენ, ჭკნდებოდნენ და შესამჩნევად ემსგავსებოდნენ კისერ-
მოგრეხილ ყორნებს, რომელთაც ლეში შეჭმული და გამქრა-
ლი დახვდათ. ნეტა იცოდეთ, როგორი საბრალონი იყვნენ
სხვისი სიხარულის დანახვისას, წამში უჩნდებოდათ მოვლილ
თმაზე უხეში ჭადარა, დაუკმაყოფილებლობის დროს რომ
იცის გამოჩენა. სამწუხაროდ, მოკრძალებულად მინდა ვაღი-
არო, რომ ყველგან იყო ასეთი საზოგადოება, აქ კი ნამეტანი
მოსდებია ყველას შური და ბოღმა. ბიჭის გასვლის შემდეგ
ოთახში ორ ადამიანს ეტყობოდა კმაყოფილება, ერთი მე გახ-
ლდით, მეორე კი – მოსამსახურე.

ვაჭრის სახლიდან გასულს მომხდარი გონებიდან ვერ
ამომეგდო, რა საინტერესო იყო, ბიჭი რას ებრძოდა და რა

მიიღო. რამდენიმე სახლის გავლის შემდეგ, ვიწრო შესახვევში, ქვითინი გავიკონე. ბნელოდა, ახლოს რომ მივსულიყავი, შეიძლება მაშინაც ვერ დავენახე. კიბეებთან მჯდომი ქალი გაუჩერებლად ტიროდა, მას თავზე კი სწორედ ჩვენთვის ნაცნობი მამაცი ბიჭი ედგა. უფრო ახლოს რომ მივედი, შევაძინე ის თეთრი ცხვირსახოცი, რომლითაც ქალი ცრემლებს იწმენდა. ერთი ამოხედვაც და დავინახავდი ვინ იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ასეც მოხდა. ქალი, რომელიც კიბეებთან ტიროდა, მოსამსახურე იყო.

– გეყოფა, ნუ დარდობ ამდენს.

– ხო იცოდი, რომ მაგას ვერ აჯობებდი?! ახლა ვინ იცის, რა გეგმა აქვს, იქნებ მოგკლას კიდევ. აქედან უნდა წახვიდე, არ შეგარჩენს, არა.

– ჩვენ ხომ ოჯახი ვართ? მე შენი ძმა ვარ, არსად არ წავალ, არ მიგატოვებ, ჩვენ სახლს დავიბრუნებთ! –

ასეც ვფიქრობდი, მას აუცილებლად ექნებოდა პირადი მიზეზი, რადგან ის უბრალოდ დამწუხრებული მოქალაქე არ იყო იმ მოქოთქოთე ბრბოში, მას სახლი და და წაართვეს.

– აუცილებლად მოგკლავს, ვიცნობ, ასე არ დატოვებს ამ ყველაფერს, მისთვის მთავარი ავტორიტეტია.

– ჩემთვისაც. შენ ნუ ტირი, ადექი და შედი, ეცადე დაიძინო. მე რაღაც გეგმა მაქვს, ხვალ ისევ აქ მოდი ათის ნახევარზე.

სოფელი სავსე იყო დარდით, უსამართლობით, წუხილითა და უბედურებით. რამდენჯერ გაუტეხიათ თავი პურისმცხობელისთვის. წინა დღესთან შედარებით ხმელი და მოკლეა ეს შენი გამოცხობილი პურიო, ან თუნდაც რამდენჯერ წაურთმევიათ ხელეგამურული ბავშვისთვის ყველაზე პატარა და უშნო ვაშლი. ღმერთო, როგორ მინდოდა მივსულიყავი და ყველაზე დიდი, დაწითლებული ჩამედო მის შიმშილისგან უფრო დაპატარავებულ ხელებში. ღმერთო, როგორ მინდოდა არ ყოფილიყო ჩემი ნატვრა საჭირო.

მეგობრებო, მათი ყოველდღიური სიბოროტე ასეთი გახლდათ, შეიღები ჰყავდათ, მაგრამ ვერ აღეზარდათ, ცოლები ჰყავდათ – არ ზრუნავდნენ, მეგობრები არ ჰყავდათ და არც დარდობდნენ არავისზე, ფიქრები არ გააჩნდათ, არც კვდე-

ბოდნენ. მათი სიცოცხლე იუდას მეორე შანსს ჰგავდა, რამდენჯერაც ხელავდნენ ღვთის ნიშანსა თუ სასწაულს, მაინც არ თმობდნენ ეშმაკის მიცემულ განძს.

გაზეთში ამ ყველაფერს ნაკლებად ვწერდი, უფრო ზოგადად ვახასიათებდი მცირეოდენ პრობლემებს, რომელიც მათ მთავარ ბინძურ ნაყოფთან შედარებით სასაცილო გახლდათ. მე სხვა გზა არ მქონდა, რამე ხომ უნდა მიმეჯღაბნა. ეს დღიურიც უცბად ჩაგდებულნი წამალი აღმოჩნდა, მიჭირდა და ვწერდი და ვწერდი და კვლავ ვწერდი...

ვარსკვლავი და ნახევარმთვარე

მეორე თვე იყო, რაც სოფლის ბოლოს ვიწრო, მაგრამ კომფორტული ოთახი მქონდა ნაქირავეები. ჩემი გამოუსადეგარი თუ ხშირად გამოსაყენებელი ნივთები, ყველაფერი შეყრილი მქონდა.

სიმათლე რომ ვთქვა, მხოლოდ დასაძინებლად თუ მივდიოდი. მაგიდა მელნითა და დამდნარი სანთლის ნაშთებით იყო შელამაზებული. მიყვარდა, ძალიან მიყვარდა ჩემი დროებითი ოთახი. ფიქრების იმ ჯაჭვში წავედი, ხშირად რომ იცოდნენ თქმა, სახლი ერთია და გულიც იქ მიდისო. სახლი იქ ეგულება ადამიანს, სადაც თავს მშვიდად დებს და პრობლემებსაც, რომელიც დათვებად არიან გადაქცეულნი, ფუტკარივით, საგსე თაფლის ქილით ელოდება.

ერთი ჩვეული დღის ბოლოს, მოსაღამოვებულზე, შინ ვბრუნდებოდი. მეორე დღისით სოფლის მცხოვრებლებს ფერმებზე უნდა გავსაუბრებოდი, ამიტომ იმ დღეს გვიანობამდე არ მოვისურვე ხეტიალი. კარგად რომ დამძინებოდა, ქალაქიდან წამოღებული რამდენიმე ჭიქა ვარდის ლიქიორი დავლიე. ასე მჩვევია რთული დღეების დასასრულს. ეს საღამო ალბათ საუკეთესო ნაწილად არის მიჩნეული ჩემს ცხოვრებაში, რადგან ვარსკვლავი ვიხილე. არა, არ გეგონოთ, ამას რამდენიმე ჭიქაზე მეტი მოუვიდა სასმელიო, გულდამშვიდებულები იყავით, საუბარი მართლაც შეუდარებელ არსებაზე მაქვს. მეც ვიხილე, ერთმა უბადრუკმა, დაუპატიჟებელმა ნახევარმთვარემ თავმდაბლურად მოციმციმე, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი – ელა.

სწრაფი ნაბიჯებით და მიწისკენ დახრილი თვალებით მიიჩქაროდა უშნოდ გადაბმული სახლების ბოლოს. როგორც ჩანს, იქ ეგულებოდა საცხოვრებელი. ხელში მჭიდროდ ეჭირა ორი სქელყდიანი წიგნი. სიბნელეში ვერ გავარჩიე, მაგრამ მახსოვს, მოლურჯო სარაფანი ეკვროდა მის სხეულს. მეც დავიწყე შეუმჩნეველი გოგონას თვალიერება, თავიდან ფეხებამდე ვაკვირდებოდი. მოკლე, უხეში, ჟღალი თმა ჰქონდა, სქელი ღოყები და ჩამოგრძელებული ფოსოიანი ნიკაპი. აქამდე ჯერ ასეთი გარეგნობის არაეინ მენახა. ბევრი ქალი შეუმჩნევია

ჩემს თვალებს, ის სხვა იყო, მათგან შორს იდგა, სადღაც გალაქტიკების დასაწყისში, თავისი აბლანდური თმით.

მე ეს მაშინვე ვიგრძენი, დიახ, გავოცდი და ვიგრძენი, რომ მის წინაშე ყველა ნამდვილად არარაობა იქნებოდა. ფიქრებში გართულმა, უეცრად, მისი განათებული სახე ვიხილე. ვფიცავ ყველაფერს, უარესად გავბრუნდი... სიცოცხლე შენატროდა მას და არა პირიქით. სილამაზე მისი ჰგავდა ყვაველების გაფურჩქვნას ველზე, ტუნები მისი მიაგავდა ორ მთას, ნიკაპი მისი იყო მწვერვალი დაუპყრობელი, ლოყები მისი იყო უსასრულო გზა თვალებამდე, წამწამები კი გრძელი ტოტები მისტიკურ ტყეში, სადაც უსასრულოდ ეკიდნენ ფენიქსები, რომლებიც თითქოსდა ყოველ ცრემლში დახრჩობის შემდეგ, კვლავ უბრუნდებოდნენ ტანჯვის ადგილს. მუქი შავი თვალები კოსმიურ ხვრელებს მიუგავდა, დიდი და მყუდრო თავშესაფარი იყო გუგები მისი არარსებული მოგონებებისა, მკაცრ მზერას თან დაჰყვებოდა ჩამალული სითბო, რომელიც სისხლში მიმალული ყინულის დნობას ელოდა. მისი სულის საცხოვრებელი მეტად დიდი იყო, მზის სხივისთვის მიკარგული, სითბოსთვის ცივი, ხოლო გულისთვის უსიამოვნო. დაინახე და გაუგებარი არეულობა დაიწყო ჩემს თითოეულ უჯრედში. სახლი ჩემთვის უცხო კუთხე გახდა, მინდოდა გავყოლოდი, თუნდაც ეს უსასრულო ძილის ფასად დამჯდომოდა. გული მისკენ მირბოდა, ეს იყო ჩემი გარდასახვა.

ღმერთო, მაშინვე დავთმობდი ყველაფერს, რომ ჩაეგდო ჩემი თავი სულიერ არსებად, რომელსაც ერთი დანახვით შეუყვარდა აქამდე უცნობი, უიშვიათესი ყვაველი. ჩაიარა და გაუჩინარდა, ისე, თითქოს ჩემი თვალები თავის სულიანად არ წაეღო. მიიმალა და სიბნელემ დამალა ჩემი სინათლისგან.

მახსოვს, თეთრმა დარდმა როგორ გადაირბინა ჩემს ლოყებზე, დაბლა მთელი სისწრაფით ჩასრიალდა და მუცელში მწარედ შემოიჭრა. მაჭერდა და მაჭერდა თავის წვეტიან კუდს, ადგილს ვერ პოულობდა. გაუგებარი სიხარული და სევდა ერთად შემოაწვა ჩემს გახუნებულ აზრებს. ვფიქრობდი შემთხვევითობის ძალაზე, ასე უდროო დროს რომ აიხლართა სამყაროს კუთხეში და ამაფორიაქა თავიდან ფეხებამდე.

ბოლო ჭიქა რომ არ მომესვა, უფრო ადრე რომ წამოვსუ-

ლიყავი სახლისკენ, უფრო სწრაფად რომ გადამედგა ნაბი-
ჯები და თავსხმა წვიმაც გაუჩერებლად წამოსულიყო, ალბათ
მას ვერც შევხვდებოდი, ან დავინახავდი და ქოლგის ქვეშ
ამოფარებული გამეცლებოდა თვალის დახამხამებაში.

ასეა, ყოველი წვრილმანის არსებობა თუ არარსებობა
წყვეტს ჩვენს ბედს. ელა ჩემი შემთხვევა იყო, რომლის
გამოჩენის მიზეზი უნდა გამეგო.

ქალის პროგრეტი

მეორე დღეს, დილის დასასრულს, სწრაფი ნაბიჯებით და დაჟინებული მზერით გავეშურე სოფელში, ხალხის თქმით, ყველაზე გონებამახვილ ადამიანთან. მარგოს ეძახდნენ. შუახნის ქალი იქნებოდა, მაგრამ საკმაოდ ბევრი იცოდა, თავის წლოვანების მიუხედავად. სამი საუკუნის წინანდელი ამბებიც კი გადმოცემით დაეზეპირებინა და ამ დიდებით ამყოლობდა. მოლაპარაკე და დინჯი ქალი არისო და სანამ საუბარს არ დაასრულებს, იქამდე არაფერი ჰკითხოო, ასე დამარიგეს. შეპყრობილი ვიყავი, აუცილებლად უნდა მეპოვა კითხვებზე პასუხები.

მეც მისკენ გავეშურე გუშინ გამოცხადებული ანგელოზის ვინაობის დასადგენად მკაცრი მზერა მივიღე და ტანსაცმელიც, ადრინდელისგან განსხვავებით, სწორად ჩავიტანე. ვფიქრობდი, რაც უფრო დავანახებ ჩემს ძალას, უკეთესად ამიხსნის ყველაფერს, მეტყვის ვინ არის აქამდე ჩემთვის უცნობი გოგონა ქალაი თმით. კი, მაშინ მე ზუსტად ასე ვცნობდი მას.

ჩემი სახლიდან დაახლოებით ხუთას მეტრში ცხოვრობდა. სახლი და ეზო ლამაზად გამოიყურებოდა, უფრო სწორად რომ ვთქვა, სოფელში ჯერ ასეთი მდიდრული სახლისთვის არსად მომეკრა თვალი.

არც ისე ბევრი ფიქრის შემდეგ, სამჯერ სწრაფად და მოუთმენლად დავაკაკუნე. კარის უკან ნელი ნაბიჯები მოისმა. მივხვდი, მარგო მოდიოდა. გამომეტყველება გავისწორე და ორი ნაბიჯით უკან დავიხიე. კარიც გაიღო.

გამოჩნდა სწორედაც რომ გადმოცემით ნათქვამი შუახნის ქალი, მოვლილი გარეგნობითა და პრიალა პიჟამოთი.

– შენ ქალაქიდან გამოგზავნილი მჯღაბნელი ხარ, ხო? ჰაჰ, შემოდი, ბევრი დრო არ მაქვს.

იმედგაცრუებულმა სახე სწრაფად ავარიდე და კვლავ მას შევხედე. ჩემი მცდელობა უკვე წყალში იყო ჩაყრილი, ის მე მჯღაბნელად აღმიქვამდა, ამიტომ საუბარიც მეტად არასასურველი იქნებოდა, ეს კი ნამდვილად არ მინდოდა. არ

მსურდა, ჩემი თავი არასერიოზულ ადამიანად ჩათვალა და ყველაფერი აგდებულად მოეგდო. იმედი მაინც ციმციმებდა, არ დავაყოვნე და უღიმღამო სახით შევედი მის მოკრძალებულ სახლში. შევედი თუ არა, ვარდისა და დილის სურნელი ერთბაშად მეცა, როგორც ჩანს, ზედმეტად ბევრი სუნამო ჰქონდა დასხმული. ალბათ საკუთარ სურნელს ვერ იტანდა.

ვუყურებდი ქალბატონ მარგოს და მახსენდებოდა რამდენიმე წლის წინ ჩემს ძველ, მოგზაურ მეგობართან დიალოგი. კარგი ადამიანი იყო და დიდი ხანია მსოფლიოს დაუწყო თავისი ფეხებით დაპყრობა, ბევრი დაავადება გადაიტანა და ნაადრევად შეიმეცნა მსოფლიოს ავი თუ კარგი.

„სამხრეთ აფრიკაში მოგზაურობის დროს უჩვეულო რამ გავიგე. მსუქანი ქალები ბრბოსგან გამოყოფილები არიან, როგორც განსხვავებულები და ლამაზები. გაგიკვირდება და სხვა ქალები შურით უყურებდნენ. დიახ, არ მოგესმა. ცოტა უხერხულადაც ვიყავი, ჩემო მეგობარო, დავინტერესდი. მერე, ბევრი ყოყმანის შემდეგ, იქაურ ბიჭს ვკითხე და მიპასუხა, ისინი უფრო დანაყრებულებად გამოიყურებიანო და შესაშურადაც ჯანმრთელები არიანო. ხედები? უცნაურია, ხო? მაგრამ, შენ წარმოიდგინე, იმდენად ჩამითრია მათმა აზრებმა და ხედვამ, რომ ერთი წელი, რაც იქ ვიყავი, გამხდარი ქალი ლამაზად ვეღარ აღვიქვი.“

მარგო კი ალბათ დედოფალი იქნებოდა სამხრეთ აფრიკაში და სხვა მსუქან ქალებსაც გაუფუჭებდა ავტორიტეტს, მხოლოდ იმიტომ, რომ ის შინაგანად თვლიდა თავს განსხვავებულად.

შევატყვე, მიმიკები, თითოეული მოძრაობა იმის მომასწავლებელი იყო, რომ იგი სხვა, მისთვის უბადრუკ „გამხდრებს“ არ ჰგავდა და არც არასდროს დაემსგავსებოდა.

ასეთ ქალებს უმეტესად ქმრები არ ჰყავთ, რადგან ხშირ შემთხვევაში, სიზარმაცეს იწვევს მათი ზრუნვა, გამოკვება და გაზრდა. ასეთ ქალებს ურჩევნიათ, სუფთა თეთრეულში მხოლოდ საკუთარ გასქელებულ დაბაბს ეძინოს, ასეთებს არ სურთ ზედმეტი სადარდებელი, ასეთებს ყურის ბიბილოები უმეტესად დაგრძელებული და ჩამოწევილი აქვთ. შთაბეჭდილებას გიტოვებენ, თითქოს მათი სიბრძნის სიჭარბემ

გაწედა ასეო, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ დაუჯერებელი კონპლიმენტია.

შევედი თუ არა, მაშინვე დავხატე მისი ცხოვრებისეული სურათი. დიახ, ჩემი დაკვირვებული თვალები თითქმის მაშინვე სცნობდნენ ადამიანებს.

კედლის გაყოლებაზე მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სურათები ჩამოეკიდა, ერთი პოზა დაეჭირა. სიცილს ვიკავებდი, ნელა მივყვებოდი მის დიდ და გიგანტურ ნაბიჯებს, რომლებიც, ვაი რომ, ცხოვრებაშიც ვერანაირ კვალს ვერ ტოვებდნენ.

შემიპატიუა ოთახში, თან ეჭვის თვალით ამათვალიერჩამათვალიერა. ალბათ ჩემგან არასასიამოვნო სუნი ეცა. ეჰ, როგორ ვცდილობდი, ყველაფრის მიუხედავად, ამ გომბეშოზე კარგი შთაბეჭდილება მომეხდინა.

– ხო იცი, ჩემო კარგო, ყველაფერს ფული სჭირდება. ახალი ამბების გასაგებად თუ ხარ მოსული და გსურს ეს ყველაფერი შენს გაზეთში განათავსო, მე თანახმა ვარ, უბრალოდ, შენი ჯიბიდან რაღაც რაოდენობის ფული უნდა მოიკლო. – გადაიხარხარა ისე, თითქოს მთელი დღის ნაფიქრი მზაკერული გეგმა განახორციელა.

– ახალი ამბავი? იცით, აქ ერთ გოგონაზე სასაუბროდ მოვედი. არა, არ გეგონოთ, რაიმე პირადი განზრახვა მაქვს. უბრალოდ, ჩემი გაზეთისთვის მინდა, რაღაცაში წამეშველება. იმედია, მიმიხვდით.

მასსოვს, ბავშვობაში ტყუილს ვერ ვიგონებდი, ან თუ დავაპირებდი, აუცილებლად ქვემოთ უნდა დამეხედა და უაზროდ დამეწყო თმის ღერების თითებით გაცლა. ახლაც ასე მოხდა, ბავშვური თვისებები ჩემში უფრო და უფრო იღვიძებდა, რაც სწორედ რომ გრძნობების არევას და ქალის მოულოდნელად შეყვარებას ნიშნავდა.

– თქვენისთანა მოუცლელი კაცი ჩემთან გოგონაზე სასაუბროდ მოვიდა? ცოტა საეჭვოდ გაქვთ ამღვრეული თვალები. ახ, კარგი, კარგი მეც გამოვედი აქ ცნობისმოყვარე. აბა, მითხარი, ეგ ზოგადი რაღაც ვის ეხება? – ახლა შედარებით დაბალ ხმაზე გადაიხარხარა. მეც ამოვისუნთქე და საუბარი უფრო სერიოზული ტონით დავიწყე.

ერთი შეხედვით ღინჯი, სულ სხვა ადამიანად გარდაისახა, თითქოს ოთახის თითო კუთხეში ჯამბაზი ეყენა. გეგონებოდით, ყველა გახედვაში ახალ ხუმრობას იგებდა და შემაცბუნებლად იწყებდა კვლავ ხარხარს...

– ჟღალი გოგონას ვინაობაზე გაწუხებთ, ფულს არ ვზოგავ...
– ინტერესით დავიწვე დაკვირვება მის სახეზე, რომელიც ახლად გამომცხვარი ფუნთუშის მსგავსად გაფუებულიყო და გაცხელებულიყო.

მაშინვე შეეცვალა გამომეტყველება, უცნაურად აფორიაქდა და კალთაზე ხელები ნერვიულად დააწყო. ვატყობდი, ელას აღწერამ მასზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. მეც უფრო და უფრო დავინტრიგდი, ვფიქრობდი, რაც არ უნდა მოხდეს, არ მოვეშვები, ფულსაც იმდენს მივცემ, რამდენიც ენდომება.

– თქვენ ალბათ „წითურზე“ გაქვთ საუბარი. ელა ჰქვია. მაგას მასზე უარეს ბედზე გაჩენილმა დედამისმა დაარქვა ეგ სახელი. წვიმიან ამინდში ელვასავით იყო. ზუსტად ასეა, დიახ, დიახ! ჰო, საინტერესოა. არა, საინტერესო ის ქაღალტონი კი არ არის, თქვენი ცნობისმოყვარეობაა. არ იშლით და ნუ იშლით, იმ ჯოჯოხეთის მოციქულზე ბევრი რამ არც ვიცი, მაგით არ ვიფიქროვ. მასსოვს, ჩემი მეზობლის ბიჭი ყვებოდა, ბავშვობაში, მაშინ, როდესაც ყველაფერი მათთვის ლალი და ბედნიერი უნდა ყოფილიყო, ის წითელი, ნისკარტიანი მდედრი, მაშინაც კი სევდას იჩენდა. რას ვამბობდი, მეზობლის ბიჭმა მაშინ, ადრე, მოგვიყვა – მე და ჩემი ძმა მდინარესთან ვჭიდაობდითო, ვტკენდით და ვჩქმეტდით ერთმანეთსო. ხო, ისიც იქვე ყოფილა თურმე, დიდხანს იდგა. რომ აღარ ჩერდებოდნენ, მისულა. ხედავ რამდენი გაუბედავს? მისულა და დაუფვირია მაგათთვის: „ეი, თქვენ, რა გაქვთ განსხვავებული, ასე რომ ედავებით ერთმანეთს? თქვენ ხომ ასეთი კარგები ხართ, როგორ შეიძლება, ვერ ტკებოდეთ ცხოვრებით. თქვენ ხომ ნაკლიანები არ ხართო“. დიახ, არ მოგესმათ, მაგ უსირცხვილომ ზუსტად ასე უთხრა თავისზე უფროს ვაჟებს, გაპრანჭვა და კეკლუცობა ვისგან ისწავლა მაგ გაჩენილმა, არავინ იცის.

მაქედანვე მივხვდით, ვინც იყო. რას ჰქვია, კარგები ხართო! თან არც მოერიდა, ხმამაღლა შეაქო. ეგ მოსაშორებელი

იყო თავიდან, მე სულ ვამბობდი. ხო, იმედია, დარწმუნდით, რომ მაგაზე საუბარი და სიტყვების დახარჯვაც კი არ ღირს. მომეცი ფული და რაც გინდა, ის დაწერე მაგ გახუნებულ გაზეთში. – თმა ნერვიულობისგან ყალყზე დაუდგა, თეთრი ხორცები სულ დაუწითლდა და მრისხანედ დაიწყო ჩემი ჯიბისკენ ყურება.

– ასე რომ შეიზიზღეთ ელა, თუ ბავშვი იყო და თქვენ გაპრანჭვად ჩათვალეთ, იმის მერე ხომ საკმაოდ დიდი დრო გავიდა, ნუთუ არ პატიობთ?

– არც უთხოვია პატიება, რა უნდა ვაპატიო? ან ჩემთან როგორ უნდა მოვიდეს, იქნებ გადამდოს თავის სიწითლე. რომ არ დაგიმალო, იყო დრო, რომ მეცოდებოდა. ის ვითომ დედა რომ სცემდა და მერე ამ წითელსაც უარესად აწითლებულს რომ ვხედავდი, სიბრალულის გრძნობა შემომხევეოდა ხოლმე, ასე გრძლად. – თან ხელებით მიხსნიდა, უნდოდა დამეჯერებინა, რომ დიახაც, მარგოს ეს გრძნობა ერთხელაც განცდილი ჰქონდა. – ხო, მეც ადამიანი ვარ. ბოდიში, უფალო, შემეცოდა ეგ უზრდელი და თავხედი. მერე მალევე გადავიგდე გულიდან ეს არაფრის მომცემი გრძნობა. შენი სახელი? იცი, არ აქვს მნიშვნელობა, ნუ მეტყვი. უბრალოდ, დაიმახსოვრე, რომ არ ღირს ზოგჯერ გრძნობებს მისცე საკუთარი თავი. ხო, ჩაი გნებავთ? სულ დამავიწყდა შემოთავაზება.

მარგომ თავისი ცხოვრების ემოციური მომენტი გაიხსენა. დიახ, გაახსენდა და სიკეთის მარცვლები მიმოიბნა მის სტაფილოსფერ შუბლზე, რომლებიც ჩემ თვალწინ დასათესად მოკალათდნენ და ვნებიანად დაიწყეს ყურება. ქაღალტონი მარგო, რომელიც მე აქამდე მჯღაბნელს მიწოდებდა, გრძნობებზე საუბრის დროს თავაზიან და გულახდილ მარგოდ დამეხატა. დაიმახსოვრეთ, სანამ მარცვლები გორაობენ თქვენს ზედაპირზე, წყალიც მალევე მიაშველეთ სიცოცხლისა და ზრდისთვის. თუკი ფიქრობთ, რომ ასოცი წლის ხართ და ეს უვარგისი მარცვლებიც მალე თქვენთან ერთად დაიმარხებიან, კი ბატონო, იფიქრეთ ასე, მაგრამ გახსოვდეთ, მარცვლების ჭეშარიტება სწორედ რომ მარადიულობაა. გამჭვირვალე ფესვებსაც ამოუხეთქავს შავი მიწის ზედაპირი, ასეა! ეს ის ფესვებია, რომლებიც თქვენს სადიდებლად ყოველთვის დაუწყებენ გრიგალს მამაცურად ბრძოლას!

აზრები ხვეულ თმასავით მოკალათდნენ ჩემს გონებაში. ღამაზი, ოქროსფერი კულულები გზებს მიშლიდნენ ბოროტი, მაგრამ ყველაზე კეთილი ადამიანებისკენ. იქნებ ყველაზე რთულ დროს ყველაზე საჭირო სიტყვები სჭირდებათ გზააბნეულ ადამიანებს, რომ საბოლოოდ მიხვდნენ, რა სურთ მათ გულებს. ხშირად ხელისგულებით ძლიერი ბიძგი გვინდა, რომ ჩვენი ხელების შესაძლებლობები ვირწმუნოთ. ელას დარდი ყველას დარდში აფეთქებულიყო. ყველას უჭირდა, როცა თითქოს ულხინდათ, ყველას ეტირებოდა, როცა თითქოს იცინოდნენ. იქნებ ის ჯამბაზებიც ჩამოღვენთილი სახეებით იღვნენ, იქნებ მარგო ყველაზე უბედური იყო სოფელში?

უცბად კვლავ სადღაც გაუჩინარდნენ მისი სიკეთის მარცვლები, სახეც ირონიული გაუხდა.

– დაწყველილია ეგ! ჯობია შეეშვა, არ ღირს მაგასთან საქმის დაჭერა...

ეჰ, როგორ ამოვიცანი მაშინვე მარგოს შური და რისხვა ელას მიმართ. ქალი ქალს რომ ამახინჯებს, ისე ვერც ერთი სულიერი ვერ შეძლებს ამას. სახეს ძალით მანჭავდა და იგრეხდა, უნდოდა შემზიზღებოდა, მისი თქმით, ჯოჯოხეთიდან ამობობლებული სატანა. დიახ, ქალების ჩვეული თვისებაა, სხვა ქალის ფეხქვეშ გათელვა. სხვა რა გზა შეიძლება ჰქონდეს, საკუთარი თავის წარმოსაჩენად უსუსურს ამცირებს, ამით გადის მისი სული იოლას, სხვანაირად ვერც იკვებება და ვერც იარსებებს.

კარებზე კაკუნი გაისმა, ფორიაქითა და მძიმე ნაბიჯებით გაიქცა შესასვლელისკენ.

წყვეტილი საუბარი მესმოდა კარებიდან.

– რა იყო, დაგესიზმრე და მოგენატრე?

– მარგო, გუშინ იუპიტერისა და სატურნის შეერთება ყოფილა. ასტროლოგმა ჩამოიარა იმ დიდი ყავისფერი ჩემოდნით, გაგლისას უთქვამს ბაზარში. ისევ აქ არის.

– ღმერთო, შენ მიშველე, ჯერ სატურნი უნდა თქვა და შემდგომ იუპიტერი, თანმიმდევრობით ასეა სწორი. არა, მე აქ არ უნდა ვიყო, არ უნდა იმარხებოდეს ჩემი ცოდნა ამ ჭაობში! ამაზე საუბარი არ მინდა, მაგ ინფორმაციას მაშინ ვამბობ,

თუ სათანადოდ მაფასებენ. არ ხართ თქვენ იმის ღირსები, რომ ეს ამბავი მეთქვა. უტვინო, როგორ მობობდლი და მესულელები, წადი, მოშორდი!

– ქალბატონო მარგო, მომიტყვევთ ჩემი ნათქვამი. მიუხედავად იმისა, რომ ვერ დავინახე ამაში რაიმე შეურაცხმყოფელი. ასეა თუ ისე, ხალხი დავობს, ყველა იმას იძახის, ასეთი მშვენიერი სანახაობა სოფლის მნიშვნელოვან პირს მარგოს არ უნდა გამორჩენოდლო.

– სადაც შემხვდება ის ძონძიანი ასტროლოგი, თავის გამოუსადეგარ ჩემოდანს სულ იმ უტვინო თავზე დავალებწავ!

– ქალბატონო მარგო, იმ ასტროლოგმა კიდევ ერთი რამ თქვა ბაზარში... ცუდად წავა საქმე...

ხმა გაწყდა, როგორც ჩანს, მეტად ჩუმიად აუწყა გამვლელი ასტროლოგის სიტყვები.

მის ოთახში კვლავ ვარდის სურნელი ტრიალებდა, ამჯერად ეს სურნელი სასიამოვნო აღარ მეჩვენა. თვალი მოვკარი, მისი ოთახის კარები ოდნავ ღია იყო. არ ვიცი, ეს საქციელი სწორი იყო თუ არა, მაგრამ მაინც ავდექი და ოდნავ შევიხედე. მარგოს ოთახში დიდი სურათი ეკიდა, რომელიც ალფრედ სტივენს ეკუთვნოდა. მომწონდა ეს მხატვარი.

გაგონილი მქონდა პარიზული ამბებიდან. ქვემოთ სათუთად მიწერილი იყო – „ქალის პორტრეტი“. გაგიკვირდებათ და ეს ქალი უღალი გახლდათ, რომელსაც ხელში ეჭირა ქოთნით უღამაზესი ყვავილი. მარგოს ხმა რომ გავიგონე, ნელა გავერიდე ოთახს და პირისპირ შევეგებე.

– კარგით, ქალბატონო მარგო, მგონი ჩემი წასვლის დროა.

– აჰ, კი, დროა. კარგად ბრძანდებოდეთ!

დავუტოვე მეც, რაც მქონდა ჯიბეში. სულ არ მინდოდა დაკლებული ფულის გამო გარეთ ეჯუჯღუნა რაიმე. მის სახლს უკვე ჩვეული მხერით გავეცალე და დავიწყე ფიქრი ელას ბედზე, რომელიც ასე გადაეწყვიტათ უგრძნობ არსებებს.

რამდენიმე წუთის წინ ვესტუმრე ქალს, რომელიც გოგონას უღალი თმის გამო წითლად თვლიდა, ამავდროულად მის მსგავს პორტრეტს ინახავდა. უცნაურია, არა? საკვირველი ის

იყო, რომ ფარულად მაღავედა თავის ნატვრებს სხვის გაკიცხვაში. ვფიქრობდი, როგორ დარჩა ასე სათუთ ჩიტად ელა, როცა ყველამ მიატოვა? რა იქნებოდა, ადამიანს მხოლოდ ერთი გასაღები ჰქონდეს და ისიც კეტავდეს ყველა იმ კარს, საიდანაც კვამლივით გამოდის სიძულვილი. მეშინია, მზარავს ამ ქალის მსგავსი ადამიანების, რომელთაც სამყაროს შეცვლა რომ შეეძლოთ, მაინც ღრმა ძილს აირჩევენ, რადგან ფიქრობენ, უკანასკნელი მწერიც კი არარაობად ჩათვლის მას, მაგრამ როგორ უნდა აუხსნა მათ, ღმერთო ჩემო, როგორ უნდა ანახო, რომ სამყაროში ყველაზე პატარა არსებაც რომ გაფასებდეს, სხვა არაფრად ღირს სიცოცხლე. მათი ზრახვები დროებითია.

გზააბნეულმა დავიწყე აბლანდური ნაბიჯების უარესად აბლანდვა. უკვე ბნელდებოდა, მშიერიც ვიყავი. ვგრძნობდი, სიარულისგან ფეხები მეკეცებოდა, თვალის გუბები კი სასიკვდილოდ მეწვოდა. ამ გაუთავებელმა დარდმა ჩემში უხმლო ომი გამოიწვია. ოხ, რა ტკბილი იყო მისი სახის გახსენება, მაშინ, როდესაც ყველას სძულდა.

სახლში გვიან მივედი. მახსოვს, ძაღლებიც აღარ მიყუფდნენ, მათაც შეჰპარვოდათ ღრმა ძილი, მხოლოდ მე ვერ ვისვენებდი, იმ გომბეშოს ნაბოღვარზე მეფიქრებოდა. როგორ შეიძლება ასე გარიყო ადამიანი, რომელსაც არ იცნობ, რომელიც განსხვავებულია მხოლოდ იმიტომ, რომ შენნაირი არაა? ნუთუ ეს არის მათი ღრმა რწმენა? გული მწყდებოდა, მისკდებოდა დარდისგან, როგორ შეიძლება უფლის დაფიცება და მის უკან ადამიანების ტანჯვა? როგორ შეიძლება აღიღო ქრისტე, თან მის მწამებლებს დაემსგავსო? ჩემი გული წუხილისგან ისე იბერებოდა, რომ სუნთქვა მიძნელდებოდა, მაწვებოდა ყველა ორგანოზე შხამივით და მისევდიანებდა. ყველა იმ აუარებელ ტკივილს მაგრძნობინებდა, რაც საუკუნეების განმავლობაში ადამიანებმა განვლეს ამ ჯოჯოხეთურ სამყაროში.

ფერისწვალეზა

მახსოვს, ელას დანახვიდან სულ ერთი კვირა იყო გასული, მე რომ ისევ მისი თვალების მოლოდინში სახლების ფანჯრებს ვაკვირდებოდი. მტვრიანი თუ უმტვერო მინები ჩემი შუამავალნი ხდებოდნენ მის კოსმიურ თვალებთან. მთიდან წამოსული მდინარის ირგვლივ ადამიანები არსებობდნენ, ის ადამიანები, რომლებიც მთელი ძალით ანგრევდნენ ბუდეებს, არც ობლად დარჩენილი ბარტყების და არც საკუთარი თავის ცოდვით, არ სურდათ სინანული გამოეხატათ. არ სურდათ აემუნებინათ ახლიდან ჩამონგრეული ოცნებები. სამწუხაროა, მათთვის ახალი დღე ახალი სიბოროტეების საწყისი იყო. გულის სიღრმეში ყველამ იცოდა, რომ სცოდავდნენ, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში ჩაბუდებული და დაობებული ბინძური სიტყვითა და საქმით ნაძერწი ნაყოფი, რომელიც ასე მძაფრად ჰქონდათ სისხლში ჩამჯდარი, აჩერებდა მათ გულში სიკეთის მარცვლის ზრდას. ოხ, რა მწარე იყო მათი ხილვა, როგორი უსუსური ვიყავი მათ წინაშე, როცა სილამაზეს სიმახინჯედ აღიქვამდნენ, როცა თვალებში ანთებული შური, რომელიც მშიერი და გაბოროტებული იყურებოდა ბუნების სიძლიერესთან, ვერა და ვერ ჩერდებოდა. ყოველდღე ახალი ადამიანი მიჰყავდათ გოლგოთაზე, ახალ სისხლს ელოდნენ მათი სულები, მაგრამ გრძნობდნენ, ვიცი, გრძნობდნენ, რომ რაღაც არ იყო სწორი, რაღაც შეუცნობელი უკაწრავდა გულებში გველივით მოსრიალე ეჭვებს. ვფიცავ, ყველა მათგანში მოძრავმა უჯრედმაც კი შეიმეცნა, რომ ეს ცოდვა იყო, მაგრამ საერთო, ბინძური ნაყოფი აგრძელებდა მოქმედებას, გულს უყინავდა მათ და მეორე დღის მოლოდინში მშვიდად აძინებდა სხეულებს.

ერთხელ, სწორედ მათი აღუვსებელი ბოლმისგან გაქედნითილ მიწაზე მდგომი მოხუცი იქვე, ჩემ გვერდით ხეზე მიყუდებული ოხრავდა და ტიროდა. სოფლის კრებიდან ახალი გამოსული ვიყავი, ჩემი დღიურით იქ ვიცოდი ხოლმე მისვლა და წერა. თეთრი ქუდი ეფარა შავი ზოლით, თეთრი, მოკრემისფერო კოსტიუმი და ლამაზად გაშლილი თეთრი კლასიკური შარვალი ეცვა. შავი ბაფთა სიბერისგან დაგრძელებულ ყელთან მოეთავსებინა. მის თვალებს ეტყობოდა, მრავალი გოლგოთა რომ ენახა, ჩურჩულებდა და რაღაცას შესტიროდა

ბუნებას: „– Dieu, Dieu ...“. მეც შეშფოთებული და მისი მწუხარებით შეღონებული მივუახლოვდი, რათა კარგად გამეგო მოხუცის ბუტბუტი. სიგარეტი ჩვეულად ამოვიღე და მრგვალ მაგიდასთან მივდებუდი სკამი ნელა გავასწორე.

– ერთად რომ არ იყვნენ, იქნებ გაეღვიძა მათშიც თანაგრძნობასა და მიმტყვევებლობას, იქნებ ადამიანი მარტო უნდა იყოს, რომ სხვისი ტკივილი და ცოდვა შეიგრძნოს. – ხალხის მოდგმის დატირების შემდეგ მოხუცი ხელის კანკალით მიუბრუნდა მაყურებლად ამოსულ ხეს, სინანულით სავსე თვალები მიაპყრო და ჩაილაპარაკა. – ვაი, რომ ზოგჯერ ხე უფრო თანაუგრძნობს ადამიანს, ვიდრე ჩვენ, ცხოველური ჟინით სავსენი ერთმანეთს, Dieu...

ჩემზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ მონოლოგმა, რომ უკეთესად შევიმეცნე სოფლის არასწორი გზა. შევიმეცნე ხმამაღალი ნათქვამი გამოვიდოდა, შევიგრძენი.

– რამდენი ხანია მისმენთ? – ამ სამყაროში მობრუნებული მზერით გამომხედა.

– მე უბრალოდ ვწერ. – ტყუილი სახეზე ამეწება სცენაზე დაუპატიჟებელი მსახიობივით.

– Il est évident! – ჩაიციხა. – არ გავეციუბებულვარ. სიმართლე რომ გითხრა, შენდა გასაკვირად, ძალიან ნორმალურიც კი ვარ. ცოტა მიიჩნეო.

სკამიდან ავდექი და მოხუცი დავსვი.

– ბატონო, თქვენზე არც მიფიქრია რაიმე მსგავსი, უბრალოდ მონოლოგი მოსასმენად საინტერესო და დასაფიქრებელი იყო, არაფერი სხვა.

ვეგრძნობდი, რომ მოხუცისთვის მნიშვნელოვან მომენტს ჩავუღრმავდი. ვცდილობდი ყურადღება სხვა რამეზე გადაამეტა და მალე გავცლოდი ადგილს.

– არაფერია იმაში ცუდი, ცნობისმოყვარე თუ ხარ. მთავარია, ზედმეტად არ დაიწყო თითებით გაწევ-გამოწევა მიმალული ფურცლების, მერე უკვე ერთმანეთს მეტად უახლოვდებით, ეცნობით და საინტერესოც აღარ ხდება ეგ შენი ურთიერთობა. მეც მქონდა გარდასახვის დასაინტრიგებელი წამები, ახლაც ყურში მესმის, საკუთარ თავს რომ გავძახოდი:

„ასეა საჭირო!“ მერე, რომ არ დაგიმალო, გონს მოვედი.

– ადამიანები მაშინ ქმნიან ოჯახს, როცა ერთმანეთს უახლოვდებიან და უკეთ იცნობენ. ნუთუ ეს ცუდია? მაშინ რას ჰქონია ფასი, თუ ადამიანები ერთმანეთით ზოგჯერ ზედმეტად არ დაინტერესდებიან.

– ცუდად გამიგეთ. მიმალული ფურცლები ყველას გვაქვს. ზედმეტი დაახლოება არ შეიძლება, ყველას გვიყვარს ჩვენი ფარული დარდი, მხიარულება თუ შფოთი. ეს აუცილებელიც კია, არაა საჭირო ამის ამოფრქვევა, არა! დიდი ხნის წინ მაგ ადგილას ჩემი ცოლი აქ ჩემთან ერთად იდგა. *Déesse de l'amour!* მენატრება! ციოდა. ჩვეულად პირჯვარი სწრაფად გადაიწერა, მერე ცაში აიხედა და ბუტბუტით დაიწყო მადლობის თქმა. „უფალო, ამრავლე სიმწვანე, სილამაზე... ერთი ათასად გაგვიმრავლე, დაგვლოცე უფალო, ამინ!“ ახლა ვინმემ „ამინ!“ რომ თქვას, ეკლესიაში მღვდლად შეაგდებენ. მაშინ რწმენა უფრო ღრმა იყო. მერე მე ჩემს ცოლს გაბრაზებულზე შევუბღვირე. *Malheur à Quasimodo*, მისი მსგავსი ვიყავი, ის კი, ოხ, ღმერთო, *Déesse de l'amour!* – ამოსულ ხეს შენი ლოცვა-ვედრება რათ უნდა, ისედაც ფართო ტყეში მარტოდ დგას, ფესვებს ავსებს და ავსებს. ამაზე კი არა, ჩემზე ილოცე, ცალი ფეხი ბოსტანში რომ მაქვს და ცალი სამარისკენ-მეთქი. „მარტოდ დარჩენილებს უნდათ ლოცვა, თორემ ფესვების სიგრძე-სიძოკლე რა საფიქრალია? ნუ ბრაზობ, წითელ, ლამაზ წინდებს მოგიქსოვ კვირამდე!“-ო.

„მაგ თავში რა გიდევს, რა? ლოცვა-ვედრებაში თუ გალიე სიცოხლე, წადი და მონაზონი გახდი, *Vraiment fou!* რატომ დადიხარ ჭრელი სარაფნით, წადი! *Éloigne-toi de moi!* არ ილოცო, არა, ჩემზე. აბა, რად უნდა ჩემნაირს ლოცავმეთქი. ქათამი კვერცხს რომ დადებს, იმაზეც კი მადლობებს იხდი, *Dieu..!* გადმოსხედე ამას და მერე მეც მეშველება რამე-თქო!“ მაშინ ძალიან მოვკუჟმე სიბრაზისგან ტუჩები, ხელები ერთმანეთზე გადავიდე. როგორც კი ჩემი ცოლი თვალს მოშორდა, ხეს დაუწვეე თვალთვრება. სწორედ ამ ხეს, ჩემ წინ დიდებული ფესვებით რომ აწეულა ცისკენ. ბევრი ვუქურე, ძალიან ბევრი, *C'était plein de feuilles ...* მერე იქვე ჩამოვჯექი, ავხედე, შევათვალიერე, ეჭვიანი მხერით დავუბღვირე, ჩავილაპარაკე, – შეშად გამოდგებოდი, ჩემი ცოლი შენზე რომ არ ლოცულობ-

დეს-მეთქი. მაშინ უგუნური კაცი გახლდით, Mauvais, mauvais très mauvais ! იცი, ხანდახან ჩემნაირებსაც გაუკრთით ხოლმე გონებაში თანაგრძნობა და სიკეთე, სხვისი საუბრისა და ქცევების შემხედვარეს. მარტო დავრჩი, ჩემზე მეტად უნდა ვინმეს ლოცვა? ამ ხეს რომ ვუყურებ, ჩემი გარდაქმნის წამები გონებაში ტალღებით მიტივტივდება. სწორედ ამ ტალღებში ვნახულობ ყველას ხსნას! ჩემმა ცოლმა აუხსნელად იცოდა ჩემი მიმალული შფოთვები, თქმაც არ მინდოდა, ისე მიცნობდა. აი, ოჯახიც ესაა, უთქმელად გაგებაა მთავარი!

– გასაგებია ახლა, რატომ ამბობდით მარტოობაზე ასე გულახდილად თქვენს სათქმელს.

– ჩემი სათქმელი ყველას სათქმელია. – სასიამოვნო მოსასმენი იყო მოხუცის წარსული, იმ წამების ხსენება, რომელიც მისთვის საბედისწერო გახდა. ფრანგული აქცენტი უჩუმრად შეჰპარვოდა მის საუბარს.

– შავ ღრუბლებზე ბევრჯერ მიმიძინია. ვფიქრობდი, არა უშავს, რამდენჯერმე წავუძინებ-თქო, მერე მივეჩვიე. ამ კუპრივით შავ ბალიშზე მიდევეს თავი, მდრღნის, მტანჯავს, შიგნიდან მეთამაშება Toutes les nuits! ადამიანურს მიმღერის რაღაცას ნელა და მშვიდად, Ave maria, Gratia plena! – ნაზად დაიწყო გალობა, თან ცაში იყურებოდა, თითქოსდა მოსაუბრე ზემოთ იყო და არა მის წინ. – მერე იმასაც ვხვდები, ჩემს მეს მეორე მე რომ ჰყავს და დასჯილი ბავშვივით ვუგდებ ყურს. ხანდახან მათენებინებს. ამ სოფელში ფულზე დახარბებული ხალხი არ ცხოვრობს მხოლოდ, ცოტა ღამის ხალხიც შევერევით. ჩვენ ჩვენებური მეორეხარისხოვანი ფიქრები გვაქვს. არ გეგონოს, ვინც ბაზარში დგას, ყველას ავი ენა აბია, უბრალოდ თევზისა და ყველის სუნში ადამიანს ფანტაზიაც უქრება და დარდის სურვილიც. ეჩვევი ჩამოწერილ ყოველდღიურობას, მხოლოდ მოსაღამოვებულზე თუ იწყებს ფეთქვას რაღაც მარცხენივ, მკერდთან. აი, ადამიანობის ბილიკი რომ ჩაგვიმაგრა უფალმა. მე ის მიყვარს. უფალო, სულელ მოხუცს უღმერთოებთან ყოფნის დროს უფრო უყვარხარ! – გაბრაზებული თვალებით უცბად შემომხედა. – შენ, შენ არ გაქვს ცოდვები? ნუთუ ამის გამო ღმერთის სიყვარულში ეჭვი უნდა შევიტანოთ? პირიქით, მე ჩემი ცოდვების სიმრავლის გამო მიყვარს იგი! შენ წარმოიდგინე, მიფიქრია კიდევ, სულ

ღამე რომ იყოს, სულ კარგი ვიქნებოდი-მეთქი? ეჰ, ზოგს კი რა ხანია დავიწყებია თავის ღამის სახე. პარაზიტივით მიკრულ, ჭუჭყიან ნიღაბს ვეღარ იგლეჯს. – ხელი ჩაიქნია. ეტყობოდა, ბევრთან ჰქონდა სიჭუჭყეზე ნათქვამი.

შემოდგომის ფოთოლივით ღამეცა კითხვა. რამდენად მარტო იყო ელა? თუკი მუდამ ასე იყო, გამოდის, ბევრსაც უგებდა, რადგან სიმარტოვეში მყოფ ადამიანს მეტად ესმის ხალხის ცოდვების.

– ბევრი უბედურება დამემართა ჩემი უგუნურების გამო, შეიძლება ითქვას, უპატიებელიც კი. *Enfant, femme*, ყველასთან მაქვს ჩემი წილი ცოდვა, რომლის გამოც მეკუთვნის სიკვდილი. მაგრამ არა, არ ვკვდები, ალბათ ჩემი ჯოჯოხეთიც სწორედ ისაა, გონს რომ მოვედი, ახლა კი მსგავსი სენით დაავადებულებს ვუყურებ და ვერ ვშეგელი. ჩემი ცოლი რომ გარდაიცვალა, საქმისთვის თავი არ დამინებებია, პირიქით, განუწყვეტლივ ვამუშავებდი ხელებს, ფიქრისთვის დრო რომ მქონოდა, ნამდვილად გავგიჟდებოდი.

– არავინ ვიმსახურებთ ცოდვებისთვის სიკვდილს, ცხოვრება გრძელდება. ნუ იდანაშაულებთ საკუთარ თავს.

– საშინელი ადამიანი ვარ, დამიჯერე, სიკვდილს ნამდვილად ვიმსახურებ.

– არა, სიკვდილის დამსახურება აბსურდია.

– ერთი უბრალო ადამიანი კი ვარ, მაგრამ მაინც მომისმინე. იმ წელს მეგონა წვიმიანი ზაფხული გველოდებოდა და ბავშვებიც დიდად აღარ გამოიფანტებოდნენ. მაშინ ზეფირანტესი მქონდა მეყვავილესთან დაბარებული, ჩემს ცოლს უყვარდა, საწოლთან ვუდგამდი ხოლმე. იმედი მქონდა, რომ ბევრი ბავშვი გარეთ გამოსვლის გარეშეც გააფუჭებდა სათამაშოს და მეც ბევრი საქმე მექნებოდა. სათამაშოების ხელოსანი კი ვიყავი, მაგრამ სიკეთისა და გულწრფელობის არაფერი მეცხო. ისეთი ამინდი იყო, იფიქრებდი, ადამიანთა შესაშინებლად წვიმს ასეო. მახსოვს, ქარი სანთლებს ხშირად მიქრობდა. კარებზე სწრაფი კაკუნი გავიგონე, შემოსასვლელთან ომგამოვლილი ბავშვი იდგა, პატარა სათამაშოთი. ეს ტყის ფერია ელიზაბედია, ფრთა მოსტყა და შეუკეთეთო. თან იმ გრიგალში მთელი ძალით კრეჭდა კბილებს.

– როგორ მოვიდა, ან საიდან?

– ამბობენ, ვინ იცის, ღმერთი როგორ და რა სახით მოდის შენთანო. ეგეც ღმერთი თუ არა, მისი მსგავსი იქნებოდა, თვალეზეც ეტყობოდა, აქაური რომ არ იქნებოდა. მე კი...

– თქვენი კი... რა?

– უკან გავაბრუნე... უკან... უკან...

– გარეთ ხომ გრიგალი იყო? – ავფორიაქდი. გაბრაზება და სინანული ერთბაშად დამეტყო.

– ბევრი საქმე მაქვს, შენს ფერიას ვერ შევაკეთებ-მეთქი და კარებიც სწრაფად მოუხურე. – რამდენიმე წამი ჩუმად იყო, თითქოს იმ დროში გადაეშვა და საკუთარ თავს კარების მიკეტვისას ხელი მჭიდროდ მოუჭიროაო, მერე უცაბედად ისევ დაიწყო ჩემკენ ყურება. – ასეთი კაცი ვიყავი მაშინ. მეორე დღეს, დილით, კარებთან დამხვდა, სათამაშოთი ხელში, შეყინული, სველი და მოზუზული. ხელებში ჩამაკვდა... ხელებში... – ათივე თითი ფართოდ გაშალა და დაიწყო მათზე დაკვირვება, თითქოს სისხლის გუბე იღვა მის ხელისგულეზზე. – ვინ იცის, რამდენჯერ ჩამიქრო მისმა ამოსუნთქვამ სანთელი და მე მაინც სხვის ჯართებს ვაკეთებდი, როცა სასწაული კარებთან მეჯდა ღმერთის სახით. მაშინ ბოლო წამებში ამომხედა და მითხრა: „ტბის იქით გადასასვლელად აღარ დამელოდნენ და მეც უფრთოდ დავრჩი“-ო. – მომიყვა თუ არა ამბავი, გაცრეცილი ყავისფერი ტყავის ჯიბიდან პატარა სათამაშო ამოაძვრინა, საგულდაგულოდ გაწმინდა და სინანულით დაუწყო ყურება. აკანკალებული ხმით, თითქოს-და შეგებას ჩემს პასუხში ნახავდა, მკითხა:

– სიბრალულზე გსმენია რამე?

– არსებობს, ვიცი.

– მერედა, როდის მოდის ?

– ალბათ შემოდგომას.

– რატომ მაინცდამაინც შემოდგომას?

– ალბათ, მაშინ ვრწმუნდებით ადამიანები ბუნების ფერისცვალებაში. სასწაული სილამაზე იღვიძებს შემოდგომით. ვფიქრობთ, იქნებ და ადამიანშიც იყოს ჭეშმარიტი ფერ-

ისცვალე. შესაძლოა ლოდინი სჭირდება. სწორედ ამ სასწაულისთვის ღირს პატიება! შენ ფერი იცვალე, გამოდის, საკუთარი თავი უნდა შეიბრალო! – წარმოვიდგენდი, როგორ პატიობდა მოხუცი საკუთარ თავს, ჩუმი სიმართლე ნაზად როგორ კოცნიდა შუბლზე, ნაიარევებს ტკბილად და ნელა უშუშებდა. გვრძნობდი, იასამნისფერი ჰორიზონტის დანახვისას, აი, იმ დროს, ყველას სავალდებულო კარი მისთვისაც რომ გაიღებოდა, მრავალ თაბაშირ გამოცვლილი მკლავებით გრძელ ხელებს გაშლიდა გოგონასთან ჩასახუტებლად.

ელას დახმარებით მრავალი ადამიანის გული შემოვიარე, ჩემს გულსაც არა უშავდა, იქაც ღრმად ჩავიხედე და მრავალი კუთხე გამოვიკვლიე... ხშირად ამბობდა თურმე – „მე გაზაფხულის მოსვლის დროს მოვუფი, თმა ისეთი წერხლისფერი მქონდა, რომ წერხლისგან შობილიაო, მაშინვე უთხრა ექთანმა დედას და სწორედ იმ დღიდან დაიწყო ცანკულო რხოვრებაო.“ მისდა სამწუხაროდ, იმ წელს დიდი სიცხე ყოფილა, ხანძარიც ხშირად გაჩენილა, მათაც მეტი მიზეზი არ უნდოდათ, ყველაფერი ახალშობილ ელას გადააბრალებს...

ყველა ამ სოფელში ერთმანეთს დაწყევლილს ეძახდა, საკუთრების ხელშეუხებლობაზე დავა კი უკვე დიდი ხანია გრძელდებოდა, მაგრამ როგორც კი საერთო შურისძიებასა და ბოღმის ნთხევაზე მიდგებოდა საქმე, ერთიანდებოდნენ და გზას სისხლითა და უვარგისი სიტყვებით იკვალავდნენ. მახსოვს, აქ ახლად შემოხიზნული ვიყავი, სამხრეთიდან მოსულია, კარგი არაფერი ეტყობა, მაგას გახეთი კი არა ფული აინტერესებს ფული და ჩვენი ქონების წართმევაო, დიდი ხანი მკიცხავდნენ, მერე კი გადაავიწყდათ.

მახსოვს სოფლის კრებაზე როგორ დადიოდა ჩუმი ნაბიჯებით ელა, მიწას დაჰყურებდა მისი დიდი, შავი თვალები. წამიერად როგორც კი გამისწორებდა თვალს, მეც ახლიდან მიყვარდებოდა და კვლავ ვიწყებდი მის მხართან ბუზივით ბუზილს. იმ წამსვე მოჰქონდა ხოლმე თავისი განსხვავებული სურნელი და სწრაფად გამოერჩეოდა ყველა სხვა სურნელს. შემნიშნავდა, როგორც ამოუცნობი მწერალი, მიჯდებოდა გვერდით და უბრალოდ მკითხულობდა, როგორც წიგნს... მეც ნელ-ნელა მისადები პიროვნება გავხდი საზოგადოებისთვის,

სალამსაც მეუბნებოდნენ და კითხვებსაც მისვამდნენ სამხრეთის ამბებზე, მე კი ყველაფერს ვცდილობდი, ყველაფერს, ოღონდ ელაზე ჩამოვარდნილიყო საუბარი. იმდენად შემაყვარა მისმა უცხო გარეგნობამ და სულმა თავი, რომ სულ არ მჭირდებოდა ყოველდღე მის კალთაზე ჩამოძინება და საუბარი, ისეც ვცნობდი, ისეც ვიცოდი მასზე ყველაფერი. ერთი შეხედვით გაიცნო ჩემმა გულმა მის შავ გუგებში ჩაბუდებული სევდა, ასე, დაუპატიუებელი სტუმარივით რომ მიმილაგა არეულ სულში ყველაფერი.

მეც, მისი მასპინძელი, ვუღებდი და ვუღებდი ყველა კარს. მახსოვს, როგორი გაათმაგებული რომანტიკით ვუყურებდი სამყაროს. მიკვირდა ჩემი თავის, ვერ ვუტყდებოდი გულსა და გონებას უსასრულო სიყვარულში, რომელსაც ელა ერქვა.

შუაგულ სიცხეში, ბავშვთა სკოლის აშენებასთან დაკავშირებით რამდენიმე გამოკითხვას ვატარებდი სოფლის მცხოვრებლებთან. იქ ელა ვერ შევნიშნე, მეც უხერხულად, ჩახველებით და მორიდებით ვახსენე იგი, როგორც გოგონა ჟღალი თმით. ისიც ხომ აქ მაცხოვრებელი იყო, რატომ არასდროს ერთვებოდა მსგავს ღონისძიებებში. გულმა ფორიაქი დაიწყო, მაგრამ მაინც მყარად ვიდექი.

ელას ტოლი გოგო, რომელსაც სიყვითლე შეჰპარვოდა კბილებსა და კანზე, ხმაურიანად წამოდგა და შეპარული ტონით, სიამოვნება ნარევმა მითხრა:

– ელა სხვაა, ჩვენ – სხვა, მას უბრალოდ არ ველაპარაკებთ. ან რა საჭიროა დრო დაგეგმვით მასთან უაზრო დიალოგში, რომელიც ყოველთვის ჩვენი ფიქრებისგან ძალიან შორს არის, აქ მისნაირი არავინ არის და არც არასდროს ყოფილა. რა საჭიროა ელა ჩვენ გვერდით? ისედაც დიდ პრობლემებს გვიქმნის იქ, ზემოთ, თავისი არსებობით.

გხედავდი მისი პასუხის შემდეგ გოგონას მოსწრებული სიტყვა როგორ ესიამოვნათ იქ მყოფებს, მათ შორის ყველაზე გამძაფრებულად ეს გრძნობა ასაკიან ხალხს შეეცყო. დარწმუნებული ვიყავი გოგონას ასეთი გამოსვლით მრავალ ოჯახში ჩამოვარდებოდა მის რძლად მოყვანაზე საუბარი. მე კი უცნაური აურზაური დამეწყო გონებაში, უფრო მიმიზიდა მისმა „ის სხვაა“-მ. მალევე დავამთავრე გამოკითხვა

და გავეშურე სწრაფი ნაბიჯებით ჩემს ოთახში, რათა ელაფრო კარგად გამეცნო ჩემი გულისთვის.

ელა მათთვის წვიმიან ამინდში მეხის დარტყმას ჰგავდა, უარესს უშვრებოდა, გასაოცარი მოვლენა იყო, წითური, ჭორფლიანი, ცეცხლისფერთმიანი გოგონას დაბადება ამ მიკარგულ და ერთფეროვან ხალხში. ფიქრობდნენ, რომ დაწვევლილი იქნებოდა ელას შთამომავლობა მისი ასეთი გამორჩეულობის გამო. ვუყურებდი და ვერ ვისვენებდი, ვერ ვჩერდებოდი ერთ ადგილზე ამ ხალხის უსამართლობაზე, ასე უმწეო, ობოლი ბავშვივით რომ გაერიყათ ელას სიცოცხლე.

იანვრის თვეში მარტვიით იყო, ყველაზე უადგილო ადგილი იყო ქვეყნად, მისთვის ჯერ ზუსტი ზომის სკამი არავის გაეკეთებინა. აქედან გამომდინარე, მაგიდასთანაც არ იწვევდნენ, თვითონაც არ ჯდებოდა, როცა ნადიმი იმართებოდა. სამყარო მისთვის აბლანდური ქსელი იყო, რომლიდანაც უმწეოდ გახლართული ობობაც კი ვერ აღწევდა თავს. სტუმრობის დროს საკუთარი თავის მასპინძელი, საკუთარი თავის პურმარილიც, დარდი, მხიარულებაც თვითონ იყო. მარტოსული კოკორი, რომელიც ყველას დამტკნარი შავი ვარდი ეგონა, დროს ელოდებოდა. კოკორი იშლებოდა, კუნძს ეძებდა და როცა იპოვიდა თავის ადგილს, ბუნებაში მოიწყობდა არნახულ ნადიმს. მე კი მოუთმენლად ველოდი ამ დროს, ჩემს გულს წინასწარ უხაროდა ყველა იმ წამის, როდესაც ელა ყველასთვის იდეალური იქნებოდა, ისეთი, როგორაც მე ვხედავდი.

ყოველ წელს სოფელში მზის დღესასწაულს ზეიმობდნენ. ასე დაურქმევიათ მათ წინაპრებს, მათთვის მზე განსაკუთრებული სიმბოლო იყო. თუ აქ მოხვდებოდით, შენიშნავდით კიდევ სოფელში ამოქარგულ მაისურებს მზის სიმბოლოებით, ყელსაბამებს, სამაჯურებს, რომლებიც მზის სხივებს მოგაგონებდათ. შემოდგომის დასაწყისში ყველა მდინარესთან იკრიბებოდა, სახლში გაკეთებული ტკბილეული და ნაირ-ნაირი საჭმელი მიჰქონდათ. ბავშვი, ქალი თუ მოხუცი ყველა იქ იყო, ყველა, ელას გარდა. მეც, როგორც პასუხისმგებლობით აღსავსე, დროებით ჩამოსული პირი, გავეშურე ამ დღესასწაულზე.

ჩემმა თვალებმა მისი სიახლოვე რომ ვერ შენიშნეს, მაშინ-

ვე ძებნა დავეუწყე. რა თქმა უნდა, პირველ რიგში ელა ტყეში წავიდოდა-მეთქი, გავიფიქრე. გამიგია, იქ იცოდა გახიზვნა. მეც ჩემი დაქანგებული ველოსიპედით გავეყევი გზას. წვიმაც უდროოდ დროს წამოვიდა, მაგრამ ხელი არ შეუშლია ჩემი გადაწყვეტილებისთვის... ისიც იქ დამხვდა, სადაც უნდა ყოფილიყო. ჩემი გაფითრებული სახე მაშინვე მის სითეთრეს შეეგება. მივუახლოვდი დასჯილი ბავშვივით, ძალიან მინდოდა დასველებული კანისთვის ჩემი შემოსაცმელი შემომეფარებინა, თითქოსდა ამით არა მხოლოდ სიცვივს, არამედ მთლიანად მის სულში ჩამოკიდებულ ლოლოებს დავადნობდი, მაგრამ უმოქმედობა და სინჯე ვამჯობინე. ელამ თვითონ დაიწყო საუბარი. მეც იქვე ჩამოვჯექი ხმას არ ვიღებდი, რაღაც ჩემში არსებულს მხოლოდ მოსმენა სურდა, მხოლოდ და მხოლოდ მისი ხმის.

– ნუთუ ერთმა სულიერმა მაინც შეძლო იმ მიუღწეველი ოცნებების ასრულება, რომელსაც თეთრი საბნის ქვეშ, უხეშ ფურცლებთან ერთად ნატრობდა. ნუთუ სამყაროში არსებული თვალებიდან რომელიმე ხედავს თავის ახდენილ ოცნებას? ღმერთო, ასეთი რთულია იყო ბედნიერი? ასეთი რთულია გესმოდეს საკუთარი თავის?

ელას ასეთმა სიღრმისეულმა კითხვამ ჩემი მიკარგული გონება უარესად ჩააგდო საგონებელში. შემეშინდა, დიახ, წამიერად შიშმაც კი შემიპყრო, ასე რატომ ფიქრობს-მეთქი, მაგრამ წამში გამოვერკვიე და ვეცადე ელასთვის პასუხი გამეცა. აუცილებლად უნდა მეთქვა რამე, რაც მის ფიქრებს წუთიერად მაინც შეაყოვნებდა:

– დარწმუნებული ვარ, ელა, შენს თავს ყოველთვის კარგად უსმენ, სხვაგვარად ვერც იგრძნობდი ასე შენში არსებულ სასწაულს. – როგორც იქნა, ამოვიღე ხმა და ნელ-ნელა ვუთხარი გულის გამოძახილი.

– მოსმენაც ხომ ერთი დიდი ლაბირინთია, გაიხლართები, მიარტყამ მის კედლებს მხრებს. უხ, მტკივნეულად დაგაღურჯებს და პასუხს მაინც არ დაგანახებს, წლობით დაგტანჯავს თავის ბნელ, ცივ კუთხეებში. მერე, თითქოსდა ცხოვრება ამად არ ღირდეს, მოგახლის – უკან მიიხედეთ. შენც უკან იხედები, ფიქრობ, იქნებ ეს დაწყევლილი, სქელი ხის ჯოხით მოსიარულე პასუხი წარსულში მაინც იყოსო, მაგრამ მაინც

ვერა და ვერ, ვერ შეიცნობ მას. კვლავ ლაბირინთთან მიდიხარ. ამჯერად ისიც მობეზრებული, გიხსნის კარებს და კვლავ წარუმატებელი ნაბიჯების მომსწრე კამათელს აგორებს.

– ყველაფერი გამოვა. ისე იქნება, როგორც შენ გინდა. ახლა ისე სწყურია შენს გულს რაიმე ახალი, რომ ისედაც გამძაფრებულ ცხოვრებას უარესად გიხატავს. დარწმუნებული ვარ, ხვალ ახალი აზრებით გაიღვიძებ. მე შენ გვერდით ვარ, ეს კი იცოდე, შენი ლაბირინთის კედლებს მე გადავეფარები, რომ არ გეტკინოს მოშუშებული სიღურჯეები... – მას სახელით ვერ მივმართავდი, მეშინოდა მაშინვე დაგროვილი ცრემლები არ წამომსვლოდა, ღმერთო, ვუყურებდი და ვხვდებოდი, რომ ჩემი თვალები მის თვალებს წვიმის წვეთების ფონზე პაემანს უნიშნავდა. დიახ, ეს იყო ჩვენი პირველი პაემნისფერი შეხვედრა, რომელსაც ალბათ ვერასდროს წარმოვიდგენდი. გამოგიტყდებით, მუდამ მეფიქრებოდა სიკვდილის ბოლო წამებზე, რას დაინახავდა ნეტა ჩემი თვალები? ელამ კი ამის პასუხიც მიპოვა. მისი კითხვა, რომელიც გულში ჩამწვდა, ხედავდა თუ არა ვინმე სამყაროში თავის ახდენილ ოცნებას, მიელავდა ტვინში ერთი პასუხის ამოძახების სურვილით – მე ვხედავ! მინდოდა მეყვირა და მეთქვა, რომ ჩემი აღსასრულის ბოლო წამამდე მას დავინახავდი, როგორც აუხდენელ ოცნებას ჯოჯოხეთში. ელა უცბად წამოდგა, ლამაზი შველივით დაიწყო სირბილი, თან მიყურებდა და ბოლო ხმაზე იცინოდა, მიწვევდა, მეთამაშებოდა. ვერ გამეგო ასეთი ბავშვური სილაღე როგორ დაიბრუნა დარდით სავსე სიტყვების შემდეგ. იცით, არც ერიდებოდა, დიახ, ასე თამამად მიყურებდა და არ უნდოდა სხვაგან გახედვა. მოულოდნელი იყო თუ არა? რა თქმა უნდა! იმ ხესთან, სადაც სევდას ღვრიდა, ტოტებს დაუწყო ქნევა. ფოთლებზე დარჩენილი წვეთებით თმას და სახეს მისველებდა.

– კაია, ხო? – იცინოდა, თვალები სიხარულისგან უბრწყინავდა.

– დავსველდი, მაღლობელი ვარ! – ცდილობდა წამოემდგარიყავი და შევპარულიყავი მის თამაშში. მე კი ბრძენი ირემივით რქებს ვიფხანდი, ვერ გამეგო, გაკვიდებოდი თუ დინჯად დავმტკბარიყავი მისი სილაღით.

რა ლამაზია ქალი, როცა სულელობს და იმ დროს უფრო

ღამაზდება, როცა იცის, რომ თავის სულელობით იგი მიმზიდველია. საკუთარ ცეცხლისფერ თმას ჰაეროვნად მი-
აქროლებდა ჩემ წინ, გამიზნულად მიწვევდა. იცით, სირბილი
სულ არ ღლიდა, მე ალბათ ასჯერ დავისვენებდი უკვე და
მდინარეშიც მოწყურებული ჩავეყუდებოდი. ელას ნასიამ-
ონები სახე პატარა ბავშვის მიმიკებს იღებდა, რომელიც
დასჯის მერე სათამაშოდ გაუშვებს. ხეებს წრეებს ურტყამდა.

ჩემი ხისკენ რომ გამოიქცა, მეც ჩასაფრებული მტაცებე-
ლივით გავეკიდე, ავიტაცე ხელში. ფეხებს მირტყამდა, მაგრამ
მე მისი სილაღისგან და სილამაზისგან ზედმეტად გაბრუე-
ბული ვიყავი. ჩემი გონება მხოლოდ მის თვალებს აქცევდა
ყურადღებას. ელას აღარ ვსვამდი, დავაქროლებდი ტყეში,
იმ ნამიან ბალახზე, რომელიც მფრინავ ხალიჩას დამსგავს-
ებოდა. როდესაც გადავწყვიტე დამესვა, ფეხი უეცრად ამის-
რიალდა. ელა სანთელივით დამეღვენთა, ასე ახლობელი და
ასე შორეული, იგი ჩემს მკლავებში აღმოჩნდა. მონადირეებულ
ნადავლს კმაყოფილი ვუყურებდი, მაგრამ მას ვერ ვეხებოდი.
ვიცოდი, მალევე დამისხტებოდა ხელიდან. უცბად წამოდგა
და მორცხვად დამიწყო ყურება, თმიდან ფოთლებს იშორებდა
და კაბასაც უხერხულად ისწორებდა.

მე ველოსიპედით წასვლა შევთავაზე, მაგრამ რა თქმა
უნდა, მტკიცე უარი მივიღე.

ზმანება - ზროლოც

სახლში მისულმა ორი თუ სამი საათი ვერ დავიძინე, ყურ-ში ჩამესმოდა ჩემი ჟანგიანი ველოსიპედის ხმა, რომელიც ტყისკენ მიდიოდა, იქ კი ანგელოზი მელოდა, უჩინარი ფრთებით...

მიძინებულს უცნაური სიზმარი დამესიზმრა: თითქოსდა უდაბნოში ვიყავი, გარშემო შემზარავი სიცარიელე სუფევდა (როგორ იცის ხოლმე გონებამ, ზუსტად იმის ჩვენება საკუთარ სიზმრებში, რისიც გეშინია. მე კი სიცარიელის განუკურნებელი შიში მქონდა). სადამო იყო, მაგრამ გათენებას ჰგავდა. ვიყურებოდი აქეთ-იქით, მახსოვს, ის მეცვა, რაც ელას პირველად ნახვის დროს. მოულოდნელად ჩემ სიახლოვეს ძალიან მოხუცი ქალი გაჩნდა, თვალებს ობოლი შველივით აცეცებდა, დანაოჭებული სახე ჰქონდა და დაგლეჯილი ტანსაცმელი ეცვა, ფეხებზე კი შხამიანი გველები ეხვეოდნენ, ეგლისებოდნენ. იმედდაკარგულმა ძალიან სწრაფად და შეშინებულმა ვკითხე: „რა აზრი ჰქონდა ამ ყველაფერს?“ მანაც არ დააყოვნა და ჩაცინებით მაუწყა, რომ ორ კილომეტრში ოაზისი იყო.

დაღლილმა და შეძრწუნებულმა, როდესაც ტანჯვით აღესილი ადამიანის ნიშანი ვიხილე, ცეცხლი ამენტო გულში და გავეშურე იქით, სადაც მან მიმასწავლა. თან დროდადრო თვალწინ მიდგებოდა მისი უმწეო სახე. ვფიქრობდი, ტანჯვაში ჩავარდნილი ადამიანი აქეთ შენ რომ გეხმარება, ამაზე დიდი სასწაული რა უნდა იყოს-მეთქი? მან ხომ საკუთარი თავი ამხილა ჩემთან, კარებს გასაღები უპოვა და ჩამიგდო ხელში. გავიფიქრე თუ არა, მივბრუნდი უკან, მოხუცს წამოდგომაში მივეხმარე და ორი კილომეტრი ათას კილომეტრად გავიხადე, მაგრამ ამით ჩემი თავიც ვამხილე მასთან.

სიზმარი, მახსოვს, მაღამოდ მომედო გულზე. მაშინვე ვიფიქრე, ესეც პასუხი-მეთქი. ელას მე ვჭირდები, მხოლოდ ის არ არის ჩემი მხსნელი, მეც შემიძლია ვიხსნა იგი და როგორც მან მიბოძა ჭეშმარიტება, ჩემი მისდამი სიყვარულით ელას გულსაც მოვბრუნებ ამქვეყნიური სამყაროსკენ-მეთქი. დავიძინე კვლავ სიზმრის გაგრძელების მოლოდინში, მაგრამ

სხვა რამ ვიხილე. ამჯერად მისი თეთრი კანი, ნაოჭიანი სულ აღარ იყო და აღარც მოხუცი. ქამარი ეკეთა ლურჯ სარაფანზე. ვენები კვლავ მკაფიოდ ეტყობოდა ჭორფლიან კანზე. ვხედავდი, როგორ მოიჩქაროდა თავდახრილი ჩემკენ იმ კუნძთან, სადაც ის ძალიან ჩუმად და მომხიბვლელად მიყვებოდა თავის თავგადასაფლებს. კუნძი ნესტიანი იყო, სიზმარში როგორ ვიგრძენი ეს სინესტე, ნამდვილად არ ვიცი. გულში ისრებმა დაიწყეს ათვლა, ელა ჩემკენ მოდიოდა, მაგრამ ვერა და ვერ მოაღწია. მახსოვს, სამი ღამე გავიდა, მეოთხე ღამით კი ავდექი იმ ადგილიდან, სადაც მოგონებები პატარა ფანტელებივით იყო გაბნეული. ნაღვლიანმა დავხედე და წამოგედო იქ, სადაც რეალური მხოლოდ ტანჯვაა. გამოღვიძებულმა საეჭვოდ გავიხსენე ყველაფერი, ერთი წუთით გამიელვა ოდნავი სიხარულით ახალმა აზრმა, კი მაგრამ, როგორ წარმოვიდგინე, რომ საერთოდ ამ დაუსრულებელ სიზმარში ისრები მოძრაობდნენ? ამ დროს ხომ დრო შენია, სიზმარში ყველაფერს მხოლოდ შენ აჩქარებ და ანელეხ. აწმყოს შეგრძნებებით გაუღენთილმა ბალიშს თავი დავადე და უსასრულო ფიქრს მივენდე, საიდანაც ძილისკენ მხოლოდ ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი.

მთელი ღამე ამქვეყნიური ტანჯვისგან გარიდებული ძილში ვშფოთავდი, ვიბრძოდი უხმლო მეომარივით. ხშირად მეღვიძებოდა და ელას ჟღალი, გაშლილი თმა მეღანდებოდა, რომელიც სასიამოვნოდ, შეუხებლად ანათებდა საძინებელში.

ან გელოზი თუ გველი?

მეორე დღეს მეტად ნაღვლიანი დავიარებოდი ბრბოთი გაგსებულ შესახვევებში...

ჩემს გულს ელას გული ენატრებოდა... ის ხომ ჩემი ნაწილი იყო, მაგრამ მაინც ჩემს თავს ვაჯერებდი დაუჯერებელს, რომ არ უნდა მომდომებოდა მისი ხილვა. წინა ღამით ნაფიქრი სულ აღარ იყო დღისით ისეთი მომსიბვლელი, ჩემი შეგვრძნებები მის გადარჩენაზე ნაკლებად შთამბეჭდავი გახდა.

ვიცოდი თითქოს, რომ აზრი არ ჰქონდა ჩემს შფოთვას... ოფლიანი და გაბრუნებული მივდიოდი. სად? რა თქმა უნდა, პაემნის ადგილზე, ტყეში... ჩუმად ვბოდავდი რაღაცებს, თითქოსდა გილიოტინაზე აყვავდით და სიკვდილის წინ უთქმელ ფრაზებს გზაზე ვაბნევდი: „ცალმხრივი სიყვარულის როგორ არ მჯერა, ამ სამყაროში ყველაფერი დაუჯერებლის მჯერა, ასე გულის ამჩქარებლად რომ მხვდება ყოველ ნაბიჯზე და საუკეთესო მშვილდოსანივით ისარს პირდაპირ გულში მახვედრებს... ნუ იტყვი, რომ კაცს ქალი ცალმხრივად შეუყვარდა, ეგ მის გონებაში ჩაფლული გველის შხამია, რომელიც ახსენებს ამ ქვეწარმავლის დაგესვლის დღეს, მოსაშუშებელი წამალი კი სიმართლის გამხელაა საკუთარ გონებასა და გულში. ვიქნები თამამი და ვიტყვი, ვიტყვი, რომ მხოლოდ გულთან... მე... მე მიყვარს ოცნება. ოცნება, რომელშიც იგია და რომელიც წამები თუ წუთები გრძელდება. ვხვდები, ამ მტანჯველ ცხოვრებაში პატარა დროში ჩატეული დაუჯერებელი სურვილი როგორი მნიშვნელოვანი ხდება. მე შეყვარებული ვარ ჩემს წარმოსახვაზე, ქალი უბრალოდ მუზაა, რომელიც მედუზაა ადიდებულ ზღვაში. მოგედება ტალღებში, დაგსუსხავს და წავა. გულის სიღრმეში კუთხეში მიმაღულ სიცრუეს აუცილებლად დღესვე უნდა აგკრა ხელი, ფართოდ გაავლო კარი და რეალობასთან შევაჯახოს. კარი მჭიდროდ დავხურო, გასაღები კი გონებას ვაჩუქო. ვიცი, ეს შესაძლებელია, ვიცი! ადამიანს დაწყევლილი წარმოსახვა რომ არ ჰქონდეს, არც ასეთი ცოდვილი იქნებოდა და არც ასე დაუჯერებდა საკუთარი თავის ახირებას, რომ დროებით ამოსულმა ვარდმა შეიძლება სამარადისოდ აფრქვიოს სურნელი, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ღამაზია შენს წარმოსახვაში, წყლით სავსე ღარ-

ნაკში. ეს ასეა, ასეაა! აუცილებლად ასე იქნება ჩემთანაც. მაგრამ, დაგესვლათ, მე არ ვახსენებ ამ წამს? ელა გველი როდია? არა, არა, სწორედ რომ არის, ყველაზე ლამაზი გველია გველებს შორის. ღმერთმა დასწყევლოს, როგორ მინდა დამგესლოს.“

ფიქრებით გაბრუებული ბოსტნეულით სავსე კალათას შევეჯახე, რომელსაც ლამის მიწამდე მოხრილი, კუზიანი ქალი მოათრევდა. ათასი დარდით სავსე თვალებით შემომხედდა:

– ამ ბოსტნეულს ძლივს ვაგროვებ, შენ კიდევ შენი უმაქნისი ფეხებისთვის ვერაფერი მოგიხერხებია, წინ მაინც რომ არ დამეჯახო.

– უკაცრავად, არ მინდოდა. დღეს ორმაგად დაგიბრუნებთ ყველაფერს. – გამოფხიზლებულმა, ტყუილი სინანულით შევაგებე გაცვეთილი სიტყვები და სახიდან ოთხი თითით ოფლი მოვიწმინდე.

– ელას ახსენებდი? სანამ დამეჯახებოდი, გავიგონე.

მეც თითქოს არ ვიცოდი, ვისზე საუბრობდა, გავიკვირვე და ქალს ჩავეკითხე, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სახელი ჩემს გონებას ყველა კუთხეში წამალივით მოსდებოდა:

– ვინ? ვინ არის?

– ელა, დღესაც თურმე წიგნი მოუპარავს ბებერი ფედ-ჩასგან, იჯდა და კითხულობდა. მაგას თავიდანვე უშლიდა საწყალი დედამისი, ნუ კითხულობ, ერთს მერე მეორეს დაამატებ, იქნებ ისე გათამამდე, ამ დამატებებით მაღლა ახვიდე, ღმერთს გაუტოლდეო. ყველა ვეუბნებით, ვუხსნით, ეგ ამბიციები მოიშორე, შენს უბედურ ბედს უარესს უზამო. არ იჯერებს, ეშმაკის მოციქულია. მისი მშობელი დედაც კი უარყოფს მის ამქვეყნიურობას. როგორ შეიძლება ტყუოდეს? თუ გწადია ჩემი დახმარება, წაიყვანე, თორემ ნამდვილად ვინმეს შემოაკვდება. წყევლა გვაქვს მაგის გამო, ვერ ხედავ? არაფერი ყვავის. შენ რომ მეუბნები, ორმაგს დაგიბრუნებო, სადაა მაგდენი ბოსტნეული აქ? არაფერი გაგვანჩია, ხანძრები არ გვეყო, ახლა მოსავალიც აღარ მოდის. ეგ კიდევ, დახმარების მაგივრად, უსაქმურად წამომჯდარა, წიგნს კითხულობს,

წიგნს. ეგ შეინახავს დედამისს? მოაშორე მოაშორე!

ქალმა აკრიფა ყველაფერი და წყველა-წყველით წავიდა თავის გზაზე, მე კი გონებაში სიხსლემ გამიელვა – წასვლა, შორს, ელასთან ერთად...

მაშინვე შეეცვალე მიმართულება, გონებაში მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ მიტრიალებდა, აუცილებლად უნდა მენახა, ჩამეკრა გულში და თუნდაც ჩემი ჟანგიანი ველოსიპედით, მრავალი დარდის შემდეგ, მთელი სისწრაფით წამეყვანა ძალიან შორს.

50 მეტრში მისი სახლიც გამოჩნდა. ვფიქრობდი, დღეს აუცილებლად დავძლეე ჩემს თავს, რადგან როდესაც გიყვარს, საკუთარი თავი არაფერია. შენი გრძნობები, შიშები ყველაზე პატარა წერტილია გამუქებული წრის გვერდით. ოხ, როგორ ვებრძოდი ჩემში არსებულ ემოციებს. ვცდილობდი ცოტა ხნით მაინც გულის რომელიმე კუთხეში მიმემაღლა ისინი და ღამით ამოსულ მთვარესავით გამენათებინა გონება და მკაცრი რჩევებისთვის მიმეცა უფლება ჩემი ბედ-იღბალი შეეცვალა.

ქარიშხალი მანგრევედა, ჩემს შეგროვებულ ობოლ წვიმის წვეთებს აშინებდა, აბრუებდა, აჯერებდა, რომ ის იყო ყველაფრის შემოქმედი, ხოლო მათი ერთობა უბრალოდ ფუჭად დროის კარგვა იყო. მე ყველაზე სამართლიანი მოწმე მყავდა ჩემში დატრიალებული ომის. შემოქმედმა იცოდა, როგორ მიყვარდა ელა, როგორ ვგრძნობდი მას ყოველ ყვავილში, ყოველ ფოთოლსა და მწერში. მე მას ყველგან ვხედავდი. ღმერთი ხომ ბუნებაშია, ის ხომ მრავალი სასწაულით სავსე ყვავილია, გაიფურჩქნება, განახებს ჭეშმარიტებას, თვალებთან მოგაფრქვევს და წამში უჩინარ არსებასავით გაქრება. რას ვიზამთ, მოვასწროთ უნდა და დავინახოთ. ძებნა უნდა, ძებნა ადამიანო თორე ყველაფერში ღმერთია. ელა კი ჩემი შემოქმედი, ჩემი უფალი გახლდათ, ყურებში ტკბილ სიმღერას რომ მიმღეროდა, ცეცხლისფერ თმას ჩემს მკერდსა და მხრებზე რომ ჰყენდა და მავიწყებდა ამქვეყნიური ცხოვრების ავსა და კარგს...

გზაში მაფიქრებოდა, რომ არა ელა, რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება? ერთი ჟურნალისტის ცივი დღეები. შეიძლება მშვენიერი ოჯახიც შემექმნა, შვილებიც მყოლოდა. აუცილე-

ბლად ერთს კი დავარქმევდი მის სახელს, მის სახელს თუ არა, ისეთ რამეს მაინც მოვიფიქრებდი, სულ ელას თვალები რომ გამხსენებოდა. ალბათ ლამაზი ცოლიც მეყოლებოდა, რომელიც ყოველ დილით ჩაის მომიდუღებდა, სხვადასხვა ხილის მურაბებს გადმომილაგებდა, შუბლზეც ნაზად და ალერსიანად მაკოცებდა, ერთ-ორ ტკბილ სიტყვასაც დაუმატებდა და ვითომ... ვითომ რა? ტკბილი მურაბებით ამივსებდა გულს? რაღაც არ მექნებოდა, რაღაც, რაც მთელი ძალით მაიძულებდა დამენახა, გულში აქაფებული ტალღები ოკეანის სიღრმეში წარმოქმნილ დარღებს ამბისტანია ბავშვივით რომ მომიტანდა ნაპირთან.

ელა ჯოჯოხეთში ჩემი თავგადასავალი გახლდათ, რომლის ბოლოც პატარა ქოხი და უამრავი მოგონება იქნებოდა. მისი ფიქრებით გაუღენთილი ბალიში, ხანდახან უაღერსო გათენებაც, მაგრამ მასთან ერთად, მის სიახლოვეს ჩემი ცხოვრება ნამდვილად ყოველდღე აზრს შეიძენდა... მეტი არც მინდოდა...

ეზოში შევდგი თუ არა ფეხი, ჩემმა ყურებმა საზარელი ყვირილის ხმა გაიგეს. მივხვდი, ელა იყო. ვერ ვიჯერებდი ასეთი ანგელოზის შემზარავ ყვირილს. მეგონა, რომ სხვის საცხოვრებელს მივადექი, მაგრამ არა. ელას სურნელი კვლავ ძველებურად მაბრუებდა. მივხვდი, რომ ფედჩასგან მოპარული წიგნების გამო ხდებოდა ეს. მაშინ კი ბუნების სილამაზით გაბრუებულმა დავარწმუნე ჩემი თავი ადამიანების სისასტიკეში, ყოველი ბუჩქი, ყოველი ხე, ყოველი ცხოველი იმდენად კეთილია კაცობრიობისთვის, რომ სამარადისოდ უნდა ვცეთ მათ თავყანი და მივბაძოთ. დიახ, ნამდვილად ადამიანებმა უნდა ინატრონ ცხოველობა. აი, თუნდაც იმ ქალმა, ბოსტნეულის კალათით ხელში რომ დაიარებოდა, შებინდებისას, თავის თავთან მარტო დარჩენის დროს აუცილებლად უნდა სთხოვოს ღმერთს გვირილის თაიგულად გადაქცევა, ლამაზი, თეთრი ქალიშვილებივით რომ შემოსურტყამთ დედისთვის წრე, სილამაზით სამოთხეს რომ ედრებიან. ამ ნატვრით ჩაძინებულმა იქნებ მეორე დღეს მაინც შეიმეცნოს სილამაზის სამარადისო ხიბლი. ან თუნდაც ფედჩა, სიგარეტის ბოლში რომ გაჰყავს დღეები, ალპობს მამისეულ წიგნებსა და თავი მეცნიერად რომ მოაქვს, შეედაროს თუნდაც ფესვებმოჭრილ ხეს... ვაი, რომ მაშინ მიხვდება, როგორ ამძიმებს სამყაროს მისი უაზრო ხეტიალი, არაფრისმეტყველი მზერა.

ღმერთო, რა იქნება, მაქციო ჩიტად, რომ ვიხილო ისინი ძილის წინ, რომ გავიგო, შერჩათ თუ არა წითელი სითხით სავსე გულები, სწრაფად რომ ფეთქავენ ბოროტების კეთების დროს... და თუ ისინი ერთ დღეს ნამდვილად მოინანიებენ, გთხოვ, მომეცი უფრო გრძელი ფრთები, რომ დავიციო მათი ცოდვები და ღრუბლებს იქით გადავისროლო დაქანგებული ნივთებივით.

შესასვლელთან ნელი ნაბიჯებით მივედი, კარი ღია იყო, ყვირილი მწარე მოთქმით იცვლებოდა.

ელას შეგროვილი წიგნები დახეული და ცარიელი ყდებით ეყარა მისაღებში. ჩემს თვალებს არ ავიწყდება რთულად გასარჩევი სათაური, გარდაცვლილ ელას რომ ეყარა მოხუცი მშობელივით – „გაუგე და გაგიგებენ“. ჩემმა ტანმა აუარებელი ტკივილი ერთბაშად იგრძნო... გაუგე და გაგიგებენ? ელა, შენ ვერ გაგიგებენ. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ წიგნის მსგავსი, უნახატო, გაცრეცილი, შავი ყდა დავინახე. მიგუახლოვდი, დიდი ინტერესითა და გაოცებით დავისარე. ალბათ ამის დახევა ვერ მოასწრო დედამისმა და კუთხეში მიუგდო. გავიფიქრე თუ არა, ავიღე, თითები მჭიდროდ მოვუჭირე და გზა განვაგრძე.

ნელი ნაბიჯებით ვცდილობდი მისაღები გამეგლო და იმ ოთახში შევსულიყავი, სადაც ელას ტირილი ისმოდა. ღმერთო, მხოლოდ შენ იცი, როგორ მიმძიმდა მისი განწირული ხმის გაგონება, მხოლოდ შენ იცი, რომ არაფერი შემეძლო მაშინ და სწორედ ამ უმწეობის გამო დარწმუნებული ვიყავი, შევიძლებდი ჩემს თავს.

ღიას, ასეთი სიყვარულიც არსებობს, არ შეგიძლია დაეხმარო მას, ასე გამოფიტული მტრედივით რომ ცდილობს აფრინდეს ცაში, შორიდან დარდობ და აკვირდება.

ვერ შევძელი. გამოვბრუნდი და რაც შეიძლება სწრაფად გავეცალე ელას სურნელს. ჩემს თავს ვერ ვუტყდებოდი, როგორ შევძელი წავსულიყავი იქიდან, სადაც ჩემი სიყვარული ტიროდა. როგორ შევძელი მეთქვა ჩემი თავისთვის – „არა“... მაგრამ თავს ერთი რამით ვინუგეშებდი, ელას მე არ ვუყვარდი. ამიტომაც ვფიქრობდი, რომ ვერ დაგვხმარებოდი. ხელში დარჩენილი დღიური კი კვლავ მჭიდროდ მეჭირა, საინტერესო

იყო, რას კითხულობდა ელა.

გონებაში პატარა ბავშვებივით მეთამაშებოდნენ აზრები, ვერ ვუჯერებდი ვერცერთს. ვიცოდი, მათთვის რომ მომესმინა, საბოლოოდ, გაგვიჟღერებოდა და თავს მოვიკლავდი.

თავიდან ერთი აზრი წამოიჭრა, თითქოს რამის გაკეთებას მოხოვდა. უნდოდა მომემარჯვებინა მშვილდ-ისარი და სოფელში ყველა მაცხოვრებელი, ვინც ელას სილამაზეს გამოხდა, თვალის დაუხამხამებლად ამომეწყვიტა.

მეორე აზრი პირველი აზრის გაქრობის შემდეგ მაშინვე წამოიჭრა, ვატყობდი, მეტად უსიამოვნო ხდებოდა და ვცდილობდი ისევ პირველზე მეფიქრა. მიწურჩულებდა ბოროტი დედაკაცივით, „ელა არ არის სასწაული, ელა მართლაც ცეცხლისგან შობილია და დაუჯერე ხალხს, მიენდე და დაინახავო. მე კი ვიტანჯებოდი, არ მინდოდა ასეთი ფიქრებით ელას სიყვარულისთვის ზიანი მიმეყენებინა. არ მინდოდა სისათუთე მახინჯი აზრებით გადამეფარა. მესამე და საბოლოო აზრი კი მე მაღანაშაულებდა, როგორ შევძელი უსუსური ყვავილის გვერდით მშიშარა მელიად გადაქცევა, რატომ მაიძულა გონებამ დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა?

შებინდებულზე სანთლები მალე ჩავაქრე, არანაირი სინათლის ხილვა არ სურდა ჩემს თვალებს, არც ელასი. ვექებდი ჩემი აფორიაქების მიზეზს. ვფიქრობდი, ვფიქრობდი და ერთმა მეტად შემაშფოთებელმა დეტალმა გაიარა ჩემს გონებაში. მაშინ, როდესაც მე ჩემი და ელას პაემნის ადგილას მივდიოდი, მეტად გაბრუებული და შეშინებული ვიყავი სიზმრების გამო. ჰო, ჰო, მახსოვს, ცალმხრივ სიყვარულზეც ვბოდავდი რაღაცებს. მაშინვე დავიწყე ელას გველად ხსენება, ვაღანაშაულებდი დაგესვლის გამო და ჰოპ, ზუსტად მაშინ გამოჩნდა ის ქალი თავისი კალათით. ჩემი ელას მიმართ სულელურმა ბრაზმა მისი ახირებული საუბარი ცუდად მიიღო. სწორედ ეს იყო მიზეზი უკან წამოსვლის, მე მას ვჭირდებოდი. იმ ყველაფერმა, რაც რამდენიმე წუთის წინ ჯერ ჩემს გონებაში, შემდეგ კი მოხუცის დიალოგთან გამოიხატა, მაიძულა ელა მიმეტოვებინა...

ვატყობდი, უფრო და უფრო მიყვარდებოდა, მაგრამ ამ სიყვარულისთვის მსხვერპლი იყო საჭირო, მე კი, გარშემო

მყოფი ცივი თვალების შემხედვარე, შეცდომის დაცვას ვცდილობდი. ეს კი მიბიძგებდა კვლავ მეორე, მესამე და მეოთხე შეცდომა დამეშვა.

ელას ფიქრები ჩემს ფიქრებში აღარ იჭრებოდა, ვეღარ ვუვებდი მას. ვატყობდი, თუ როგორ ნელა შემოდოდა ბრბოს შხამი ჩემს სისხლში.

ამ სამყაროში თითოეულ ტოტს თავისი ჩიტი ჰყავდა, თითოეულ მთას თავისი თოვლი ეკვროდა, რომელიც ზამთარში გადაეფინებოდა მონატრებული მეგობარივით. აი, იმ ყვავილებსაც ჰყავდათ ბოროტად მომღიმარი მეგობრები, ერთ დღეს აღერსიანად რომ რწყავდნენ, უვლიდნენ, მეორე დღით კი გამჭვირვალე ლარნაკისთვის იმეტებდნენ.

ამ სამყაროში ყველას ჰყავდა ცუდი თუ კარგი მეგობარი, მე კი არაფერს მყავდა, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ თუ ჩემი გული ვინმეს ბოლომდე შეიფყარებდა, თუ ვინმეს მეგობარს დაარქმევდა, მას არასდროს, არასდროს მოუმტკრევდა ზამთარში შეყინულ ტოტს, არასდროს გასწირავდა შავი სამოსისთვის. ელა ჩემი დიდი სიყვარული იყო, ჩემი ერთგულების დედოფალი, განუსაზღვრელი დარდი, რომელიც ხმელეთზე მოსიარულე ჩემს ნაბიჯებს მზრუნველი მშობელივით დასდევდა. ელა ჩემი მეგობარიც იყო, რომელსაც ვკარგავდი. სარკეში ვუყურებდი საკუთარ ანარეკლს, ვხვდებოდი, ის უფრო ნამდვილი იყო, ვიდრე მე. ვხვდებოდი, რომ გაშავებულმა, გაბოროტებულმა ბრბომ იმდენად ჩამითრია ამ დაუსრულებელ დრამულში, რომ ხელის მოსაჭიდი – საკუთარი თავიც კი არ დამიტოვა.

ღმერთმა იცის, როგორ ვწუხდი საკუთარ თავზე, როგორ მინდოდა დამეგლიჯა ჩემი კანი, ასე რომ იყო აღვსილი გაუგებარი ეჭვებით.

ელას საკუთარი თავი არასდროს დაუკარგავს, ის იბრძოდა სისხლისფერი ცრემლების ფასად, ლაბირინთების აგებით იტანჯავდა ცხოვრებას, მაგრამ მაინც იბრძოდა, რადგან სწამდა, რომ ის ერთადერთი არ იყო. იცოდა, რომ მისნაირი სხვაც იარსებებდა. იცოდა, რომ ამ პლანეტაზე თუ არა, აი, იქით, იუპიტერის შემდეგ, ათიათასობით პლანეტიდან ვიღაც მისნაირად განიცდიდა, სხვაც ეძებდა, ლაბირინთში მორბენალ

სიმართლეს. მე კი მსხვერპლამდე ვერ მივედი, ვერა და ვერ მივბობლდი ჩამოურეცხავი ეჭვების გასაწმენდად. მჯეროდა, რომ დროებითმა გაუგებრობამ მოიცვა ჩემი გული და გონება, მაგრამ მაინც ვერ ვპატიობდი საკუთარ თავში ამოზრდილ აზრებს, რომლებიც აღქაჯებსა და დევებს ემსგავსებოდნენ. ეჭვი მაშინ შევიტანე, ის გოგო რომ ადგა, ასე ამაყად რომ წარმოთქვა თავისი სათქმელი ყველას წინაშე. მეც მაშინვე გამიელვა, შურს და ამიტომ კიცხავს-მეთქი, მაგრამ მის გვერდით მტრის ხანჯალივით ჩასაფრებული სხვა აზრიც ამოტივტივდა, ნუთუ შეიძლება ყველა მტყუანი იყოს? აი, მაშინ დაიწყო ჩემი ჭირი, ჩემი თეთრი ჭირი, რომელიც თან ელასკენ მიილტვოდა, თან ღრმა, შავი ორმოსკენ, რომელიც მათი შხამით იყო ამოვსებული...

მოპარული დღიურისთვისაც მოვიცალე, ჩემი მოპატიუებული აზრები გვერდით გავეარე და გადავშალე მოშავო, გახუნებული დღიურის პირველი ფურცელი, რომელზეც წვრილი ასოებით ეწერა:



„ივეორას დღიურებიდან“.

ჩემი კანი ოდნავ უხეში და გაყვითლებული იყო, ალბათ რამდენი თითიც მაქვს, იმაზე ათჯერ მეტჯერ უთქვამთ – სარეცხის საპნის სუნი აგდისო, მაგრამ გაუდიმიათ და ხელიც ნაზად გადაუსვამთ ჩემს მოკუნტულ თავზე. მე ის ვიცი, რომ მათი მოფერება მხოლოდ უმწეობის შეგრძნებას მიტოვებდა.

ივეორა მქვია, მაგრამ ყველა ორა-ორას მეძახის და... და ძალიანაც მომწონს. ალბათ ეს ერთადერთი რამ არის, რაც ჩემში სიმპათიას იწვევს, ეს არის ის სიტყვა, რაც მხოლოდ მათგან მსიამოვნებს.

კლინიკას სამი სართული აქვს. ფეხშიშველას ხშირად მისეირნია ზემოთ და ქვემოთ, იმის იმედით, რომ დავიღლებოდი და შემდეგ ამის გამო მწარედ ავტირდებოდი. იქ მყოფებს ვეტყოდი, რომ იცით, მე ფეხები მეტკინა, დამეშაშრა, მეწვის და ამიტომაც მეტირება. თუ შეიძლება, მაღამო მომიტანეთ, რომ მეორე დღეს უფრო კარგად ვირბინო.

ისინიც მომირბენინებენ, თავზე ხელს გადამისვამენ და ჩემად ეტყვიან ერთმანეთს: „ორა-ორას ფეხები სირბილის გარეშეც ჭუჭყიანი და უხეშია“ და ჩემდა საბედნიეროდ, მალევე დატოვებენ იქაურობას.

ჩემს საწოლში ჩემზე საცოდავად გახლართული საბანი, რომელიც არც ისე კარგად მათბობს ხოლმე, ხან ფეხებს მიფარავს, ხან წელს. რა ვქნა, ორივეს ვერ ვათბობ, ზედმეტად პატარაა ჩემთვის. არც არავინ მიცვლის, აბა, ორა-ორას რად უნდა ასეთი რამ? ის ხომ უგრძნობი, სუსტი და ისედაც ცხოვრებისგან დატანჯულია. დაეიჯერო, საპნის სიგრძე-სიძოკლე ადარდებს?

და რა იციან მათ ტვინში მოძრავმა უჯრედებმა, რომ დიდი ხანია, ტანჯვა ჩემი ბედნიერებაა. ისე, მის გარეშე ყოფნა არც შემიძლია, მიყვარს.

საჭმელი? ოო, საჭმელი მეტად უსიამოვნოა, მაგრამ მაგასაც მშვენიერად მივწევი. ვიცი, როგორც კი შევჭამ ერთ-

ორ ლუკმას, მზარეულიც მაშორებს თვალს, დანარჩენს კი შემოჩვეულ ძაღლს ვუყრი, რომელიც გაუთავებლად ჭამს. ღმერთო, შეუძლია მთლიანი კლინიკის საკვები შეჭამოს.

რამდენიმე წლის წინ, აქ როცა მოვედი, მეტად მნიშვნელოვანი რამ გადამხდა. ეზოში სასეირნოდ გასულმა, მარტოდ მყოფი მოხუცი დავინახე. იცით, ჩემს ბებიკოს ჰგავდა. მეც მივედი, გაგულიმე და ცეკვა ვთხოვე. ადგა და მომაფურთხა, დამიყვირა, – ცეკვა სულელების საქმეა, უსაქმური ხარო.

მეც იმის მერე ბევრი საქმე გავიხინე. აუცილებლად, ყველანაირი მიზეზის გარეშე, სამივე სართულს ყოველდღე ვათვალიერებ, ყველას გამარჯობას ვუბნები და წამლებსაც ჩემით ვსვამ, მათი ხელისგულის ჩემს ტუჩებთან შეხების გარეშე. მწარეა ხოლმე, ისეთი მწარე, აი, ოდნავ იმასაც კი უახლოვდება, იმ რაღაცას, გულში რომ გჩხვლევტს განუკურნელი ტკივილის დროს.

მერე მდუმარე ვხდები. მძინავს. ორა-ორასაც აღარავინ მეძახის ხოლმე. მწყინს და უფრო დიდხანს ვაგრძელებ ძილს. რაღაცებს ვკითხულობდი, მაგრამ კაი ხანია უკვე, ეგეც დამიშალეს, ისედაც ზედმეტად ნიჭიერი ხარო.

მე ისეთი კარგი გოგო ვარ, როგორებიც სახლში ჰყავთ, უვლიან, ეფერებიან, საუკეთესო შვილს ეძახიან, საუკეთესო დედას და არანაირ მწარე წამლებს არ აძლევენ. მე ვიცი, რომ ასეთი გოგო ვარ, მაგრამ რატომღაც ვიდაც სულელმა ქათმებმა ჩემი მათნაირ უმწეო კრუხად გადაქცევა მოიფიქრეს, თუმცა კვერცხის დადებას ვერ შევძლებ, ამიტომ ისევ კარგი გოგო მინდა ვიყო, ამიტომაც მინდოდა კითხვა.

მამა... ის ყოველდღე სასტიკად მირტყამს, ჩემს სხეულს ამოწურული აქვს ყველანაირი რესურსი იმისთვის, რომ დაღურჯებას შეეგუოს.

იცო, წინა ზაფხულს, მაშინ, როდესაც მზის სხივები ჩემს სხეულში აღწევდა, უბრალოდ გასეირნება გადავწყვიტე, როგორც ჩვეულებრივმა მოკვდავმა. მეც ამიტაცა სურვილმა, რომ მენახა ზაფხულის სითბოთი შემოსილი სილამაზე. ძალიან ბევრი ყვავილი დაკერიფე, ახალი სარაფანიც ვიყიდე. სახლში მოსულს ბავშვები ატირებულები დამხვდნენ. ვერ გამეგო, რა ხდებოდა. შევედი ოთახში და დიდი ბლაგვი საგანი მომხვდა თავში. რომ გამოვფხიზლდი, სარაფანი დახეული იყო, ჩემს მკერდს ყვავილები ფარავდა, იმ ყვავილების ფოთლები, რომელიც ზაფხულს მოეტანა ჩემთან... ის კი იქ იჯდა, ჩემ წინ და ბეთჰოვენის მეხუთე სონატას უსმენდა, თან მეუბნებოდა, უსაქმურო, ყვავილებიც კი გღალატობენ, ხომ ხედავო.

5 სექტემბერი

არვიცი, რატომ არ ვარ შენთვის ასეთი შვილი, რომ მისნა ამ დემონისგან, მაგრამ ერთი რამ ვიცი, ან მე ან ის. მხოლოდ ჩემი ოთხი უდროო დროს ამოსული ვარდი მიხალისებს ცხოვრებას. დაგწყევლოს ღმერთმა, ჯანდაბა!

1 ოქტომბერი

ხვალ წამიყვანენ, შვილებსაც ჩამომართმევენ. აღარ არის, დანაც სულ წითელია. მოკითხვა შენს ყვავილებს, ბალახს, ეზოში რომ გაფენილა, მათზე უფრო მეტს რომ ზრუნავ, ვიდრე შენს უკვე ობოლ შვილზე.

ყველაფერი გააზრებულად ჩავიდინე.

გასულია შვიდი გახსენებული წელი.

9 ფეკემბერი

ამ კედლებმა გაიგეს ჩემი ყველა დარდი. აღარ მადარდებს არაფერი, მენატრებიან უბრალოდ. იქნებ ინახულო, იქნებ აკოცო ისე ძლიერად, თითქოს შვიდი დაწყვევლილი წელი დედას მათთვის არ ეკოცნოს. აგრძნობინე, რომ საუკუნოდ მათი ვარ.

არ ვნანობ.

გასულია რვა გახსენებული წელი.

26 თებერვალი

ორი ქალი მოვკალი. ჩემს უარესად დატანჯვას და გზების გადაკეტვას აპირებდნენ. დამე მოგვუდე.

არ ვნანობ.

თარიღი -

აქ თბილა.

მამაა, იცი, რა მინდაა? აი, ის თბილი ჩაი, შენ რომ მასმევედი ბავშვობაში, თან ხელებზე ნაზად რომ მეფერებოდი. მაგ კანის შიგნით მოძრავი სისხლი გაჟღენთილია წამლებით, რომლებიც უარესს მიშვრება, მაგრამ მჯერა, რომ ჩემი ფრთაც იპოვის თავის სხეულს. ყველა ადამიანშია სასწაული, როგორც ქვის ქვეშ ამოსული ია არის საოცრება, ისე ადამიანის გულში მფეთქავი რწმენა არის ბუნების ნაწილი.

ფიქრებით ვარ გართული, ცისარტყელას როცა ვუყურებ, შავი ფერი მელანდება და გული მწყდება, რომ ასეთ ერთიან ფერებს გარიყული სიშავე, ცოდვებთ აღსაესე ადევნებს თვალიყურს. მე მას ვხედავ, მაგრამ ის მე - ვერ.

გასულია თხუთმეტი გახუნებული წელი.

„იმაზე დიდი, ვიდრე იყო“

ჩემი ოთხი დევი ალბათ მთებს იქით ახალი სახლების მოსაძებნადაა წასული. დიახ, დევები, დიდები და ძლიერები, ისინი იმაზე დიდები არიან, ვიდრე ჰგონიათ. ქვენ წარმოიდგინეთ, იმხელეები, რომ გულში ვეღარ ჩაეტივნენ და სადღაც სხვაგან გადაინაცვლეს. ნეტა დევებს დედა არ ჰყავთ? სახლებს რომ ნახავენ, დედა არ უნდა წაიყვანონ? ნაჭრილობევი არ უნდა შეუხორცონ თავიანთი მსხვილი და დიდი ცრემლით? ისინი თუ არა, მე ვიპოვი და მივუყვან. მათსავით დიდი იქნება, არ ვიცი, როგორ დავძრავ, მაგრამ ამ სართულებზე უფრო ბევრს ვივლი, რომ მერე უფრო სწრაფად გავყვე მათ ნაკვალევს. გამიგია, რომ როგორი ძლიერიც არ უნდა იყო, დედა საჭიროა, რომ გითხრას, თუ როგორი იყავი, სანამ ასეთი გახდი. აქ ჩვენ დაპატარავებას გვასწავლიან, ამიტომ გამოდის, რომ ობოლი ვარ. მერე რა? მე მგონი, კარგიც არის, ზოგჯერ ვინმეს ყოლას, სჯობს ცარიელ გამოქვაბულში მოთავსდე და შენით ისწავლო ცეცხლის დანთება. ჯოჯოხეთში ალბათ ეყოლებათ ის ერთი, ვინც მათზე ყოველთვის ირიბად იზრუნებს, ვინც მათ მომავალ დღეზე იფიქრებს და ათას ცრემლს დაღვრის ცეცხლოვანი პურის არშეჭმის გამო. ასმაგად ინერვიულებს ლავაში მოცურავე სულების გამო, რომლებსაც საათი დათქმული არ აქვთ სახლში მისვლის.

დიახ, ჯოჯოხეთშიც ეყოლებათ ვინმე ასეთი და ის უსათუოდ დედა იქნება მათი.

წამი, რომელიც გაუაზრებლად გადის, შენს მეხსიერებაში აუცილებლად იპოვის პატარა კუთხეს, სადაც მიიყუება და საჭირო დროს ამოიფრქვევა ყველაზე ლამაზ და მშვენიერ სანახაობად. მე ამის ისე გულწრფელად მწამს, როგორც დედის სიძლიერის. მერე რა, რომ ამდენი წელი ჩემს კალთაში მათ სუნთქვას არ გაუჭრია ჰაერი. მერე რა, რომ სულ პატარები იყვნენ, მე მათი მოთხუანული სახე ჩემი მოთხუანული დანის გამო რომ დავტოვე. იარსებებს მოგონება, რითაც ისინი აუცილებლად გამიხსენებენ.

„თავსატყუი“

– ორა-ორა, მნახველია. გამოდი, გოგო, გამოდი!

– ვინ? მძინავს, თუ ისევ ის არის, არ მინდა, ვადი.

– კაცია, მამაშენია სავარაუდოდ, შენნაირი ცხვირი აქვს. – ექთანმა დამცინავად შეხედა და დაღლილი კედელს მიეყუდა.

– ვინ? მამა? ეგ... ეგ სად იყო? ახლა აქ რაუნდა? მე... მე გამოვალ...

გაგიკვირდებოდა და ჩემი ნაბიჯები მშვიდი და ზედმეტად უგრძობი იყო. პირველ სართულზეც ჩვეული სილალით აღარ ჩავიბინე, ოთახის ჩუსტებიც ჩაცმული მქონდა. თეთრ კედლებს უეცარ მზერას ვაპყრობდი, მეც ვერ გამეგო რატომ. ჩუმად რამდენჯერმე ვკითხე ექთანს, ვინ მელოდებოდა, ის დუმდა. ჯერ ასე არ შემშინებია სიჩუმის.

მოსაცდელში ძალზედ მოხუცი კაცი დავინახე. დაიჯერეთ, გთხოვთ, ის მართლაც პარკივით მოჭმუჭნული იყო. წვერიც აქა-იქ ჰქონდა მოპარსული. ეგ ხო კლინიკაში არ ცხოვრობს, რატომ არ უვლიდა თავს?

ქვემოთ ყურება დაჟინებით მინდოდა. ის მოხუცი მე მიყურებდა. მე ხომ მისი შვილი ვიყავი, ასე რატომ მიყურებდა?! მერე ჩემს შესაშინებლად მჭიდროდ მოუჭირა სკამს ხელები, უცბად წამოდგა და იმ მდუმარე ექთანს მკაცრად დაუბღვირა. მგონი მომეჩვენა, მაგრამ ვატყობდი, ჩემს თვალებში თავშესაფარს ეძებდა.

მაშინ ჩემი განწირული ყვირილი სამივე სართულზე ისმოდა. სიჩუმემ მაიძულა. პასუხს ვთხოვდი, რატომ იყო დამტკნარი მამა და რატომ მენახებოდა ასეთი, მას კი პასუხი არ ჰქონდა. ნემსიც ჩვეულ ადგილას გამიკეთეს. ღრმა ძილი ღრმა ძილად იქცა.

მე ის ვნახე, მამიკო. ცუდია, ძალიან ცუდია. რატომ მტანჯავს ასე? რამდენჯერ დავუძახე და არ მოვიდა, ნუთუ...

ღამე მაინც მოსულიყო, მე ღამე სხვანაირი ვარ, უფრო ვტირი და უფრო მტკიავა. მეც მას მჭიდროდ ჩავეხუტებოდი და კვლავ მივცემდი უფლებას ჩემს ხერხემალზე ეკლები მოე-

ტეხა. მე ორა-ორა ვარ, უსაქმურად არასდროს ვარ. აი, ახლაც ფიქრებში გართული, ვდარდობ, განვიცდი მამიკოს არარსებობას. ის ხომ თურმე არც არასდროს ყოფილა, ახლა კი მოჭმუჭნულ პარკს დაემსგავსა. სულ არ ვეცოდები, არ შეცდევ და ექთანს არ დაუფერო ჩემზე, დარდიც საქმეა, ის თუ არ ფიქრობს ასე, მე ვთვლი, მაგრამ მე მაინც ფერადად მიყვარს, მე მაინც ფერადად დავდივარ, ფერადად ვგრძნობ უფერულს.

არ ვიცი რას მიშვრებიან, მაგრამ შავს ისევე ვხედავ, ისევე ისეა, დასჯილი ბავშვივით ატუზული ცისარტყელის ფერებთან.

„წული ზურთი“

მეორე დღეა არ ვჭამ. რატომ, არ ვიცი. აქამდე სხვის დასანახავად მაინც ვიტენიდი, ეხლა რაღაცას არ უნდა. ნეტა რას? კვლავ იმ პარკზე მეფიქრება, წარსულიდან გადმოტყორცნილ ბურთს რომ ჰგავდა, ჭუჭყიანსა და მტვრიანს, გზააბნეულს ჩემსავით, მიმართულება შეცვლილს. მე მას ვიჭერდი, დიდი ხანი ვიჭერდი, ჩემს თითებს ვასწაველიდი მის სწორად დაჭერას, შემდეგ ამ თითებს მის ჩემიდან ძალიან შორს სროლას. ოღონდ მთავარი აქ ერთი რამ იყო, სწორი მიმართულებით, სწორი ხაზით, მაგრამ აუცილებლად ძალიან შორს... ახლა კი გამონჩნდა და მიმართულება უარესად ამირია... კვლავ ახადა თავსახური დამტვერილი მოგონებების სკივრს. ნეტა ახალი ბურთის შოვნა შეიძლებოდეს, აქ არსად ექნებათ?

„ესეუ იუო“

პარკი აღარ მოვიდა, მეც დავივიწყე, როგორც სხვა ბევრი რამ. ეზოშიც მიშვებენ, სიმწვანე მაღიზიანებდა, ამიტომ სითეთრე ამჯობინეს და ისევ უკან გამიშვეს. არა უშავს, ჩემო თავო, ფანჯრიდან სიმაღლეზე აღმართული სახლი ჩანს, იქ მე ჩემი ოჯახი მყავს. ყველა ბედნიერია, ყველა იცინის და ფერებსაც ერთმანეთში არ ურევენ. იქვე ცისარტყელაც არის. კი, კი, ცისარტყელა, ოღონდ ჩემებური, რვა ფერით.

შავი ყველაზე მეტად მომწონს, მაგრამ ის მაინც ვერ მხედავს. მხოლოდ მე უნდა ვამჩნევდე? მე უნდა შევნატროდე?

თარიღი -

რაჭომ?

თარიღი -

შავი ფერი ნელ-ნელა მხედავს.

დამინახა. თურმე ფრთები მქონია. ხვალ ვცდი გაფრენას ძალიან შორს, იმ სახელში.

ხედავ რანაირად წვიმდება, როცა მე არ ვტირი?

დღიურის ფურცლის ბოლოებში სხვა პიროვნების კალიგრაფიით იყო მიწერილი აზრები. აქედან ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება უკანასკნელ ფურცელზე, მრგვალად და ლამაზად მიწერილმა ტექსტმა მოახდინა.

„რვა ფერი ანათებს. შავიერ ხედავს ორა-ორას, თავის კლოთაში ივეორას თავი ჩაუფია და მის ფრად შეუღვია. იმ ნემსის სილურჯეშაერ უშავეშ და კურნავს.“

მიხარია, მისი განსასვენებელი სიმაღლეზე მდგარი სახლი მარტო აღარ იქნება, იქ ორა-ორა და მისი ოცნებები ღრმად დაიძინებენ. პარკი, ოთხი დევი და გაუმაძღარი ბედნიერება.

მან კი როგორ არ იცოდა? როგორ ვერ მიხვდა? გულში როგორ არ აფათურა თითები? გაეწია-გამოეწია, ღმერთის ნამოქმედარს უთუოდ დაინახავდა. დასანანია, ასე ახლოს, ასე მისაწვდომ ადგილას ჩაბუდებულ რწმენას ფართოდ როგორ არ გაულო კარები. სად სდია გაუთავებელი სიბრაზით, სიმშვიდით აღსავსე რწმენის გუნდას, ტანჯვისას გულს ძლიერად რომ ეხეთქებოდა...“

ჩემი ეჭვებით ბოლო მიწერილი ელას ეკუთვნოდა. სავარაუდოდ, ამ ქალის დღიური საგიჟეთში იყო დაწერილი, რადგან არ ჰგავდა ჩვეულებრივი მოკვდავის ზრახვებს...

გაუვალ ჭაობში ვიყავი ჩაძირული, უამრავი კითხვა დამიგროვდა. აუცილებლად ელა უნდა მენახა, დღიური გადამეცა და კითხვები დამესვა, რადგან უკვე მიჭირდა ასე გაურკვევლად ყოფნა.

ვფიქრობდი, რატომ არასდროს მიდის ელა აქედან? თუ ხალხს ასე სასტიკად სძულს იგი, რატომ არ ტოვებს თავის სახლს? რატომ არ გარბის აქედან შორს? ამ კითხვებზე პასუხის გაგონება ისე მწყუროდა, რომ თავი ვეღარ შევიკავე, მოსასხამი და დღიური ავიღე და ამჯერად დაუფიქრებლად გავეშურე ელასკენ... როგორ მივადწიე მის სახლამდე, არ მახსოვს. საკმაოდ გვიანი იყო, მაგრამ ვიცოდი, თითქმის დარწმუნებულიც ვიყავი, რომ ელა ვერ დაიძინებდა. დღისით ასეთი ომის შემდეგ მის გონებას მეტად გაუჭირდებოდა სიზმრებისთვის მოეცალა.

ყველაფერი ძალიან უცბად ხდებოდა, როდესაც ჩემმა ნაბიჯებმა სვლას შეუნეღეს, მის ეზოსთან ქოთანს მოკვარი თვალი. დამტკვერილი და უყვავილო, უმიწო, ალბათ გამოუსადეგარი იყო, ამიტომ გადაგდება და მოშორება ჰქონდათ გადაწყვეტილი... ვიფიქრე გონებაში, ამას ვისვრი და ელაც გამოიხედავს-მეთქი. რატომ ვიყავი ასეთი გიჟური აზრებით სავსე, ვერ გეტყვით, მაგრამ ალბათ უკვე აღარ შემეძლო ყოველ დამე საკუთარ თავთან ახალი რაინდებით, ახალი გაწრთვნილი ჯარით უხილავი ომები, რომელიც ჩემს გონებაში საომარ ველს აწყობდნენ, საერთოდ არ ვებრალდებოდი, არ მიცოდებდნენ. ღმერთო, გონებაც კი ჩემს მტრად იყო ქცეული. მეც ადამიანი ვიყავი, რომელსაც აქვს საზღვრები, ყოველ მისულ წერტილთან რომ გამოაჩენდა წითელ ხაზს. თუ ამ წერტილს დიდხანს დავტკეპნიდი, ერთხელ აუცილებლად გადავცდებოდი. დიახ, ეს გარდაუვალი იქნებოდა, შემთხვევით მაინც დავუშვებდი ამ შეცდომას... ჰოდა, მეც ასე დამემართა. იმ დამით ქოთანი მთელი ძალით ვისროლე. არც ელას დედაზე მიფიქრია, არც იმაზე, ისედაც დანადგლიანებული ელა თუ გამიწყრებოდა. საკუთარი ეჭვების დასაკმაყოფილებლად ყველაფერზე ვიყავი წამსვლელი. ხვდებით? მე არ ვიყავი სიყვარულით შეპყრობილი, შფოთის ჭაობში ვიყავი ჩადირული, საშველს ყველა ტოტთან ვპოულობდი, მიტყდებოდა, მაგრამ მაინც არ ვნებდებოდი. ყოველთვის ვცდილობდი, ყველანაირ მდგომარეობაში საკუთარი თავი მემართა. ელამ კი ყველაფერი ამირია. ღმერთო, ნეტა როგორ დავალაგებდი ამ ყველაფერს ჩემი გასვრილი ხელებით?!. როგორ არ შემიცოდა, ნუთუ არ იფიქრა, მის ბუდეს ჩემს ბუდედ ვაქცევო? ნუთუ არ მოუნდა გამხდარიყო იმის მონაწილე, რასაც ადამიანებს შორის ურთიერთობა ჰქვია...

რამდენიმე წუთის შემდეგ ფანჯრიდან გაოცებული ელას სახე გამოჩნდა. ვფიცავ მის თავს, ტირილისგან დასიებული და შეშუპებული იყო. მე ჩემი ანგელოზი ვეღარ ვიცანი, მის სინაზეს ტანჯული ცრემლები ანელებდა. მკაცრი მზერა კვლავ მასში ბობოქრობდა, ამის გარეშე ელას ეშხი არც იარსებებდა, ასე ირონიულად რომ გაჰყურებდა ცოდვილთა ნამოქმედარს. მეც ხომ ერთ-ერთი მათგანი ვიყავი. მასში სიყვარულის მზერა ვერ ვიგრძენი, მაგრამ ვაი, რომ ვერც ვერასდროს ვგრძნობდი. რა არსებაა ადამიანი, შემოპა-

რული შფოთის დროს ყველაფერი ახალი და მომაკვდინებელი ჰგონია. მე მას არ ვჭირდებოდი, ეს ვიცოდი, ეს ფაქტი იყო, მაგრამ მე მჭირდებოდა ელა. როგორ შეიძლებოდა მოსულიყო, ასე აერია გულში ყველაფერი და დაულაგებლად წასულიყო? ეს არაფრით არ შეიძლება, ეს ხომ დიდი ბოროტებაა, ადამიანის გაწირვა უარესი ჯოჯოხეთისთვის. ღმერთო ჩემო, დამამცირებელია. არ შეიძლება ადამიანმა საჭიროება შექმნას სხვა ადამიანის საჭიროების გამო? არ შეიძლებოდა ელას საკუთარი თავი საჭიროდ ჩათვალოს და ჩემი ცხოვრება ცოტა ხნით მაინც გაეფერადებინა, თუნდაც უხილავი ფერებით? უბრალოდ, მე ნამდვილად მეცოდინებოდა, რომ მისი ცდა ჩემში განხორციელდებოდა. როგორ მენატრებოდა, როგორ მძულდა, როგორ მებრალებოდა...

ელამ თეთრ პერანგს, რომელსაც ნიავი ეპარებოდა, თავისი მოკლე, პატარა, მოქსოვილი შემოსაცმელი შემოაფარა, კიბეებზეც სწრაფად ჩამოვიდა. მესმოდა, როგორ მოიჩქაროდა მისი ომგადატარებული გული... მეც ველოდი, ისე, როგორც ელოდებიან ჯვარზე გაკრულნი მხსნელებს...

ელა ეზოში აღმოჩნდა, ახლოდან მისი სახე ნაკლებად დასიებული მეჩვენა. უფრო მომხიბვლელი იყო, თმა მეტად აჩეჩილი და დაუვარცხნელი ჰქონდა. მისი დაღალები მთვარის შუქზე გზას მინათებდნენ სამოთხის კარებამდე.

ვუყურედი მას და თავი დაკარგული მეკობრე მეგონა დიდ, უკიდვანო ოკეანეში, წამიერი ალიაქოთის გამო უზარმაზარი გემი თავისი ნივთებით რომ შეავსო და გაეშურა ლურჯ სივრცეში... სწორედ ჩემს ბავშვობისეულ დღიურში ამოვკაწრე ჩემი გულისთვის მეტად სათუთი ლექსი, რომელიც უბედურ, გაღიავებულ, ერთფეროვან ცხოვრებაში ქარის დაბერვას მოუთმენლად ელოდა. ელოდა, რომ წასულიყო უფრო ადვილად... უფრო შორს... სწორედ ეს გამახსენდა ელას აღელვებული თვალების დანახვისას:

„მეკობრესაჲ უფიქრია ერთხელ
ქარიშხლიან, უღიმღამო დღეზე.
ფიქრობს, მაგრამ მისი დარდი თითქოს,
ხმელეთისკენ აჭრიაღვებს აფრებს.
სიზმრებიდან გაღვიძებულს ისევ,
ელანდებ ალვის ხის ქვეშ ვინმე.“

სუსხავს, გულში იფებს ნაღველს,
მეფუზაა? და აგრილეებს ზღაპრებს.
ზღვის ტალღებზე მოაქანებს ფიქრებს
და ადიფებს მივინყებულ ფარფებს..
მეკობრესაჯ უფიქრია ერთხელ,
იქ, ხმელეთის სიყვარულზე, ადრე...“

ელას ხმამაღლა და ხელების გაურკვეველი მოძრაობით ვაგებებდი ათასი ფიქრით შეწყვილებულ სიტყვებს, მაგრამ არცერთი არ ამოვიდა პირიდან. ყველაფერი ისე ვუთხარი, როგორც საერთოდ ვერ წარმოვიდგენდი...

– სამოთხე გინახავს? ჯოჯოხეთი? მე მინახავს, ორივე... ჰო... ორივე შენშია... მე ის ვიცი, რომ ერთადერთი გზა სიცოცხლემდე განუწყვეტლივ შენი სუნთქვის მოსმენაა... მე უბუხრო შემა ვარ, გესმის? არ ვიცი... რას ვამბობ. არა, არა, ვიცი! არ გეგონოს, არ ვარ დარწმუნებული ჩემს სიტყვებში... რომ იცოდე, რამდენი ქარიშხალი მოსულა ასე, მაგრამ ყველას როდი მოუტანია ბალიდან ვარდები, თანაც ნარჩევი, ეკლებით სავსე, მაგრამ საუკეთესოები. შენ კი მომიტანე, ელა, ნიავიდან ქარიშხლად იქეცი. ვფიცავ ყველაფერს, თუ ჩუმიად ყოფნას მოისურვებ, ყველაფერი დაულაგებელ ეხოს დაემსგავსება... გაეშრები და გამოვიფიტები, როგორც მოსდით ხოლმე მონატრებით სავსე ადამიანებს... – ცოტადენი დაბნევის მიუხედავად, საბოლოოდ სითბონარევი სიმკაცრით აუუხსენი სათქმელი, თითქოს საუკუნე ვატარებდი ტვირთს, ამოვისუნთქე, ძლიერად, ფილტვებიდან...

ახლა მთავარი მისი გაყინული თვალებიდან წამოსული სათქმელი იყო. მე ველოდი, სიჩუმეს ვეღარ ავიტანდი.

– რატომ მე?

– ალბათ, იმიტომ, რომ ყველაზე ნაკლებად მაქცევ ყურადღებას.

– სიმართლე მითხარი, რატომ მე?

– ელა, არ ვიცი. ნუთუ ადამიანის შეყვარებას რაიმე მიზეზი სჭირდება?

– სჭირდება, ყველაფერს აქვს თავის მიზეზი. არსაიდან არაფერი მოდის, სამყაროში ყველა არსებას ჰყავს თავისი ჩამსუტებელი. მტაცებლის ბრტყალებიც ელის ბედნიერ

წამებს, ამის მიზეზი კი საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებაა. აი, ესაა პასუხი.

– დამიჯერე, მე ხროვას მოშორებული მგელი ვარ, რომელმაც არა მხოლოდ იმ მშობლიური თვისებების, არამედ ზოგადად ამ მოდგმის ცნება მოსპო. არ ვარ იმ ფიქრებით შეპყრობილი, შებოჭილი, რომელსაც ასე გთავაზობს სამყარო. არა, მომისმინე, შენ უნდა მიხვდე, მე რას ვგრძნობ. მე იქამდე ვიყვირებ, სანამ ჩემი ყვირილი არ მობეზრდებათ. იქამდე გაეჩუმდები, სანამ ჩემი ხმაური არ მოენატრებათ. არ ვიქნები მუდამ მხიარული, გავიგებ ათასი კაცის დარდს ერთად, ვირბენ იმდენს, რომ მორბენალს შემურდეს, გავაკეთებ იმდენ სიკეთეს, რომ ყველაზე ბოროტსაც წამოუვიდეს თვალიდან ცრემლი. მე ეს შემიძლია. ოღონდ...

– მე შენ არ გიცნობ.

– და ვისაც იცნობ, ნუთუ ის არის შენთვის სარგებლის მომტანი? მე დიდი ხანია ეგ დამავიწყდა, არავის რომ არ ვჭირდები. მარტო ვიბრძვი ამ უხილავი სიყვარულისთვის. შუადღით შენთან ვიყავი, ეს დღიური ავიღე. იმეღია, სულ არ შემიძულე.

წამიერად გამიელვა მისი დაკარგვის საზარელმა შიშმა, მაგრამ ვეცადე, სახეზე არაფერი შემტყობოდა. არ მინდოდა დაენახა ჩემი სულის არეულობა.

ელამ სახიდან თმა ნელა გადაიწია, თვალები მოჭუტა. დღიური რომ ნახა, სიხარულით გაიღიმა. ეტყობოდა, ესიამოვნა დაკარგული ნივთის ხილვა. მეც მომეშვა გულზე და დღიური უფრო კარგად გამოვაჩინე.

– წაიკითხე?

– კი, ასეთი რთული ისტორიები ჩემი ჰობი არ არის.

– ერთს გეტყვი და იმეღია არასდროს შენი ცხოვრების მანძილზე არ დაივიწყებ, – ადამიანზე დაუნახავი და შემზარავი არსება ჯერ დედამიწაზე არცერთ სულიერს არ გაუჩენია. გღრღნის, გჭამს ასეთი გაუმაძღარი, თავაწეული, გულამოჭრილი სულების დანახვა, რომელთა სისხლში ცისფერი, გაცხელებული სითხე მოძრაობს, აუარებელ სიბოროტეს რომ იტყვს მათი თითოეული შხამით სავსე ენის წვერი და ამით

გამდიდრებულები ტკბილად აგრძელებენ ძილს იმ სიბნელეში, რომელშიც ასე სწრაფად იქმნებიან სინათლის მოტრფივლები, სიყვარულით სავსე გულიანი არსებები, რომლებიც ღმერთმა ცხოველების სახით გვიბოძა. მე არასდროს შევიძულე მათ, გინდ ეს იყოს ყველაზე სისხლიანი ფაფრით მოსიარულე ღოში ან გაუმაძღარი სხვა მტაცებელი. ისინი როდი ხვდებიან, რას ჩადიან? მათში როდი არის ის სიბრძნე, რომელიც ადამიანებშია ჩაბუდებული. რაც არ იციან, იმაზე ვერ დასდებ ბრალს. ისინი ცოდვილები არ არიან, ცოდვილები ჩვენ ვართ, თითოეული ჩვენგანი, რომლებმაც ვიციტ სიბოროტის არსი და კვლავ მისკენ მივიღტვიტ გამსკლარი ვენებითა და გაღებული პირით. სწორედ ეს გამიმხილა ამ დღიურმა, რომ ადამიანებზე სასტიკი ცხოველი არ არსებობს. ივეორას მხოლოდ გვერდში დგომა უნდოდა იმისგან, ვინც ასე უარყოფდა. დღიური მომეცი, თუ შეიძლება.

მეც მივაწოდე მას გახუნებული, დაყვიტლებულ ფურცლებიანი დღიური, იმ იმედით, რომ მის ხელს შევეხებოდი, მაგრამ ამაოდ, ელამ გამომგლიჯა ჩვეული სიმკაცრით და კარებისკენ გაეშურა...

იმედგაცრუებულმა თვალები ვარსკვლავების სახლს შევაველე. ელას ხმა გავიგონე, კარებთან მისულმა ჩუმიად და დანაღვლიანებულმა მითხრა:

– ერთი რწმენით სავსე ცრემლს, რომელიც სახიდან სრიალდება, ათასი ცრემლის წარმოქნა შეუძლია. ეს იქნება სიყვარული-სა თუ მწუხარების, არ აქვს მნიშვნელობა, ის არასდროს დარჩება სამყაროში მარტო, ყოველთვის ეყოლება თავისნაირი, რომელსაც ასე სწადია საბოლოოდ ხმელ მიწაზე შემრობა.

იმ დღეს ჩემს სულში და გონებაში მოქოტქოტე მოგონებებს არ ეძინათ, ღამე გამათევიტეს და დღიურზეც ბევრი მაფიქრეს... ნუთუ ღამაზი, მრგვალი კალიგრაფიით მიწერილი ბოლო ტექსტი ელას ეკუთვნოდა? და თუ მას ეკუთვნოდა, ნუთუ ასე უმწოდ გრძნობდა თავს, რომ შავ ფერს ამხელა ძალა მიანიჭა? ან ცრემლის მარტოობა რას ნიშნავდა? საბოლოოდ იმ აზრამდე მივიდა ჩემი დაჩირებული გონება, რომ ელა საკუთარ თავს ივეორასთან აიგივებდა, რომელსაც ზურგი საკუთარმა მშობელმაც კი შეაქცია ადამიანთა გამოუ-

სადეგარი აზრების გამო. მერე რა, რომ ელას ოთხი შვილი არ ჰყავდა? მას განუკურნელი ჭრილობები ეტყობოდა კანზე. როგორ შეიძლება ასეთმა მებრძოლმა სულმა შავ ფერზე იფიქროს? ის ხომ გარედან ქვასავით მყარ და უგრძნობ არსებად მევლინება...

კვლავ დიდი და ჭუჭყიანი შიში მიღრღნიდა ფიქრებს. ნუთუ იმ დღეს, როდესაც ელას ყველა განზრახვას, მის ყველა გრძნობას გაგივებ, მეყვარება ისე, როგორც ახლა? ჩვენ ადამიანებს გვაქვს შიში სხვა ადამიანების გაცნობის. ვიცით, რომ მათი ბოლომდე შეცნობა ნაკლებ ბედნიერებას გამოიწვევს გულში. ეგოისტობაა, დიას, დაგასწრებთ და აქვე გეტყვით, მეც ასეთი გახლავართ, მშიშარა, მოხრილი, ავადმყოფური შეხედულების მოსიარულე უბრალოება. მახსოვს, სოფელში ჩასულს, დეიდა შავკანიან ფიცარს მეძახდა. დედაჩემს ერთს დატუქსავდა, გასაყიდ მონას ჰგავს შენი შვილიო და თვალებს გამხდარ სახეზე მომაჩერებდა. ბავშვობიდან მიჩვეული ვიყავი უცნაურ ყურებას. ჩაყვითლებული თვალებისა და ფერმკრთალი კანის გამო, ის კითხვებიც ჩემთვის გახუნებული იყო „კუჭი თუ გული?“ ჩემს საბრალო სხეულს მეტად უმძიმდა რეალურ სამყაროში ფიქრი და მოვლენების სწორად აღქმა. თავი არც ისე რბილ ბალიშზე დავდე. მახსოვს, მალევე დამეძინა. სიზმრებში წასულმა კი ასეთი რამ ვიხილე, – მე უბრალოდ ყველაფერს ვაკვირდებოდი, შორიდან ვთანამონაწილეობდი, როგორ, რანაირად ვერ გამეგო... ყველაფერი კი ასე იყო:

ჩემს გზაზე მივდივარ, არც თუ ისე დაღლილი, მაგრამ გონებაში მიმძიმს რაღაცის არცოდნა, რაღაცის მიმართ გამუდმებული ეჭვი, გაურკვეველობა. მიმძიმს და ვფიქრობ, როგორ შეიძლება ცხოვრებამ ათი გზა მოგცეს და ათივეს გასცდე? როგორ შეიძლება წინ გედოს რეალური პასუხი იმის, თუ როგორ დაუძვრე ამ გაურკვეველობას. შენ კი მაინც სხვაგან უხვევ, ათივე გზიდან როგორ არ აღმოჩნდა არცერთი შენი? ზიხარ, დუმხარ, იყურები სარკეში და მორიდებულად, თითქოს შიშით შენ წინ გაცრეცილ, მაგრამ სქელ ფურცელზე მიუწერ 11-ს, მე -11 გზას, რომელიც მხოლოდ ოცნებისა და დაუსრულებელი, გამოგონილი, არარეალური სამყაროს ნაწილია, რომელშიც არ არსებობს სუფთა კაბინეტი, ფულით სავსე ჩემოდნები და უღიმღამო საღამოები. დუმხარ და იცი, რომ გონება დამძიმებასთან ერთად ბედნიერია და შენც თვალებით აშტერდები იმ ერთ, მცდარ არჩევანს, რომელიც ძველი კომპასივით ნელა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გიჩვენებს გზას შენი თავის შეცნობისკენ. ოჰ, რა ტკბილია შენი

სამოთხე... მაგრამ ვაი, რომ ადამიანო, უგუნური ხარ. შენი დაუცხრომელი სურვილია, იყოს ყველაფერი იდეალურად, მაგრამ როგორც კი ამას წამიერად მაინც მიაღწევ, მაშინვე გიჩნდება სურვილი, შეჩვეულ უბედურებას მიღეული ჩიტივით მიუფრინდე.

ყოველთვის მეგონა, რომ მარტოობა თავისუფლებაა, აუტანელი, მაგრამ მშვიდი. ასე მკაცრად ეს არ უნდა გადამეწევიტა. ამ კაცს მარტოსული დავარქვი. გრძელი უბნის მრუდე შესახვევთან დაეცა, ისე მსუბუქად, თითქოს არც არაფერი იქნებოდა ადგომის მერე. დაცემა საბოლოო აღმოჩნდა, ტკივილი არ განუცდია. მახსოვს, როგორ მძაფრად აღვიქვამდი მის ყველანაირ გრძნობას, თითქოს მოსიარულე ღმერთი ვიყავი.

წაქცევის დროს უცბად ამოტივტივდა უამრავი კითხვა. ჯოჯოხეთური აზრებისგან მალევე გათავისუფლდა, ადგა, ისევე მსუბუქად, როგორც დაეცა. მოაბრუნა თავი, რომელიც ასე ძალიან დამძიმებოდა და თითქოს დრმა ძილიდან გამოსულმა შეავლო თვალი ნაცნობ უბანს. დაინახა უცნაური, თეთრი ნაბიჯებით მარტო მოსიარულე სულები. თეთრი ნაბიჯები რას ნიშნავსო, ალბათ მკითხავთ, მეც კითხვის მოლოდინში ვიპასუხებთ, რომ ეს შავი ნაბიჯების არარსებობაა.

ის ტკებოდა თეთრის სითეთრით და უყურებდა გარშემო მოსიარულე არსებებს. ვფიქრობდი, რატომ არიან გარშემო მხოლოდ სულები? მისი სხეული დავინახე, თავი ძალიან დიდი ჰქონდა და ისიც შევამჩნიე, რომ ფორმასაც კი იცვლიდა. ვხედავდი მის ხელებს, ფეხებს, რომლებიც ასე დასვენებული ჯერ არასოდეს ყოფილან. მივხვდი, რომ მკვდარი იყო. არ ვიცი რატომ, მაგრამ ტუჩები მკვდარი სხეულისკენ წაიღო, უნდოდა სიცივე ეგრძნო, მკვდრის სიცივე, მაგრამ გონებაში და თვალთახედვაში ტუჩს ტუჩის არაფერი ეტყობოდა, იმდენად უგრძნობი იყო, რომ მის არსებობასაც კი ვერ გრძნობდა.

უცბად დაფიქრდა და დაუშვა ისიც, რომ აქამდე თავის თავის მიმართ ასეთი მზრუნველი არ ყოფილა. ამ ყველაფრიდან წამიერად გამოერკვია. თვალებს არარსებული ხელებით იფშენებდა, მაგრამ ვერ ფხიზლდებოდა. არარსებული თითებით არარსებულ კანს იწიწკნიდა, მაგრამ მწარე ტკივილს ძველებურად კანში არ დაუვლია. აკვირდებოდა, ძლიერად ესუტებოდა არარსებული ჩახუტებით თავის სხეულს, უნდოდა

კვლავ მასში შესულიყო, მისი გამხდარიყო და ისევ ამ გრძელი უბნის სიბნელეში წასულიყო. მასსოვს, როგორ მოედო უარესად ბინდი იქაურობას.

სადამოვდება. დაბნელება მასში აღარ იწვევს ძილის სურვილს, აღარ უნდება თავი იგრძნოს ადამიანად და ჩაისუნთქოს ჰაერი, რომლის გარეშეც უკვე „მშვენიერად“ არის. ფიქრობს არარსებულად, ვერ გაუგია რა ხდება. წამიერად გაჩერდა მის გონებაში ყველანაირი ფიქრი იმ მომენტთან, როდესაც დაეცა არარსებულ მიწაზე. ახსენდება, რომ მოკვდა.

„სამწუხარო!“ – ეუბნება არარსებულ ეგოს, იმედგაცრუებული დგება და შავს თეთრი ნაბიჯებით ცვლის. მიდის, ფეხებს თამამად დგამს, მათ თავის გარშემო ხედავს, მაგრამ არ იმჩნევს. ცოტაც და ეკლესიას მიუახლოვდება, პატარას, მოკრძალებულსა და მყუდროს. აქ თურმე სიკვდილამდე ხშირად მიდიოდა. როგორც კი შევიდა, მაშინვე დაიხარა არარსებულ მუხლებით არსებულ ეკლესიაში და ყვირილით გააგონა ხმა არსებულ ღმერთს: ვინ ვარ?!

პასუხიც მალევე გაისმა: – მარტოსული.

ტანში ათასი მკედრის ტკივილმა დაუარა, გულმა მწუხარება გამოუთქვა, თითქოს ეკლესიაში მოისურვა ბოდიშის მოხდა, უეცრად, გაუფრთხილებლად რომ გადაწყვიტა მკვახე ნაყოფის მოწყვეტა. რამდენჯერმე შეიკუმშა, თითქოს მზის სხივებით შებოჭილმა ფრთები გაშალა და ამაღლდა.

მიხვდა, რომ ხელები, ფეხები, ტუჩები, მუხლები და ყველაფერი, რაც ჰქონდა, არ არსებობდა, არ იყენებდა. მისი გზა ეკლესიამდეც კი შავი იყო, როდესაც არსებულს, ღმერთის მოცემულს არ აფასებდა. ახლა კი დაისაჯა, სამუდამოდ სიბნელეში. ჭეშმარიტების შეცნობის შემდეგ მარტოსული თეთრი ნაბიჯებით დადიოდა გრძელ უბანში, ნანობდა განგულილ ცხოვრებას, იმ დროს, როდესაც არაფერს არ აფასებდა, ტიროდა და მისი ტირილი არსებულს ემსგავსებოდა.

გამჭვირვალე მინაში დანახულ ამბავს ჰგავდა ჩემი სიზმარი, ბოლომდე ვერ ვხედავდი მომხდარს, ვერ ვიაზრებდი, მხოლოდ მის შიგნით ვცოცავდი და მქსმოდა მისი...

მასსოვს, გამოღვიძებულს ერთი რამ მედო გონებაში – მარტოსული.

მკითხველო ჩემი ბავშვობის დღიურისა, ის კი უეჭველად ვიცი, როდესაც სიზმარი გესიზმრება და ის გამახსოვრდება, გამოდის, ასეც არის საჭირო, უნდა გაშიფრო, გაიკვალო გზა ჯერ შეუცნობლისკენ, კომპასად აქციო თითქოსდა ძილში ამოტივტივებული ნაბოღვარი...

უცნაური თავგადასავლიდან გამოღვიძებულს მთლიანი სხეული გაოფლილი და დაპატარავებული მქონდა, თითქოსდა მე ვიყავი იმედგაცრუებული ლანდი, რომელსაც მთელი ცხოვრება ტყუილში გაუტარებია. თითქოს ჩემი სხეული მართლაც დარდობდა იმ ტკივილნარევ კითხვას, რაც მარტოდ დარჩენილ სულს აწუხებდა – ვინ ვარ?

გამთენიისას ჩემი დასრესილი პერანგი ჩავიცვი უკვე ოფლშემშრალ მკერდზე, შარვალიც უცბად ამოვიცვი, დარჩენილი „ბიჩოკი“ ჩემს კბილებში მოვათავსე და დიდი ნაბიჯებით სოფლის სკოლაში გავეშურე. მათთან ახლოს მისვლა და საუბარიც უკვე დიდი ხანია გაბედული მქონდა. გზაში რობერტ ბერნსის გულწრფელობითა და სიყვარულით აღსავსე ლექსი ამომტივტივდა გონებაში.

ჰა-ჰა, საქმე რაში ყოფილა, თურმე ამ მინდვრის თავის სორო გუთნით დაანგრია. ლექსის გმირი დარდობს, სახეს იხოკავს, ცოდვად თვლის და ბოდიშს უხდის მინდვრის თავგს. ეუბნება, რომ ადამიანები და თავგები გვანან ერთმანეთს, პირველ რიგში იმით, რომ შენ დღეს არც მოელოდი, რომ გუთანი სოროს დაანგრევაო, ასევეა ადამიანი, არ იცის ხვალ რა იქნება მისი გუთანიო. როცა სოროს თხრას იწყებს, არ ფიქრობს, რომ გაივლის მის ბედისწერაზე დამზადებული გუთანი და დაუნგრევს სახლს. ეს შოტლანდიელი გმირი ელად წარმოვიდგინე, იმედგაცრუებულ თავგად ჩემი უსუსური თავი, ვგავართ ერთმანეთს, არც იმან იცის, რა ელის ხვალ, არც ის არის დარწმუნებული, რა შეიძლება მოუტანოს დაკარგულმა აზრებმა...

ჰა-ჰა, მაგრამ ვის უნახავს სივარეტიანი მინდვრის თავი, არა? ამ ფიქრებიდან მალევე გამოვერკვიე, მაგრამ ლექსის გაფიქრებამ ისე იმოქმედა ჩემს ქცევებზე, რომ მართლაც სახლჩამოქცეული თავგით იმედდაკარგული ვაცეცკები თვალეხს. წარმომიდგენია, რა საშინელი სანახავი ვიქნებოდი, შეყვარებული კაცი, მოხრილი და მშიშარა გამოხედვით.

არა, ბავშვობაში ნამდვილად არ მიოცნებია ამაზე, თავი ყოველთვის მყარ ადამიანად წარმომედგინა, რომელსაც ყველა ფეხებს დაუკოცნიდა. ქალებისთვის მრისხანე მამაკაცი ვიქნებოდი, უღვაშითა და განიერი მხარბეჭით, მაგრამ ბედმა სილა გამაწნა, მიწაზე დამახეთქა და ბავშვური აზრებისგან მალევე გამათავისუფლა. ნეტა შეგეხებათ ჩემთვის, ელასთან დიადლოგის მერე ერთიანად გავიწურე, ჩამოვხში და ნერვიული აშლილობის ზღვრამდეც კი მივედი.

– გავიგე, ელას ფანჯარა ჩავიმტვრევია. რა იყო, სხვა ქალი ვერ ნახე? გამხდარი არის ეგ, უშნო.

გავფითრდი, ვერ გამეგო საიდან მოდიოდა გამოძახილი. უკან გავიხედე და ფედჩას თავისი ჩიბუხით, როგორც ჩანს, მოუვლია სოფელი, გაუგია ელასთან მისვლის ამბავი, ახლა კი გაუძამდარი, შავი, დიდი ხოჭოსავით მოფრინავდა ჩემ უკან თავისი მწარე ენით..

– არასწორად გაგიგია, ბატონო, წვიმის დროს სახლში ვარ მე.

– ეეე, მოდი, კაცო, არ გინდა დაუბანელი ხუმრობები. მაგის-მა დვიძღმა დედამ უთხრა თევზის ვაჭარს, ესეც არ მყავდეს ოქრო გოგო, რომ პატიოსნებას ვუნახავდე. – ფედჩამ პირი გახსნა და ხმამაღლა დაიწყო ხარხარი, როგორი შემზარავი იყო მისი გაყვითლებული და დაგრეხილი კბილების ყურება, რომელიც ასე წამოეწია წინ ხარხარის დროს. ლოყები დაწითლებოდა და მთლიანი სახე აჭრელებოდა. ამაზრზენი სანახაობა დამიდგა შუა სოფელში და ვაი, რომ მონაწილე მე ვიყავი.

– ნუთუ გაქვს გამბედაობა იმის, რომ ჩემს და ამათ წინ ასე უსირცხვილოდ ლახავდე ელას თავმოყვარეობას?! – მივუახლოვდი და თავის როლი მრისხანე მგლის როლად შეეცვალე, თვალებით ვჭამდი მის გადმოკარკულ თვალებს.

– არ შეგეცილები. – კვლავ დაიწყო ხარხარი და ღორბლიანი ძაღლივით დაიწყო ხველა. – მიდი, მიდი, თუ გინდა, მე მიგიწერ მაგ დღიურში რა და როგორ იყო, ყველაფერი ვიცით. ხა-ხა, ისიც ვიცი, ახლაც პაემანზე რომ მიიჩქარი. ხა-ხა, ეე, შე უბეგამოხეულო, შეიღებიც მასეთი მახინჯი რომ გეყოლოთ, ალბათ გამიცვლის შენი ელა წიგნებში, ხო? ხა-

ხა, შეხედეთ, შეხედეთ, არ უნდა აღიაროს, მაგრამ გუშინ კი ვიცით, რაც მოხდა მის ეზოში, ხა-ხა.

არ ვიცი როგორ, მაგრამ გავეცალე სოფლის შუაგულში დატრიალებულ სცენას. ალბათ ხვდებით, რომ მათთან ჩხუბის გაბმას აზრი არ ჰქონდა, რადგან აუხსნელი წარმომავლობის მწერები არიან, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სხვისი გაუბედურებითა და გაღიზიანებით იკვებებიან. მეორე ღერს მოვუკიდე და აი, სწორად მაშინ, სკოლის შესახვევიც დავინახე, სადაც ასე მივიჩქაროდი დიდი დანაგვი. და თუ ის ჩემი სამყაროსთვის მიუღებელია, მე შევცვლიდი ჩემს სამყაროს, ოღონდ ის არ ყოფილიყო ჩემგან შორს. სკოლისკენ მიმავალ გზაზე ვფიქრობდი, ნუთუ იქ ვიპოვიდი არეულ კითხვებზე პასუხებს. შებოჭილი გულით მივიღტვოდი განსაკუთრებულად იმ ჯერ ხაგსმოდებული პასუხისკენ, თუ რატომ არის განათლება ელასთვის ცუდი? მივდიოდი და არ ვიყავი დარწმუნებული უსულო არსებების ნათქვამში, მაგრამ მაინც არ დავხარე თავი, ამასაც ვცდი-მეთქი და დამბალი „ბიჩოკი“, როგორც იქნა, მოვიშორე ტუჩებიდან.

სკოლას ორი შესასვლელი ჰქონდა, ერთი ამოქოლილი იყო, ბავშვები გააკეთილიდან რომ არ გაპარულიყვნენ. წინა კარებთან კი ყოველთვის ოთხთვალა ლეო ტრიალებდა. ასე ეძახდნენ მოსწავლეები, არაფერი გამოეპარებოდა. დაწყებითი კლასის ბავშვების წრეში დადიოდა ლეგენდები, რომ მას ყოველთვის ჰქონდა ოთხი თვალი, უბრალოდ არ აჩენდა. ახლა დასჭირდა და გაახილა ის მიმალული ორი თვალიცო...

ზოგჯერ რა ღრმია ბავშვის ნათქვამი, როგორ დაგაფიქრებს და გაშფოთებს. მე კი ასე მივიღტვი შუახნის საზოგადოებისკენ, რომელთაც თითქოს, გამოცდილებიდან გამომდინარე, ყველაფერზე დამაკმაყოფილებელი პასუხები უნდა ჰქონდეთ. ჩემს წარმოსახვაში სკოლის დირექტორი, წინა მოსაუბრეებისგან განსხვავებით, შედარებით ჰუმანური უნდა ყოფილიყო, რადგან ბავშვების აღზრდასთან ჰქონდა საქმე და უდავოდ მასში უნდა შემემჩნია სიკეთის მარცვალი. დაიმედებული ლეოს მივადექი, რომელიც ეზოში ძეგლთან იღვა და ლანძღვით აგროვებდა დარჩენილ ნაგავს.

– გავიგე, ახლა შეიძლება დირექტორის ნახვა. თუ არ შეწუხდებით, იქნებ მიმასწავლოთ, როგორ მივიდე მის კა-

ბინეტთან? – მოკრძალებულად შევეკითხე, რადგან ცოტა არ იყოს, ადამიანურის არაფერი ეტყობოდა და რომელიღაც პირველყოფილი ტომიდან გამოქცეულ ბელადს ჰგავდა. მეც შიშმა დამიარა და ერთი ნაბიჯით უკან დავიწიე.

– შენ ვინ ხარ?

– მე არც ისე დიდი ხანია, ამ სოფელში ჩამოვედი. ჟურნალისტი ვარ, უბრალოდ ჟურნალისტი.

– შენ თუ იცი, ამ ძეგლთან ბავშვებს რატომ არ ვუშვებ?

– რატომ? – ცნობისმოყვარედ დავეკითხე და უკან გადადგმული ნაბიჯი ნელ-ნელა წინ წავეწიე.

– იმიტომ, რომ არ იციან მისი მნიშვნელობა. შენ მოდიხარ აქ, რაღაცებს მიედ-მოედები, ისიც არ იცი, რა გინდა. რატომ უნდა მოენდომებინა ვინმეს შენი ამ სოფელში ჩამოყვანა. მე რომ მკითხო, მეორე კლასელი უფრო გონებამახვილია, ვიდრე შენნაირი ქალაქელი თხა.

– გარკვეული პრობლემები მაქვს. იცი, ახლა არც მცალია, შენ მოგიყვე რამე. რაც შეეხება ძეგლს, პირველად ვხედავ...

– ასეა, სიცოცხლეში ვერ აფასებთ იმას, რასაც ცოდნა, ბედნიერება, სულიერი სიმდიდრე ჰქვია. იმასაც კი ვერ ხვდებით, დედამიწა როგორ დაპატარავდა ამდენი უმადურობით და დაიღალა თქვენი უმისამართო ხუმრობებით. აი, ეს ერთი შეხედვით, კარგად მოვლილი ძეგლი, ჩვენი სოფლის კომპოზიტორს ეკუთვნის. კარგად შეხედეთ, როგორ იღიმის... ჩვენ, ვითომ საერთო პატივის მატარებლებს, შეგვიძლია სულიერის უსულოში გადატანა. – სულიერის ხსენებისას, უკვე ნაკლებად პირველყოფილმა ლეომ, ცხვირი შეიმშრალა და გულის გადაშლა განაგრძო.

– ამ კაცს თავის დროზე ხან მათხოვრის, ხან ღოთისა და ხანაც ეშმაკისეულის სახელი ააკრეს, ყველაფერი უწოდეს, ნიჭიერის გარდა. მახსოვს, სულ პატარა ვიყავი, ჩემი სახლის უკან სასტიკად რომ სცემა ქუჩის სამმა ბიჭმა და ის შენი დაწერილი რაღაცებიც ზედ გადაახიეს. ერთხელ გამომელაპარაკა კიდევ, კობეებთან მე ჩემი დარდებით ვბოდავდი რაღაცებს და ბავშვური ცრემლებით ვტიროდი. გვერდით მომიჯდა. მახსოვს, სასმლის სუნით ყარდა. მითხრა, რაც მეტს

ვწერ, მეტად მიჭირსო. ის კი არ უთქვამს, რა ბობოქრობდა მასში ასე სწრაფად ან რატომ წყვეტდნენ მის სულში სავსე ეჭვები გაზაფხულისას შემოდგომის ფოთლებს. დარწმუნებული ვიყავი, წერას თუ განაგრძნობდა, ერთხელაც გიჟად შერაცხავდნენ. განა იმიტომ, რომ ეს სურდა, არამედ იმიტომ, რომ მათთვის არ იყო ცნობილი, თუ რას ნიშნავს სეზონებს შორის სირბილი. მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, უბულო მეგონა ყველა ის ადამიანი, ვინც ჩიტებს კლავდა. ბევრჯერ ვიხსუბე. იმ ქვამ, რითაც მათ თავებს უხეთქავდნენ, მეც დამადო კოპი. ბოლოს გაფრუმი, დავდუმი, პირზე აფარებული მოკლე თითები დავიგრძელე და ავიფარე. იცი? ფიზიკური ტკივილის უფრო მეტად მეშინოდა, ვიდრე სულიერის და თავს იმით ვიმართლებდი, რომ კოდალასავით ხის ერთ ადგილს ვერ დაუწყებდი კაკუნს. მერე როგორც ხდება ხოლმე, მეც ის მომივიდა... ისე დავემსგავსე მათ, ვერც მივხვდი. განა მეც ქვების სროლა დავუწყე ჩიტებს? არა, საკუთარ ნათელ სხივებს ვესროდი, მათზე ვაგებდი მთებისხელა კოპიტებს და სწორ შუბლზე ხელს ამაყად ვისვამდი – აი, გავიმარჯვე-მეთქი, მაგრამ დამარცხებას უფრო ჰგავდა. ამას მივხვდი, მაგრამ არა მაშინვე, რამდენიმე წლის მერე, საყვარელი ადამიანები დაჟეჟილი ჩიტებივით რომ გამოიმეცალნენ და მე კვლავ ჩუმად ვიყავი. ჰო, ახლა სკოლის ეზოშია მისი ძეგლი, როგორც ნიჭიერი კომპოზიტორის, რომელსაც ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა და ცხოვრება თვითმკვლევლობით დაამთავრა... ცუდად იყო, ხალხი დუმიდა, ყვიროდა და ყველა ჩუმად იყო. თავს იკლავდა და თვითმკვლევლობაზე ზღაპრებს უკითხავდნენ... სიჩუმე საშინელებაა, უნდა მოსპო, გაეცალო, მოაგროვო ხმაურიანი წამები. როცა აქ მოდიხარ, უნდა იცოდე ბევრი რამ, ისე იოლას ვერ გახვალ. – თვალები ნელა მომაშორა და ძეგლს ჩვეული მხერით შეხედა. დაბნეული ჩანდა, ლეოს ელას ნათელი მოჰყვნოდა. მათი მსგავსება დაფიქრების გარეშეც აშკარა იყო.

– თქვენი ბავშვობა საინტერესო მოგონებების ათეულში ჩაიწერებოდა, ბატონო ლეო. – არ დავმალე აღფრთოვანება და ბევრისთვის რთულად სათქმელი სიტყვები მივაგებე.

– დირექტორთან რა საქმე გაქვს? თქვენი აღმატებულება, ჩემი ბებერი ფიქრებით, თავის სიმარტივესა და ლად აზრებთან ერთად ისვენებს. არ მგონია მოეწონოს თქვენი ჟურნალ-

ისტორი კითხვები. – ლეომ ირონიულად ჩაიცინა. ვატყობდი, მის გულში ლად ბავშვს, ცრემლების მიუხედავად, კვლავ რომ ეძინა და იმ კომპლიმენტმაც ნაოჭიანი ლოყები როგორ აუწითლა.

– სიმარტივე?

– კი, სიმარტივე უკვე მისი სიმბოლო გახდა. ოთახში ცალი თვალით რომ შეიხედო, დაინახავ მხოლოდ ერთ ჟურნალს, ერთ კალამსა და ერთ მინის ჭიქას. ზედმეტად უყვარს სიცარიელე. არ ვიცი, ეს შესაძლოა, ბევრისთვის სასიამოვნოა, მაგრამ მე, როგორც ბატონი ლეო, ოთახს აბლაბუდების ხელში და წინა წლის ზამთრის სურნელით ვტოვებ, შენ წარმოიდგინე და რამდენიმე დატოვებული შეშა კვლავ ოთახის კუთხეში მიყრია. – ისევ ირონიულად ჩაიცინა და მხარზე ხელი დამარტყა, თითქოს ამ ჟესტით რაიმე მნიშვნელოვანის დაფარვა სურდა.

– იცით, რომ არ დაგიმალოთ, სურვილი მქონდა, დირექტორთან არა გაზეთის, არამედ ელას შესახებ მესაუბრა... უდალი თმით გოგო, ალბათ თქვენც გეცოდინებათ. – უცბად, შეშფოთებულმა, შესაძლოა ოდნავ ხმამაღლაც ამოვთქვი სათქმელი და ლეოს გამომეტყველებას ირიბად დაუწყე ყურება.

მის სახეს აუხსნელი მიმიკა შეახმა. ლეოს ნაოჭიან კანს წამიერად იმედისა და სიხარულის ფერები მოედო. შეეცვალა სახე, ისე, როგორც მშობელს ეცვლება გაპარული შვილის დანახვისას, მაგრამ გაურკვეველი იერი მაინც არ შორდებოდა მის მზესავით სახეს.

– ამბობდა ხოლმე, თუ როდისმე იქნება ვინმე, ვისაც ჩემი თვალების ყურებას ვანდობ, აუცილებლად გაგაცნობო. როგორც ჩანს, არ უპოვია.

სახე გაუშეშდა. ეტყობოდა, იმ მოგონებებში გადაეშვა, სადაც ელა იყო.

– შემოვაბერდი ამ კედლებს, როგორც აბერდებიან ხოლმე მარტოხელა ადამიანები თავიანთ საქმიანობას. არა, განა არ შემეძლო ოჯახი მყოლოდა და აქაც მემუშავა. საქმე იმაშია, რომ არაა აუცილებელი ადამიანთა წესებს სდიო, როცა ადამიანი თვითონ ხარ და წესიც შენშია. ელასი ეს ვერ აუტა-

ნიათ. მაშინაც, სულ პატარა რომ იყო, მუდმივ ბრძოლასა და მონობაში უწევდა არსებობა. მახსოვს, იქ, სადაც ახლა შენ დგახარ, თვალცრემლიანი როგორ მომადგა, შემომჩვილა – წავალ და დირექტორს არაფერი უთხრაო. იცი? მეც ჩემი თავი გამახსენდა, იმ დროს, კომპოზიტორი რომ ჩამომიჯდა ცივ კიბეზე და მესაუბრებოდა. ელას ბედნიერებას რთულად თუ დაინახავ და მიწვდები. განა იმიტომ, რომ გრძელი ხელი არ გაქვს, არამედ იმიტომ, რომ მის თვალებს ვერ უყურებ, ისე, როგორც მას სურს.

– მისგან მცირეოდენ სურვილსაც ვერ ვამჩნევ, მე კი მის მონვენებად დავიარები რა ხანია. შეუხორცებელი სევდა დამიტოვა მისმა თვალებმა. ვფიცავ, მიყვარს, მაგრამ დავიღალე.

– გახდი მისთვის სასურველი, თორემ მოვა დრო და დაინახავს, რომ საკუთარი თავის გარდა, არც სჭირდება სხვა. – გაჩუმდა, ფრინველების ჭიკჭიკს არწივის სიღინჯით დაუგდო ყური. შემობრუნდა, სახეზე მოვარდისფრო ფერი გადაჰკროდა.

– იცი, ეს სოფელი სულ ასეთი ნაგვის ბუნკერი გახლდათ. ძალიან ბევრი წლის წინ უბანში სუსანა გათხოვდა. სოფლის ბოლოს აგებულ ეკლესიაში მამის თხოვნითა და მუდარით მეორე სოფლის მწყემსზე დაიწერა ჯვარი. მაშინ მე შეუმჩნეველი ახალგაზრდა ვიყავი, თან ჯარიდან დაბრუნებაც დამავიანდა.

ორი დღე ცალკე მწყემსის მამა, ცალკე საკუთარი ემუდარებოდა, ეხვეწებოდა ცოლად გაჰყვიო. ჰოდა, მალევე შერჩათ უცხო ხის მსგავსი სუსანა.

ვარდისფერი მის კანს არ შორდებოდა. ვატყობდი, სიხარულს ჰგვრიდა მისი სახელის ხსენება და ამავდროულად გულში დანას ასობდა.

– მერე მეც ჩამოვედი. სუსანას სახლთან საქსოვები რომ ვერ შევნიშნე, ელდადაცემულს დედამისი შემომჩხა ხელში. კი, მკითხა, მაქვთ მარწყვი რა ფერის იყო, თავზეც ხელი გადამისვა და ზრდილობიანად მაჯახა, მეორე წელია სუსანა გათხოვდა და სკოლასაც თავი დაანებაო. გესმის, ბიჭო? სკოლა, წიგნები, მახსოვს განუყოფლად ტრიალებდნენ მის წინ და სუსანაც გულანჩარებული მიყვებოდა ხოლმე თავგადასავ-

აღთა თავისებურ დასასრულს. მაშინ არც მე ვიყავი დიდი, მერე რა, თუ ომში ტყვია მიკაწრავდა კანს ან ყუმბარების ხმაში ღამეები არ მეძინა. ისევ ბავშვი ვიყავი, რომელსაც ის წიგნების სურნელით მოფარფატე გოგონა კიდევ უყვარდა. მერე კიდე შევილიო, ქმარიო, მაგას უნდა მოუაროსო. კი, მაგრამ სუსანას სუსანასთვის არ უნდა მოეგლო? – გათეთრდა, ოფლმა შეპარულ სიმართლესავით დაიწყო მისი შუბლიდან დენა.

– ახლა სად არის? – თვალზე ცრემლი მომადგა. მინდოდა ადამიანთა მოდგმის ტრადიციები სულ ერთიანად შემეყარა ბუხარში და კვამლისთვისაც არ მიმეცა გამოსვლის საშუალება.

– გარდაიცვალა, როგორც მიიცვლებიან ხოლმე შემოდგომის ფოთლები მიწაზე შეხებისას. აი, მაშინ, სიბერის ნაცრისფერი რომ დაიწყებს გველივით სრიალს წამწამებზე და ნელა დაგახუჭინებს თვალებს. მახსოვს სუსანას წასვლა, მაგრამ მოსვლაც აღარ მინატრია. და იცი რატომ?

– რატომ?

– იმიტომ, რომ გულიც გაჰყვა მას პატარა ბავშვივით, ძუნძულით. და როცა გული მიდის, გონება მას უკან აღარ უშვებს. ხო, ჩემი გულიც იქაა, იმ შეციებულ სამარეში, სადაც სუსანას ნაცრისფერი თმა მიწას ნელ-ნელა ეკვრის.

მითხრა თუ არა ლეომ, გააგრძელა ძეგლის წმენდა ჩვეული მზერით, თითქოს მსგავსი რამ მრავალი ადამიანისთვის მოეყოლა. არა, ნამდვილად ვიცოდი, რომ ოთხთვალა ლეო ასე არ გადაუშლიდა ყველას ნაფიქრს. იმასაც ვხვდებოდი, საკუთარ თავთან აღიარებები მისთვის ახალი რომ არ იყო და ალბათ ამიტომაც არ დაეჭმუჭნა სახე ნავაჟში მიგდებული ფურცელივით.

მივხვდი, მასთან საუბრის მერე ჩემი გემიც ნაპირს როგორ მიუახლოვდა. ელას გონების საპირისპიროდ ჩემი გული იწვოდა. ნამდვილად დიდი კოცონი გაეჩაღებინა და არც სურდა ზამთრის ზღვის ტალღების ამბორი. ლეო კვლავ მიიკარგა ძეგლთან, ისევ ისე, როგორც თავიდან დამხვდა. მე კი რამის თქმას მარტო ყოფნა ვამჯობინე და უფოთლო ხესავით გავცაღლე სკოლის შესახვევს.

პარად-ალე

სახლისკენ ბაზრის მხრიდან წავედი. ფედჩა ჩვეული ბოხი ხმით ავსებდა იქაურობას ვადაგასული ბოლმით. „ხვალისთვის სკამები მზად იქნება!“, „ლი, ფეხებში ნუ მეღები, დრო არ გვაქვს“.

ხალხი მეტად ფორიაქობდა, ეტყობოდათ, მათ ცხოვრებაში რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა. ჩუმად ყური მოვკარი ფედჩას და ყველის გამყიდველის საუბარს.

– უღვაშებს გეფიცები, ხვალ სამივე სკამზე მე დავჯდები. ხო, ხო, სამივე სურვილიც ჩემი იქნება.

– ბოროტ კაცს გინდა სამი, გინდა ერთი სკამი შეუდგა, სულის არ ქონა მიწაზე დაანარცხებს. აი, ჩემო ფედჩა, იქ შიგნით შენი მფრინავი სინდისი თუ წმინდაა, სულ არაფრის შექუდება არ გინდა, დამიჯერე, მთების შუაგ კი გაიფრენ თვალდახუჭული. – სახე დაუჯღანა და ფედჩას ყველის სუნით გაეცალა.

მესიამოვნა მისი ბრძნული პასუხი, გულზე წამლად მომედო. ოხ, გამახსენდა, ეს კაცი ვიცი, სოფელში ცნობილი ყველის ვაჭარია, ქვის გულით. ფოსტაში რომ მივედი, მაშინ, ვიღაც ქალი უცხო აქცენტის მქონე ბიჭთან აბურღული თმითა და უხეში გამოსხედვით საუბრობდა, ყველის ვაჭრის დედა გარდაიცვალა-ო.

„ეს ვაჭარი უწუნებდა ყველაფერს, არც ის უნდოდა და არც ეს. საწყალი ქალიც იწყებდა ტირილს, ხან ვის შესჩივლებდა, ხან ვის. რატო მიკეთებს ეს ჩემი შვილი ასეო? მერე გაჩუმდებოდა, დაფიქრდებოდა და დააყოლებდა, ადამიანებთან არ გამოსდის ურთიერთობა, მისი მოსაწონები არ ვართო. ვიღაცას უთქვამს კიდევ, ზედმეტმა სიყვარულმა იცის ესეო და თვალებსაც საბედისწეროდ ჩაუპაჭუნებდნენ ხოლმე. ვიცოდით, ჩვენს ყველის ვაჭარს იქ, მარცხნივ, რაღაც წამდაუწუმ რომ უჟანგდებოდა. ვერ მოეძებნა ადგილი ამქვეყნად და ისიც კარგად იცოდა, მთის მწვერვალზეც რომ ეპოვნა სიმშვიდე, სიჩუმეს დაიწუნებდა და ამიტომაც თავის ბუდეში რჩებოდა და ოხვრა-კამათს აგრძელებდა. მისი სიმყუდროვე

დედის კალთა იყო. ხშირად იცოდა თქმა, სხვაგვარად ვერ გამოძღვის, ამ ფერებში მოვევლინე დედამიწასო. თავგატეხილ სიმართლეს მიუგდებდა ხოლმე სხვის ზღაპრებქვეშ ამოფარებულ ბრბოს და ნელი ნაბიჯებით იწყებდა ბოდიასს. ის კი ვიცოდით უბანში, სადაც არ უნდა წასულიყო, დედას პატარა გულში მაინც მოუძებნიდა ადგილს. ისიც კარგად ვიცოდით, უმარილო ყველი რომ უყვარდა დედამისს და ჩხუბის მერე როგორ მიუტანდა ხოლმე შესასვლელთან. განთიადისას დაუდებდა მაგიდაზე ამორჩეულ ყველს, მერე კი თავის მობეზრებული ფერებითა და ყველის სუნით მშვიდ ძილს მიეცებოდა ხოლმე. ქალი კი იწყებდა ტირილით შვილის მოტანილი ყველის ჭამას, თან სლუკუნით აყოლებდა: „ჩემმა შვილმა ცხოვრებას გული ვერ დაუდოო, შემეცოდა...“

ფედჩას და ყველის ვაჭრის დიალოგის დროს გამახსენდა ამ ქალის საუბარი. ვიგრძენი, ჭკვიან ხალხს, სულელებისგან განსხვავებით, როგორი უბედური ცხოვრება აქვთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი თვალები მეტს ხედავს, ისმენს და აღიქვამს, ვიდრე მუდმივ ბედნიერებაში ჩაფლული ადამიანების.

დამაინტერესა, რა ხდებოდა ხვალ. რატომ ემზადებოდა სოფლის მოსახლეობა ასე? ფედჩა აჩერებდა ხალხს, უცურებდა ჯიბის უბეებში შეკრულ ფულს, ინტრიგანი და შურიანი გამოხედვით ესაუბრებოდა მათ სკამებზე, დამის მოახლოებასა და სიჩუმის აუცილებლობაზე.

– ეი, ჟურნალისტო! – ირონიულად შემომძახა ფედჩამ.

– ამჯერად რა გინდა?

– ერთი ის მითხარი, ეგ ქაღალდებისგან შექმნილი სახე სულ რატომ ჩამოგტირის?

– სევდა გადამივლის, მაგრამ შენ შენი ჭუჭყიანი მზერა შეგჭამს ნელა, ძალიან ნელა.

– იქნებ მე მზერა იმიტომ ჩამიბნელდა, რომ მუდმივი სევდა მაქვს, ჟურნალისტო. შენ რა იცი, ჩემს თვალებში რა ბობოქრობს?

– სხვისი დაცინვით იკვებები, ბატონო ფედჩა. აი, ის ყველის ვაჭარიც კი ჭეშმარიტად კარგი ადამიანია, სუნთქვის შემეკვრელად ბრძენი გამოდგა შენ წინაც კი, გითხრა მამა-

ცურად სათქმელი. იმასაც გეტყვი, რომ ასი თავით შენზე წინ დგას ყველა, ვინც კი ამ სოფელშია. განა იმიტომ, რომ უარესად არ იქცევია, არამედ იმიტომ, რომ გამოერევა ხოლმე მათ საუბარშიც ჭკვიანური სიტყვა და იტყვი, ღირდა მისი შეცოდებაო. შენ კი? შენი ცხოვრება სხვისი წყევლა და კიცხვაა!

– არაფერი იცი, ჟურნალისტო!

– შეიძლება არაფერი ვიცოდე, მაგრამ რაც ვიცი, ესეც კმარა. გოგოს... გოგოს, რომელსაც ყველა მტრობს, ყველა ჭორავს, ხულიგანი ბიჭივით უგონებ უარესს, ადარდიანებ... ნუთუ... ნუთუ არაა შენში რაიმე კარგი? ნუთუ მხოლოდ მოსიარულე ხორცი ხარ, ბატონო ფედჩა? ჰა?

– მოსიარულე ხორცსაც ედება იისა და ვარდის სურნელი, ჟურნალისტო. ნუ იტყვი, არ შევიცოდებო. რა იცი, რამდენმა ტალახიანმა ღორმა იგორავა ჩემს სხეულზე...

– ამის გამო სხვას თავი არ უნდა გაუტეხო! შენი ცუდის გამო არ შეიძლება სხვა გამოიყვანო შენნაირი! არა და არა! დასწყევლოს ღმერთმა! გონს მოდი!

ხელები ზიზღით შეიწმინდა ზედ, თითქოს რამე აეკიდაო. უნებლიედ სახე მოიჭმუნა, ტუჩები დაიპატარავა და თვალების ცეცება დაიწყო.

– ყველა ერთი და იგივე კითხვებს მიტრიალებს, რა გჭირს, ფედჩა, რა გჭირს, რა?! არაფერი მჭირს, გარდა უსიყვარულოდ ყოფნის, გესმის? სიყვარული უცხოა ჩემთვის. იცი, რომ მკითხვით, რამდენჯერ ჰყვარებიხარო, ვერ გეტყვით, ვერ გავიხსენებ. – მხრები ირონიულად აიჩეჩა. – აი, ჩემი იმედგაცრუებების სიებს კი უამრავს მოგიტანთ. გინდა, განახო? არა, ან რაში გჭირდება, შენ ხო ცეცხლისგან შობილს ეტრფი. საკვირველი იქნებოდა კი რომ გეთქვა. არა, ბატონო, არ მწყინს, ეს უბრალოდ ზედმეტი სიმორცხვის ბრალია...

– ეტრფი? რეებს ბოდავ? – მრისხარე მგლის როლი კვლავ ჩვეულად მოვირგე.

– ხო, ეტრფი. ეზოსთან, მაშინ, მეც იქვე ვიყავი, ქოთან რომ გატყდა.

სიბრაზისგან ცეცხლი მომეკიდა, ფედჩას ორივე ხელით

მივგარდი.

– რა გინდოდა? ელასთან რა გინდოდა?

– არ დამარტყა! შენ გამოგყევი...

– რატომ? რა გინდოდა?

– არ ვიცი, ულვაშებს ვფიცავ, უბრალოდ გამოგყევი, დაწყნარდი!

ხელეები სწრაფად მოვაშორე. მივხვდი, ყველა ჩვენ რომ გვიყურებდა. საკუთარ თავს აღარ ვგავდი.

– ყველაფრისთვის პასუხს აგებ, ჩემთან თუ არა, უფლის წინაშე მაინც, დაიმახსოვრე, ყოველი წიგნისთვის, რომლის გამოც ელა გამწარდა!

– ვუცდი.

– დაუცვადე, რადგან ბუმერანგია ცხოვრება, ბატონო ფედნა, ბუმერანგი. – თითოთ დავაშინე ისედაც შეშინებული ფედნა. ვატყობდი, მის სიყვითლეს სიმორცხვის სიწითლე როგორ ეთამაშებოდა.

– ჩვენ ხშირად სწორედ რომ ჩვენი საყვარელი ხეებისგან ნაჭედ ჯვარს ვარჩევთ ადამიანების გასაკრავად. შეხვედრამდე, ჟურნალისტო!

– კაცი კი არა, ფერფლი ხარ. შენ რომ გაიფანტო, შეგროვებაზეც აღარ იდარდებს არავინ! კაცი არ ხარ, ფედნა, დაიმახსოვრე!

ბაზრის შესასვლელში ასტროლოგს მოვკარი თვალი. სიმაღლესადაც მზერით ეთამაშებოდა სკამებს. მის თვალში ვარსკვლავი მეცნიერული სასწაული იყო, მაგრამ ხალხისთვის ურწმუნებასთან საბრძოლო იარაღად ქცეულიყო.

– გამარჯობა, თქვენ ის ასტროლოგი ხართ, ყავისფერი ჩემოდნით?

– გახლავართ.

– ამ სკამების თქვენც გჯერათ?

– თქვენ გინდათ, რომ მჯეროდეს? რატომ მისვამთ მაინცდამაინც ასე კითხვას – „გჯერათ?“ შეგეძლოთ გეკითხათ

– „არ გჯერათ?“ როგორც ჩანს, დადებით პასუხს ელოდებით სხვებისთვის აღიარებული ასტროლოგისგან. მე რომ ვარსკვლავი ვყოფილიყავი, ალბათ მომბეზრდებოდა ამ დამჭკნარი ყვავილებით სავსე, ფორთოხალივით მრგვალი დედამიწის თვალთახედვაში ჩამოვარდნა. სულ ჩაექრებოდი, ასე უბრალოდ გაექრებოდი, მაგრამ არამც და არამც არ ვანახებდი მათ ჩემს სილამაზეს.

– სილამაზე ხო ცუდი სულაც არ არის, დიდებულია თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

– იქნებ საშინლად დიდებულია? – ხელი აღმზრდელ მამასავით დამადრო მხრებზე. იცი, რასაც ყველა თვლის სილამაზედ, ჩემთვის ჭიითშეჭმული სათამაშოა, სხვა არაფერი.

– მეცნიერება ხო სავსეა აღმოჩენებით, სუსტია, ვისაც სჯერა. დარწმუნებული ვარ, ბატონო, თქვენ საკუთარ აღმოჩენას გააკეთებდით ჩემთვის უკვე ხავსმოდებულ, გაუხსნელ სკივრზე.

– ნამდვილად, მეცნიერება ყოველთვის იყო და იქნება სავსე აღმოჩენებით. სისუსტე ზოგჯერ საუკეთესო სკამია, რომ შეუყუდო შენ ურწმუნოებას. ბევრ სუსტს ასე უბრალოდ, დაუმტკიცებლად სჯერა. მე არ ვემხრობი ასეთ რწმენას, რომლის მასაზრდოებელი ძალა მხოლოდ და მხოლოდ შიშია... ირწმუნონ, მათი რა მიდის, რატომ უნდა გარისკონ? იქნებდა არის რაღაც ამ გაუთავებელი ყოველდღიურობის იქით. აი, შეხედეთ, ბაზარში რამდენი ხადზამული, ახალგაზრდა და ბავშვი დადის, თითქმის ყველას სადღაც ეჩქარება. მატარებლის ბილეთი ყველას ვითომდა აღებული აქვს, მაგრამ ამ ბილეთში არაფერი აქვთ გადახდილი. რა ვიცი, დატკებებიან კი ამ მოგზაურობით? რთულია იყო სუსტი და აჯერო სხვებს, რომ ძლიერი ხარ, როცა ყოველთვის მირბიხარ. ისინი მხოლოდ ჯდებიან, როცა ეს გალაქტიკების საბავშვო სათამაშო მორბის. მე მაინც იმის მწამს, შენ, მე, აი, ის ბავშვი აზიიდან შემოტანილ წითელ ქსოვილს რომ უყურებს და ფიქრობს, როგორ ლამაზად შემოიფარებს ცივ, სუსხიან ზამთარში, ყველა ერთი დიდი ტყუილის დარაჯები რომ ვართ.

– რთულია შეაფასო ეს ყველაფერი, მაგრამ ალბათ დაგიჯერებდით სიყვარულის დარაჯი რომ არ ვიყო.

– წავედი ახლა... მე ჩემი ჩემოდნით მაქვს სამოგზაურო.
– გაბრუნდა, მოგრძო, ძველი ქუდი ღამაზად აქეთ-იქიდან თითებით გაისწორა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ გაღიმებულმა შემომხედდა.

– ძველი ქუდით არ შეაფასო ყოფილი მეამბოხე. მშვიდობით!

ბაზარს სწრაფი ნაბიჯებით გავეცალე. ვერ გამეგო ფედჩას ნაბოღვარი, მაგრამ სახსებით გასაგები იყო ასტროლოგის საუბარი. რას ნიშნავდა საყვარელი ხეებისგან ნაჭედი ჯვარი? რა სჭირდა? ან ეს სათამაშო, ღმერთო.

ელა ქალია, მაშასადამე, ადვილად ამცირებენ. არც არასდროს ჰყოლია მას ფარად არავინ. ოხ, როგორი საბრალლო იქნებოდა ფედჩასნაირ ხალხთან იგი. მეშინოდა რამის თქმის, მეშინოდა ელასთვის ყველაფერი მეთქვა. რა ვქნა, ადამიანი ვარ, მწარედ მივენარცხე იმედგაცრუების კედლებს. ვაი, რომ თქმის უნარი ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო, მაგრამ შედეგობრივად სარისკო ნიჭია. გამოიყენებ და აკვირდები, რომ შენ გარშემო ადამიანების რაოდენობა მცირდება, როგორც გაყვითლებული ფოთლები, შემოდგმისას რომ ტოვებენ ხეებს. რჩება ხე გატიტვლებული, იმ დროისთვის გაულამაზებელი, სცივა და ეს სიცივე ფესვების გავლით თითოეულ ტოტს უყინავს, რომელზეც ასე მომრავლებულად წამოსკუპებული ფოთლები კარგ ამინდებში ავსებდნენ. დრო მოვა, მარტო დარჩენილი ხე შეიმოსება ფოთლებით, წამსველელი წავა. უკვე გაშავებული ფოთლები სინანულისგან დაღლილნი ხმელეთს ვეღარ განერიდებიან. დიახ, ხიდან ჩამოვარდნის დროს ფრენის უნარის შეგრძნება არ ნიშნავს იმას, რომ სამუდამოდ იგრძნობდა მას. და მიდის შემოდგომა, მაგრამ მოდის ზამთარი, რომელსაც აუცილებლად მოსდევს გაზაფხულის თბილი დღეები. ეს ბუნების კანონია, რომელსაც თურმე ასე მძაფრად უდევს საფუძველში ბუმერანგის პრინციპი. იმ დღეს, ყველა ვარსკვლავის ჩამოვარდნას ელოდა. სკამები ღამაზად ერთმანეთზე მიწყობილად დაელაგებინათ სოფლის მაცხოვრებლებს.

დიდი და მოტიტვლებული ველი იყო. ღამის სიშავის გადაკვრას ერთი მთვარის ამოსუნთქვა აკლდა. სწორედ ამ დღეს ყველა აქ მყოფი მათ ბედზე გამოგზავნილ მოკაშკაშე

სასწაულს ელოდა. სკამებზე მჯდომებს უნდა ჩაეფიქრებინათ ის ერთადერთი სურვილი, რაც მათ გულებში ამოკაწრულიყო. სამწუხარო იყო, ბუდის შენების დროს არწივების მედიდური თვისებისგან განსხვავებით, ისინი ძალიან შორს რომ იყვნენ. საკუთარი სხეულიდან ერთ გრამ ბუმბულსაც კი ვერა და ვერ იმეტებდნენ სამყაროსთვის.

დიას, მეგობრებო, ამიტომაც იყო მათი სურვილები ამ ლამაზად მიწყობილ სკამზე მოკალათებული. ერთი დღისთვის განკუთვნილნი და არა ყოველი რიურაუისთვის. არა, არ იცოდნენ, უფრო სწორად, ვერ ხვდებოდნენ, რომ რაღაცის მოლოდინში, ყოველდღიური ბედნიერების მიღების შანსებს კარგავდნენ. სწორედ ის წვრილმანები, ჩუმად რომ იფუთება თავისი უხილავი ბანტით უხილავ ბედნიერებაში, სწორედ ეს იყო მთავარი.

ჩემ წინ სკამებზე მოკრძალებულად დამჯდარიყო ორი ახალგაზრდა გოგო. ერთს ხელები ერთმანეთზე გადაეჯვარედი-ნებინა და ნაძალადევი ღიმილით ეკითხებოდა:

– წელს პირველი სკამია ჩემთვის. შენთვის?

– მესამე. – მეორე გოგომ სწრაფად გასცა პასუხი.

– აჰა... – დინჯი თანხმობით დაუდასტურა პირველმა გოგონამ. ალბათ გულშიც გაიფიქრა, გამოცდილია და ეკითხავენტა თუ აუხდა რომელიმე ნატვრაო.

– გასულ წელს გრიგალი იყო. მახსოვს, მწერებიც მომრავლებული იყო სოფელში. ვერ გაიხარეს საწყალმა გლეხებმა. დავიჯერო, რომელიმე გლეხს წინა წლის სკამზე არ ჰქონდა ნატვრად ნაყოფიერი მოსავალი?

– პასუხი რა გაგცე? მამაჩემიც გლეხია, მაგრამ რომ არ დავმალო, სურვილების სია არ აქვს ჩამოწერილი. – კვლავ სწრაფად დაუბრუნა პასუხი, თავდაჯერებული ჩანდა. – ბებია ხშირად მეუბნება, კაცის მთავარი ნატვრა შვილების კარგად ყოფნა არისო. რაც კი დავკარგეთ, თბილი სიტყვითა და ღოცვით ავუნაზღაურეთ ერთმანეთს.

– ვერ ამინაზღაურებდა მე ვერავინ! ვნახოთ, მეც ვეტყვი ჩემს სათქმელს ამხელა გზაზე გამოფრენილ სასწაულს და მერე ვიფიქრებ ანაზღაურებაზე. – ჩაეცინა. არა, კი არ ჩაე-

ცინა, ბოროტად ჩაიღიმა.

გული წამიერად შემეკუმშა, თვალზე ცრემლიც კი მომადგა. ასე აშკარა შური როგორ შეიძლება გამოსატო? მერე ადამიანები ვსწავლობთ შენიღბვას. ეჰ, ზოგჯერ როგორი დიდი სიბოროტით სავსეა სურვილები, რომელიც ჩვენ შორის ფართო ღიმილებში ბუდობს. ვაი, რომ სოფლის გლეხების ჭირიც ერთი ადამიანის ბოლმიან სურვილში იყო ჩაქსოვილი. წინა სკამზე ახალგაზრდები ისხდნენ, ბოლო რამდენიმე ოდნავ პატარა სკამი კი მოხუცებს მიედგათ.

დამჭკნარი ვარდებივით იყვნენ, ყოველ მხერასა და გამოსხედავაში ეტყობოდათ, ათასი ფერფლადქცეული სურვილი რომ ბობოქრობდა მათში. ყველაზე დიდხანს მოხუცს პატივისცემა და თბილი სიტყვა აცოცხლებს. ამ სოფელში კი ესეც ღირებულება მოკლებულ ამბად ჩაეთვალათ? შიშით იყუჩებოდნენ ერთმანეთთან, არ უნდოდათ ენახებინათ სხვებისთვის, რომ ეს დღე მათთვის მნიშვნელოვანი იყო. და რატომაც არა? რატომ არ უნდა ჰქონოდათ მათ სურვილები? ნუთუ ნაოჭებმა უნდა დაფარონ ოცნებათა ღინებები? ყველაფერი ჩარჩოებში კარგად ჩასმულ სურათებს მაგონებდა. ჩონქოლს წამოძახილები ემატებოდა. რამდენიმე წუთში ავისმომასწავლებელი შეძახილები გავიგონე. წინა რიგებიდან ორი მეგობარი ხმამაღლა საუბრობდა.

– ჟიულ, დროს მიეცი შენი ძალა, იქნებ ღირდეს.

– აცოცდი კლდეზე, ყველანაირი დახმარების გარეშე, იქნებ ღირდეს, ანტონ!

– ნუ დასცინი ჩემს ნათქვამს. – ტუჩები მწარედ მოეკუჭა აქამდე ჩემთვის უცნობ ჟიულს. ითმენდა, რადაცის თქმას ერიდებოდა. ბოლოს ნებისყოფა ეყო და მეგობარს მიიძახა.

– გასულ წელს, შენ და შენს უმაქნის მამას მოკრძალებული საჩუქრები მოგართვით. დიდ თოვლში გადმოგვედი სოფლის ბოლოს. ჰა-ჰა, დაუნახავით? ღმერთო ჩემო, არა! უფრო ბოლმა და სიბოროტეა გარეული შენს ხუმრობაში!

– ნუ მმოდვრავ. შენ ხომ გულით მაჩუქე? ხოდა, აქ დასრულდეს ეს არაფრის მომცემი დიალოგი, ბატონო ჟიულ.

ეტყობოდათ, დიდი წყენა ედოთ გულში, გამოაშკარავება

კი აქ ყველას თვალწინ მოესურვებინათ.

– ბატონო ჟიული ბოდმის ხსენების შემდეგ გავხდი? უბადრუკო არსებავ, მებრალეა შენი სახლი, რომ გიცავს და გაცხოვრებს. დაინგრეოდეს ნეტა! არა, უარესიც, ფერფლად იქცეს დღესვე. ღირსი ხარ, მიმიფურთხებია შენი სიმართლისთვის. იცი რას ვისურვებდი? ღამით, მთვარის სილამაზე თვალს რომ მოგჭრის, უცაბედად დაგატყდეს დიდი უბედურება. ჰა-ჰა, შეგეშინდა? არ დაიმორცხვო, კიდევ ბევრი საუკუნე დარჩა ჩემი შთამომავლებისთვის, თქვენი მოდემის უხრწნელი უმადურობა რომ შეიგრძნონ. ახლა კი მომშორდი შენი სკამიანად!

– სურვილები თავისით, ერთი ღრმა ამოსუნთქვითა და ჩაფიქრებული ნატვრით არ მოდის, ჟიულ! შენ რომ ახლახან ჩემი თავშესაფარი დაწყველე, ბევრჯერ გამხდარა შენიც. ეგ ვარსკვლავებს არ აუშენებიათ, ჩემმა ხელმა და გონებამ იწვალა მისი საძირკველის გამტკიცებისთვის. უფლება არ გაქვს, არ გაქვს...

– პასუხს აგებთ!

– დიდი დანაშაული იქნება შენი სიტყვების აცხადება, მეგობარო.

– ფული იშოვე, მერე? გგონია მორჩა, ეს სამყარო ფეხქვეშ გაგეგება და დაიყვორებენ სასიამოვნოდ – ანტონ, ბრავო? ჰა-ჰა... ბატონო, მაგ ფულით ერთ დღესაც არ ჩაიმსხვრეს ძველ ფანჯარასავით შენი დიდი ყულაბა!

მათი ბგერები უხეშად ხვდებოდა ყურს. დიალოგს თან გაგურბოდი, თანაც მაინტრიგებდა. რა აჩუქა ჟიულმა ანტონს ასეთი? ნუთუ ღირდა ამ ყველაფრად? ნუთუ ბედნიერება საჩუქრებშია?

– ვფიცავ ამ დღეს, შემომაკვდება, მომაშორეთ!

– არა, არა, ჟიულ, შენ მკვლეელი ვერ გახდები. იცი რატომ? წარსული არ გაქვს ნაჩვრეტებით სავსე, უდარდელად გიცხოვრია, ცხოვრობ და იცხოვრებ. ტანჯვა წარსულში უხილავი ცუდით არ დაგდევდა, მკვლელადაც და ყველაზე დიდებულ, ბედნიერ ადამიანადაც სწორედ ეს გაქცევს. შენ კი შუაში ხარ გაჭვდილი, მოხეტიალე სულივით. ქალივით

იწყევლები.

– მომშორდი, გესმის? არ მინდა მოსმენა არაფრის.

ანტონი ხელებგაშლილი მიბრუნდა ხალხისკენ. იქ მყოფებმაც უხერხულად და გაურკვეველად დაიწყეს ისედაც კოხტად მიწყობილი სკამების მილაგება, თითქოს სპექტაკლის დარაჯები ამდენი ხნის განმავლობაში არ ყოფილიყვნენ.

– ხედავთ, ჩემო ძვირფასო ჟიულებო, როგორები ხართ? – გამხდარი ბავშვი, რომელიც იქვე იდგა, მარჯვენა ხელით თავისკენ მოსწია. – ბავშვები! აი, სწორედ ამათ გამო ღირს გარისკვა, ცხოვრება, სიკვდილიც კი. მთელი ჩემი შეგნებულის ცხოვრება, მეგობარი კი არა, უხილავი მტერი მყოლია. იცით, ალბათ, ესეც რისკია. ახლა კი ამაკრა ფურცელივით ჯოჯოხეთის სიყვარული. თქვენ, აი, თქვენ კი უკვე რა ხანია ფერფლი გადაგფენიათ ისედაც დახუჭულ თვალებზე. ძალიან კარგ ადამიანს ლანძღავთ, საქვეყნოდ ძირს უთხრით, თვალუწვდენელ ორმოში ერთი წიხლით აგდებთ. ყველაზე ცუდს კი სკამს უდგამთ დასაჯდომად. იცით, ვის? თქვენი თავების ცუდ ვერსიას, კარგს კი წამოდგომის, გამართვის საშუალებას არ აძლევთ, ყოველ ჯერზე ბასრ ისარს უმიზნებთ. თქვენ სხვისი ძალებით მოფრენილ ვარსკვლავს ეტრფით. იქნებ თავგის კუდია, რატო გაადმერთეთ? იქნებ პატარა მწერის თვალია, ანდა იმ ირმის ნახტომის ცრემლია, გადაშლილი რომაა შავ სამყაროში. იქნებ ღვთის ნიშანია თვალების გასანათებლად? იცით ვინმემ, რას ეტრფით? არა, არ იცით, იმიტომ, რომ ასე გაწყობთ, მუდმივად გჭირდებათ რაღაც გაუგებარი, შეუცნობელი, რათა აუშენოთ უცრემლოდ და უწვავლებლად სასახლეები. ეს სკამები ცოდვის სკამებია. გპირდებით, ჟიულებო, დრო მოვა, რიტუალიც მოიწყენს თქვენი დანთებული ცეცხლით და ველს გადაგიწვავთ. მერე აირჩევთ ვინმე ერთს მსხვერპლად, როგორც წესია ამ გამოუსადეგარი რიტუალის. იტყვიო, მისი ბრალია, ურჩხულია და ამ დანთებულ, თქვენთვის გამზადებულ ჯოჯოხეთურად მოწითალო ცეცხლში უსისხლოდ დაწვავთ. წყალსაც წაუღია თქვენი სკამები და მოჩვენებითი სიყვარული, ჩემი ხელით აშენებულ სახლს დავუწყებ სკამებით გავსებას, ასე ჯობია ყალბ ხალხთან და სიმრავლეში ღრმა სუნთქვას! გტოვებთ, ბატონებო, რიტუალს ვშორდები, განდევნილობას ვამჯობინებ უსაშველოდ მტანჯველ წარსულ-

თან და აწმყოსთან ერთად. – გაშლილი ხელებითვე ჩაუარა ბრბოს, ხეებს მოეფარა და სადღაც, უსახელო ჭეშმარიტების ნისლში მარტოხელა მგელივით გაუჩინარდა.

რატომ არიან ნამდვილად ერთგული ადამიანები მარტო? რატომ ტოვებენ სულ ყოველთვის ასეთ გულწრფელ, მეგობრულ ადამიანებს სიმარტოვეში? ზოგი ნამდვილ მეგობარს ნატრობს, იმისთვის, რომ იზრუნოს და ესაუბროს. ზოგი კი იმიტომ, რომ საჩუქრები მიიღოს და საკუთარი თავი გაამდიდროს.

ერთფეროვანი რეალობა უცაბედად ელას ხილვამ შეცვალა. მუქი ყავისფერი კაბა ეცვა, წინ სამი დიდი ღილით. თხელი, შავი შემოსაცმელი მიეფინა მხრებზე. ოხ, ღმერთო, მისი თმა შორიდან კვლავ ძველებურად მჟაღერებოდა. ხესთან ნელა ჩამოჯდა. მასთან მისვლა გადავწყვიტე. თვალები ზეცისკენ ავწიე, არ ვიცი, რატომ. ალბათ შინაგანი კომპლექსი მაწუხებდა, ყველა იმ გზაზე მე რომ დამინახავდა, რომელიც ელასკენ უნდა გამევიდოდა. გაკვირვებას არც მალავდნენ, ჩურჩულებდნენ და თავს იმედგაცრუებულად აქნევდნენ.

– შეგცივდება.

– დღეს ხომ განსაკუთრებული დღეა ყველასთვის. შენი სკამი სად არის?

– დავამტვრიე. – კმაყოფილმა ჩავიცინე, მინდოდა ჩემი ნათქვამი რეალური ყოფილიყო.

– არ ვიცოდი ასე თუ გაგალიზიანებდათ სურვილთა ამბორი.

– სურვილთა ამბორი?

– კი, ასე ჰქვია ამ დღეს...

– საოცარი სახელია.

– ნამდვილად. ვინ დაარქვა, ვერ გეტყვი, მაგრამ მართლაც საოცარია!

– შენ რატომ არ გაქვს სკამი?

– არ მსვამენ.

– გიცდია?

– კი, პატარა რომ ვიყავი, მაშინ... არ დამსვენს.

– როგორ? ეს ხომ...

– ეს ხომ უსამართლობაა, არა? ეს გინდოდა გეთქვა? არ უნდა გიკვირდეს. არც მინდა ამაზე დიალოგი გავაგრძელო, უბრალოდ ჩუმი ვიქნები აქ ჩემთვის.

– მინდა, რომ დღეს სურვილი ჩაიფიქრო მთელი გულით.

– სამი წლის წინ, აქ ჩუმად ჩავიფიქრე, ველის ბოლოს. წიგნებით სავსე თაროები მინდოდა. რამდენიმე დღის მერე ფედჩას ბიბლიოთეკაში ხანძარი გაჩნდა, ამიტომ მეტ ბოროტებას ველარ ჩავიდენ. – სასიამოვნოდ გაიღიმა, წითელი ტუჩები სიმორცხვისგან დააპატარავა და ლოყები სინაზისგან ზემოთ აეპრიხა.

– ადექი.

– რატომ?

– ადექი, ელა, სურვილთა ამბორს სკამი უნდა დაუხვედროთ, ყველაზე ღამაზი სკამი სოფელში!

– არ შეიძლება, უფლებას არ მომცემენ და იცი შენც ეს კარგად.

– ვცადოთ.

ელა შეშინებული ადგა, მუხლებს ძლივს აშორებდა მიწას, ბოლოს ერთბაშად წამოიმართა და იმედიანად შემომხედა.

– გამომყევი, ელა!

შებინდებული იყო, დრო გვქონდა. სკოლისკენ წავედი. ელაც მობუზული, გაურკვეველი გამოხედვით უკან მომყვებოდა. ხანდახან ჩერდებოდა, მაშტერდებოდა, თითქოს ზმანეზიდან გამოღვიძებას ცდილობდა.

იმედი მქონდა, რომ ლეო ფხიზლად იქნებოდა. სკოლის გვერდით პატარა ქოხი ედგა, დარაჯის როლსაც კეთილსინდისიერად ასრულებდა სუსანას ერთგულად დარჩენილი ლეო. ის პირველყოფილთა ბელადი, მე რომ შთამბეჭდავად მიბიძგა ელას გულისკენ.

კარებზე სწრაფად დავაკაკუნე. ოთახიდან უეცრად აურხაურის ხმა მოისმა, თითქოსდა უდროო დროს მივადექით მის ქოხს. კარები რამდენიმე წუთში თმაგაბურძენულმა ლეომ გააღო. ჩემ გვერდით ელა რომ დაინახა, ბავშვური ღიმილი გადაეკრო მის ნაოჭიან სახეს.

– ელა!

– ლეო!

ღუმილი საჭირო ადგილას აღმოცენდა. არ მახსოვს, რამდენი ხანს იდგნენ ასე, უბრალოდ უყურებდნენ ერთმანეთს,

ხალხის ბრალდებებისგან დაღლილნი, მაგრამ კვლავ ბედნიერების მოლოდინში. დუმილის დარღვევა მე გადავწყვიტე და ლეოს დაუინებული მზერით ავუხსენი, რომ სკამი გვჭირდებოდა, რაც შეიძლება მალე და ეს იყო ელასთვის.

– შემოდით, სკამს სკოლის სარდაფიდან გამოვიტან, იქნება ალბათ თქვენთვის შესაფერისი. კი, კი. – მოხუცი დაბნეული ჩანდა, თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა, რაღაცებს ბუტბუტებდა. არეული, სიბერისა და ნესტიანი შემის სუნით გაჟღენთილი კედლები დაბზარული იყო. ოთახი ლეოს შესაფერისი გახლდათ, ოდნავ არეული. ჭადარა და ცარცისფერი ბუხარი მაგიდის გვერდით აშენებულყო, ნაცარიც იატაკზე ნაზად მიმობნეულიყო, თითქოსდა განგებ გაშაღეს. მაგიდაზე მიმოფანტული გაზეთები ელაგა. ერთ-ერთის გვერდზე ჩემი სტატია მოჩანდა სათაურით – „უსახლკარო არქიტექტორი“. ფანჯარა ბოლომდე იყო გაღებული, რაფაზე სიმაღლის მიხედვით სანთლები იყო ჩამოღვეთილი. ორი პატარა თარო მიჯნურებივით მიკროდა ერთმანეთს. დაბერებულ წიგნებს დაგრძელებული წამწამებივით ეკიდა სანიშნეები. ნიაფი კეფასთან თბილად მიბერავდა. თვალი მაგიდის ბოლოში მიგორებულ დურბინდს მოკვარი. მძაფრად ვიგრძენი მოხუცი ლეოს მზერა. როგორც კი მივიხედე, მის თვალებში დამნაშავე ბავშვის ვედრება ამოვიკითხე. ორივეს ნაფიქრი ერთმანეთს საბედისწეროდ შეეჩეხა. ლეო ვარსკვლავების ჩამოვარდნას ელოდა, ფანჯარაც ამიტომ ჰქონდა ასე ფართოდ ღია და აურზაურიც მიმალული ოცნებებისთვის დასჭირდა. თვალები ოთახის სხვადასხვა კუთხეში მიიბლანდა, აცდა ერთმანეთის ნაფიქრს. მალევე ორივემ ელას დაუწყო ყურება. ლეომ თითო მარცხნივ გაიშვირა სახით კი მარჯვნივ, ჩემკენ იყო.

– ასეთი ჯიუტი სახე რატომ, ყმაწვილო? როგორ შეიძლება, უნდა მოდუნდეთ, ცხოვრება გრძელდება. არაფერია ისეთი სასიამოვნო, როცა იცი, რომ ათასი შანსი ათას დღეშია. ვინ იცის, 365 დღეც 365 შანსია ხალხისთვის. ნუ გაჯავრდებით, დაინდეთ, გეთაყვა, დაინდეთ საკუთარი თავი. მათ შენი შანსები ვერ შეცვლით, მათ საკუთარი შეცვლით, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი, ჩემო ბიჭო.

ლეო მე მესაუბრებოდა, მაგრამ თითო სხვაგან ჰქონდა მიშ-

ვერილი, მისი მხერა არ ემთხვეოდა ამ მიმართულებას. მეც მაშინვე მივხვდი ლეოს დაძაბულობას და იმ ტყუილის არსს, რომელიც გამოუცდელი მატყუარასავით აეკრო სახეზე. ის ძალიან ნერვიულობდა.

– ლეო, მენატრებიდი, მაკლდი! – ელამ დაბნეულად მი-
აძახა აკანკალებული ხმით სათქმელი.

– ჭაღარა დაგრძელდა... – ნაზი ღიმილით გაიღიმა, ელას ხელები მოხვია და მჭიდროდ ჩაიკრა გულში. ხანდახან თბილ მხერას ჩემკენაც აპარებდა ხოლმე, თითქოს მეუბნებოდა, შენც გეხუტები, დურბინდი დაივიწყეო.

– აბა, მაშ, გამოდის სკამი გინდათ, წავედი! – ლეო კარებს მაშველი თოკივით მოებლაუჭა და სწრაფად დატოვა ოთახი.

– აქ შენი სტატიაა, თვალი მოგკარი.

– ჰო, მგონი ეგ არის. – ვერ ვწვევტი ელას ყურებას, მინდოდა უსასრულო რომანტიკა და სიყვარული მეჩუქებინა. მინდოდა მთელი დამე დაუსრულებლად გვესაუბრა ჩვენს მა-
გნე ჩვევებსა და ბავშვურ ოინებზე.

– მგონი, აღარ მიყვარს ჯღაბნა. – ჩავიცინე, რეალურად კვლავ მიყვარდა აბლანდური წერა. არ ვიცი, ტყუილი თა-
ვისით ამოცოცდა ენაზე.

– რაც შენია, არ მისცე გაშვების უფლება. წამიერად ყვე-
ლას შეგვიპყრობს ზიზღი იმ საქმის მიმართ, რომელიც ხშირ-
ად გვაბედნიერებს. საკუთარი თავის ჩაგვრა ყველაზე დიდი ბოროტებაა ამქვეყნად, ნიჭისა და ცოდნის გაუფასურება კი არარაობად გვაქცევს. ასეა, ყველა ერთმანეთს ვამზადებთ სიტყვით მომავალი ცხოვრებისთვის, რჩევებს ვიძლევი, მა-
გრამ ვერ ვხვდებით, რომ აწმყოზე მთავარი არაფერია. რა ვიცი, მე იქნებ ხვალ სამარეს დავუწყო ფერება? ნუთუ ღირს წამების, წუთების გაფლანგვა იმ დღისთვის, რომელიც საერ-
თოდ არც ვიცი, მოვა თუ არა? დამერწმუნე, წარმატების დღე თუ მოვა, მაინც სხვა რამ გვენდომება. ამიტომაც ვე-
ძებ ბედნიერებას ახლა, აქ, ამ წამს. ასეთები ვართ, მუდმივი დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება გვაქვს. ალბათ ამიტომაც ფასობს ღარიბებში ფული, მდიდრებში – ბედნიერება და ცხოველებში – საკვები.

– ელა, როგორ არ დაგეთანხმო. ხშირად მიფიქრია მაგაზე. მოვიპოვო რამე, მერე? ისევ სხვა რამ მენდომება, რაღაც უფრო სხვა... ალბათ, მაინც ყველას გვაქვს გულში ადგილი, რომელიც მუდამ ცარიელი იქნება, ყველაზე ბედნიერ მომენტშიც კი.

– ვფიქრობ, ასეა. სიცარიელე იმიტომ არის, რომ რაიმეს ელოდება, რომ შეივსოს. აბა მის არსებობას რა აზრი აქვს? მთავარია, სიბნელემ არ მოიკალათოს, მერე სიცარიელესა და სიბნელეს ადვილად ვერ შეებრძოლება ეულად დარჩენილი სინათლე.

– სინათლე ხომ სიყვარულია?

– კარგი კარგს შობს.

– გყვარებია? – დაფიქრდა, ღრმად დაიწყო სუნთქვა, მერე უცბად გაახსენდა ჩემი კითხვა, შეშფოთებულმა ამომხედა და გაბრაზებულმა მომამახა.

– არა, არ მყვარებია!

– მე კი პლატონური სიყვარულით მყვარებია. კი არ მყვარებია, ახლაც უსაზღვროდ ვარ შეყვარებული.

თვალემა ფორიაქი დაიწყეს, გაყინულ ტალღებში ლიფსიტასავით შევარდნენ. ქურდი ბავშვივით, კისრის ფხანა დაიწყე. რას ვმალავ ამ ფხანაში, რას? ნუთუ მართლა ასე მიყვარდა ელა, პლატონურად? იქნებ ის უბრალოდ იმდენად სხვა იყო, რომ მისი მონადირება გახდა ჩემი მამაკაცური იდეებისთვის მთავარი. იქნებ ჩვენ, ბუნებით მექალთანე კაცებმა, სიყვარული მაშინ ვიცით, როცა ვნადირობთ? როგორც კი ტყეს გვიჩხავენ, შევლიც თავისით, შენი ხრიკების გარეშე იწყებს მსხვერპლად ყოფნას და ხტუნვა-ხტუნვით მოდის თოფის პირისკენ. მაშინვე წყდება იმ უცხო, ეგზოტიკური ყვავილის მიმართ ლტოლვა. ამაზე საუკეთესო მომენტი რა უნდა მქონოდა? ვარსკვლავები, ღია ფანჯარა, მოძველებული ოთახი და ღეოს სურნელი. სიყვარულის ახსნისთვის მართლაც ელას საყვარელი გარემო იყო.

– მახსოვს, ძალიან პატარა რომ ვიყავი, ძილის წინ მამამ ტკბილ სიმღერასავით ჩამჩურჩულა „დრო მოვა და შენი ხელი ღირსეულ ხელს იპოვის დასადებად“-ო. ჭკვიანი და დაფიქრე-

ბული ადამიანი იყო. დიდი თმა ჰქონდა, კულულებიანი.

– სად არის?

– ომი იყო... ტალახიან ბილიკებს ისიც დიდი ჩექმებით გაუდგა. მე და დედამ პურის ცხობა დავიწყეთ, ბევრს კი ვერ ვშოულობდით ჩემ გამო, მაგრამ ვარსებობდით. მახსოვს, დედაჩემი კარების ხმაზე ფქვილიან ხელებს როგორ შლიდა, იქნებ მამა ყოფილიყო. მერე წერილებსაც აღარ აგზავნიდა, მისმა საყვარელმა გოლიათმაც ყეფას მოუკლო და ნაწუნ კანფეტს დაემსგავსა. ომი მორჩა, სინათლემაც დაიწყო ციმციმი ჩვენს გულებში, მაგრამ ამოდ. მამას კულულები სადღაც ნისლიან მთებში მოჩანდა, გაუგალი გზებივით. მერე ბევრი წელი პურს კიდევ ვაცხობდით და ის დღეებიც შეუმჩნევლად იქცა ჩაკეტილ სკივრად. იმ დღეს დარდმაც დაუწყო სიკვდილს ვედრება, იქ ვიდექი წვიმისგან ნაცემი. მამაჩემი მუდამ მღეროდა, დედა კი ბავშვივით სჯიდა, უკრძალავდა. ძალიან უყვარდა წვიმიანი ამინდი, გუბებს მე და ის მხიარულად ვებრძოდით ერთი დიდი ნახტომით. ნაკლიანს ეძახდა დედაჩემი, გაბრაზებული უყურებდა, როცა დაიწყებდა შემოდგომაზე, ანდა მწვერვალებზე დაწერილ ლამაზ სიმღერებს. მახსოვს, იმ დარდიან დღეს ძალიან წვიმდა, ჩვენი თამაშის დღეს ჰგავდა, გუბებიც ჩვეულად გველოდნენ. აუარებელი ხალხი ფეხით მოდიოდა სოფლის ცენტრში, შავებში იყო ყველა. სავსე იყო ჩამუქებული ფერით ნისლიანი დილა. ლამაზი ბიჭი გარდაიცვალაო, თქვეს და წამებმაც იწყეს საუკუნეების კალთებში ძილი. მეც ბევრი ვიტირე. მაშინ ყველა ტიროდა. შავი ჩადრი სახეს უფარავდა დედაჩემს, თავის ნაკლიანს გაბრაზებული დასცქეროდა და სიმღერას სთხოვდა, იმ სიმღერას, ყოველთვის რომ უშლიდა. მერე ყველამ ტირილი ვისწავლეთ, გუბებიც მორიდებულად შეაშრა მიწას. ცრემლების ზღვა ლამაზ ბიჭს დარდობდა. მამა იმ დღეს დაგვარგე. იმ დღეს დაგვარგე თამაშის სურვილი.

ცრემლი უცბად მოიწმინდა, გაშლილი ხელები დაბლა დაუშვა და იმედგაცრუებულმა დაიწყო გვერდით ყურება.

– ადამიანი ახალგაზრდა რომ კვდება, გულდასაწყვეტია. ვწუხვარ, ელა! რამდენჯერაც დავაპირე სიტყვით ბრძოლა, ქვები დამიშინეს. როგორც ხელით, ისე სიტყვით, სურვილებსთის ომი სარისკოა, ყველაზე რთულ შემთხვევაში კი –

სიცოცხლისთვის.

– ამ სოფელში კარგი ვინც იყო, ყველა ახალგაზრდა მოკვდა და თუკი შემორჩა ღელს მსგავსად ვინმე, ისიც წარსულს გაჰკიდებია სანთლით და რეალობას ვეღარ აღიქვამს.

– დატირებით დასტირიან, ვიცი.

– და მათ შვილებს ორმოცში ყრიან.

– ელა..

– ამიტომაც მიყვარს ღეო, ძალიან ჰგავს მამას.

რამდენიმე წამში მოხუცმა ღეომ კარი შემოაღო, ერთ ხელში ორი სკამი ეჭირა, მეორეში კი ხავსმოკიდებული შეშა.

– სურვილთა ამბორი, აქ, ჩემი ფანჯრიდან... რას იტყვიო?

ელამ გახარებულმა, თანაც დაბნეულმა შემომხედა. ჩემს მზერაში თანხმობა რომ ამოიკითხა, სკამები სწრაფად გამოართვა და ფანჯრებს უფრო ფართოდ დაუწყო გაღება.

– დიახ, სურვილთა ამბორი ზუსტად აქ.

ელა ძალიან ბედნიერი ჩანდა, ხმას ვერ ვიღებდი, არ მინდოდა რამე სისულელე მეთქვა.

ღეომ ბუხარი დაანთო, დურბინდით დაზვერა მოგზაური.

– აჰ, ეს დურბინდი არაფერში ვარგა. რვის ოცი წუთია, დროა, დახუჭეთ თვალები.

ნანატრ ვარსკვლავს უნდა ჩამოეფრინა.

სკამებზე მიწებებულები მოუთმენლად ველოდით. ვარსკვლავის ჩამოვარდნის დროს ელამ და ღეომ თვალები დახუჭეს, მხოლოდ მე მეხილა, ვაკვირებოდი მათი ტუჩების მოძრაობას. მეგობრებო, დამიჯერეთ, ადამიანი ყველაზე მომხიბლავი ამ დროს არის, როცა მთელი გულით იმ ერთადერთ სურვილს ნატრობს, ძველ სკივრს რომ დამსგავსებია. რა ლამაზია მეოცნებე ადამიანი და რა მახინჯია მაშინ, როცა შურს და გესლავს გველივით სხვებს.

– ჩავიფიქრე!

– მეც! – ბავშვურად შეხტა ღეო. – იცი, ელა, სკამი მორყეული იყო, მყარად იჯექი, ყოჩაღ, ბრავო! რიტუალიც შედგა!

– მადლობა, რომ მიბიძგე ამ წამების ახდენისთვის, მთელი გულით მადლობა! – მითხრა ელამ და მორცხვად თვალები დახარა.

ყველაზე შესაფერის დროს მე მაინც ჩუმად ვიყავი, ვერა და ვერ ვამბობდი შეყვარებული ჟურნალისტის გულისნადებს. საკუთარ თავს დიდ მტანჯველ ორმოში ვაგდებდი. რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ დავფიქრებულიყავი, ღირდა თქმა?

სასწაულად წვეთავდა გასაშრობად გამზადებული წვეთები. როგორც წესი, ნათელი ღამე იყო ხოლმე ელას დაბადების დღეზე. ლეომ მითხრა, ჩუმად და მორიდებით, მაშინ როცა სკამებს ამზადებდა. „დღეს მისი დღეა“. ლეოსა და ელას დიალოგის შემდეგ შესამჩნევად მივაშტერდი მას, თვალები სასწაულად უბრწყინავდა.

– დღეს შენი დაბადების დღე ყოფილა, ელა, გილოცავ!

სასიამოვნო გაკვირვება დაეცო მის სახეს.

– გილოცავ, ელა, შენს თმას ვფიცავ, ულამაზესი ხარ და ულამაზესია შენი მომავალიც. – ლეომ აკანკალებული ხმით მიულოცა და გულში კვლავ მჭიდროდ ჩაიკრა.

– არ მეგონა, თუ გეცოდინებოდათ!

ყველაფერი იმაზე რთული ხდებოდა, ვიდრე აქამდე. ელას ჭეშმარიტებას სიმწარით ვიგებდი, თურმე ადამიანისთვის სიმართლის შენარჩუნება ერთი დიდი ჯოჯოხეთური ცეცხლის აბანო ყოფილა. განიბანო უნდა მასში და სწორედ ტკივილის გამოვლის შემდეგ უფრო დიდი სიმამაცით შეეგებო ჭეშმარიტებას. მსმენია, რა აზრი აქვს სიმართლის სიხარულს, თუ მის მოსაპოვებლად ათასი ტყუილი არ ამოიცანიო. ჩემ შემთხვევაში, სიცრუის ცეცხლი საკუთარ გონებაში ჩავაქრე. ისე, სიმარტივეს სხვა რამ არც უდევს საფუძლად, ეს პატარ-პატარა, შეუმჩნეველი მოვლენებია, მოხვდებით თუ არა სამართლიანობის ოკეანედან წვეთი, მაშინვე ნაპირისკენ გარბიან. მათ არ უნდათ რეალობას ჩაწვდნენ. ზუსტად ვიცი, აქ, ამ ხალხში, ათას კაცში, შეძლებულებსა და ყოყლოჩინებში რომ მოძებნო სამართალი, ვერ ნახავ. დარიბებსა და ბუნებაში ხვდები, რომ ეს ჭეშმარიტება წვრილმანებშია ჩაქსოვილი. დარიბებს არ აქვთ მატერიალურად რაიმე დასაკარგი, მათ თავის დროზე ჭეშმარიტებისთვის ჭეშმარიტება გაიღეს

და სამუდამოდ უბედურებაში გაჰყვათ სიბნელე შერეული დღეები. ადამიანი კი, რომელიც ქვის ქვეშ გველივით თავსდება და სიგრილეს ნახულობს იმწამიერი სურვილის დასაკმაყოფილებლად, კარებს ვერ უღებს მომავლის ზრახვებს. ამიტომაც არიან ჩვენ გარშემო მახინჯი ბედნიერები, უშნოდ აშენებულ სახლებსა და ეზოებში გაშოტილები, მწერებისა და ქვეწარმავლების გარემოცვაში.

ნუთუ რეალობა არაა, ამ სიმართლემდე ადამიანი რომ სიზარმაცის გამო ვერ მიდის? აკი ვახსენე, ათასი ტყუილი უნდა დასძლიო-მეთქი, ზოგი კი ერთი ტყუილის ნაგავში მისაგდებად კოჭლობით დგება და ისიც სანახევროდ ასრულებს სიმართლის გულისთვის საქმეს. მერე იქიდანაც ოკეანე უტევს და უტევს, პირდაპირ აჯახებს სიმწარეს, მოვრალი კაცივით ათას კუთხესა და ადგილს რომ მოედო და მაინც ვერ მიახვედრა რეალობა. მერე ასეთი კაცი დაჯდება და იტყვის – ვეცადეო, მაგრამ არც ღმერთს სურს ჩემი კარგად ყოფნაო, ფეხს ფეხზე გადაიდებს და კვლავ ბაყაყივით გააგრძელებს ცხოვრებას, თითქოსდა ეგ დაგრძელებული ფეხები კარგად ყოფნისთვის არ უბოძა უფალმა. მერე ვიდაც დააბრალებს მშობლებს, ბაყაყად რატომ აღზარდესო, მე კი ასეთს გულწრფელად და მორიდებულად ვეტყოდი, – რასაც მიეკედლები, იმის ფერს იღებ-მეთქი. დამტოვე ჯუნგლებში ნახევარი ცხოვრება და იქიდან გამოსულს ან მაიმუნის, ანდა მტაცებლის ქვევები შემეტყობა. იცი, ვერც ვერავინ დამსჯის ამის გამო, იმიტომ, რომ ადამიანი ვარ. მე კი ვბაძავ დაბადებიდან, ღრმა ბავშვობიდან. შენ წარმოიდგინე და ყველაზე ღამაზ ირემთა ჯოგშიც დაიწყებს ეს ბაყაყი ყიყინს. იტყვი, ამას აქ რა ესაქმეაო, მეც მოკლედ გიპასუხებ, – ჭაობში უფრო დიდი დრო გაატარა, ვიდრე მშობლიურ ველზე-მეთქი, ირემიც იქცა ბაყაყად. ასეა, ბატონო, შეეგუეთ!

მე კი იმ ორ ადამიანს ვუყურებდი, რომლებმაც ეს ფერი არ მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ ამის მრავალი საშუალება ჰქონდათ. სურვილთა ამბორის დასასრულს ღეოს ქოხი ყველაზე სანდო თავშესაფრად მომეჩვენა. ახლა კი დარწმუნებული ვიყავი, ქარიშხლის დროს ელა სად უნდა წასულიყო. ამ პატარა საცხოვრებლის შეცნობის შემდეგ, მინდოდა გომბეშოს სახლთან დიდი ასოებით მიმეწერა ეკლესიასტედან ერთ-ერთი ამონარიდი – „შხამიანი ბუხები აფუჭებენ და აღ-

პობენ სურნელოვან ზეთს; მცირედი სიბრიყვე უფრო ძვირფასია ზოგჯერ, ვიდრე სიბრძე და ღიღება“. (თავი მეათე).

ლეოდან გამოსულებმა ჩვენ-ჩვენს სახლებში გადავწყვიტეთ წასვლა. ელასთან განშორება უსიამოვნო იყო, დარდი ისევ დარდს დაემსგავსა. გზად, ძველ, დანგრეულ სახლთან რამდენიმე სანთლის ნათება შესამჩნევად კაშკაშებდა. ინტერესმა შემიპყრო, ჩუმად და ფრთხილად გადავაბიჯე აგურებს და მივუახლოვდი იმ ადგილს, საიდანაც სანთლები ანათებდა. არ მჯეროდა, – ჭერმონგრეულ, ძველ სახლში ასტროლოგი დავინახე, თავისი ჩემოდანი გაეხსნა და გაცრეცილ სურათებს იმედგაცრუებული მზერით აკვირდებოდა. სურათებში, სავარაუდოდ, ირმის ნახტომი ჩანდა. მასში გრძელი ხაზები ლამაზად და სწორად იყო გავლებული, გრადუსები შავი ფანქრით გვერდულად ეწერა. უკან გაბრუნება დავაპირე, არ მინდოდა ცნობისმოყვარეობას ჩემთვის უსიამოვნება მოეტანა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ უცაბედად შევცბი.

– ისევ თქვენ?

– იცით, არ მეგონა, თქვენ თუ იქნებოდით. მე სახლში ვაპირებდი წასვლას, არ ვგეგმავდი თქვენს საქმეში ცხვირის ჩაყოფას.

– მაგრამ ასე გამოგივიდათ.

სიმორცხვის ნიშნად თვალები ქვემოთ დავხარე, კაცის შესაფერისი საქმე რომ არ ერქვა ჩემს ქმედებას, ეს ისედაც ვიცოდდი.

– მოდით, მომიახლოვდით. – ქუთუთოები გადაღლილობისა და უძილობისგან ქვემოთ დასწეოდა, ხელსაც მეტად დაბნეული ამოძრავებდა.

ასტროლოგი განაწყენებული ჩანდა. რაზე? ეს ალბათ უკვე ჩემი საქმე აღარ იყო.

– მოკლედ გეტყვით, ყოველ წელს, ამ დროს, ვარსკვლავი არ ვარდება. – სურათებს თვალს არ აშორებდა.

– როგორ?

– იმ დროს, როცა წესით უნდა ჩამოვარდეს ვითომდა სასწაულმოქმედი ვარსკვლავი, ვინმეს უხელია თვალები? სურვი-

ლი რომ ასრულდეს, აუცილებლად დახუჭული უნდა ჰქონდეს ყველას, ხო ასეა? მოდი, ასე დავსვამ კითხვას, – დაუნახავს კი ვინმეს ეს?

– დავიბენი.

– ეგ უკვე კაია. იცით, ვიღაცამ ეს ხალხი რიტუალის ნაწილად აქცია. ალბათ სკამების სარფიანად გაყიდვისთვის აწყობდათ. თქვენ გეხილათ თვალები?

– კი მეხილა, მაგრამ ლეოს და ელას ვარკვირდებოდი, არც შემიხედავს ცისთვის.

– აი, ბატონო, მე კი ვუყურებდი და არაფერი არ მომხდარა.

გონებაში ამომიტივივდა გომბეშოსთან სტუმრობა, გამახსენდა მისი და უცნობი კაცის საექვო დიალოგი. სწორედ ამაში იყო საქმე, ამიტომაც არ ესიამოვნა მარგოს ასტროლოგის ჩამოსვლა სოფელში. მათ ხალხი მოატყუეს. ეს ყველაფერი უბრალოდ შეთითხნილი აბსურდი იყო.

– თქვენი ნებაა, ეტყვიოთ თუ არა ვინმეს, მაგრამ მე არ ვაპირებ ჩარევას, მე ჩემი გავიგე.

– არ ვეტყვი არავის. მე დროებით ვარ აქ, გაზეთისთვის ამბებს ვაგზავნი. რომ გაიგონ, ამაში მე ჩავერიე, ცუდად წავა საქმე.

– როგორც გენებოთ.

– და ეს მე რატომ მითხარით?

– მარტივად გეტყვიოთ, სხვანაირი კაცი ბრძანდებით. ეს მაშინ შევამჩნიე, როცა ვითხარით, ძველი ქუდით არ შემაფასოთ-მეთქი. თქვენს თვალებში აშკარა იყო ნდობა და აღტაცება. ჰოდა, ამ შემთხვევაში, ჩემი ქუდის გამო თქვენ გამოგიცხადეთ ნდობა. როგორ იტყვიან ხოლმე, ბუმერანგიო თუ როგორ? – ჩაეღიმა, მაგრამ სურათებს კვლავ არ აშორებდა თვალს. ბოლოს ორი თითით ყველა სანთელი ჩააქო, ჩემოდანიც სწრაფად და მობეზრებულად დახურა და სიბნელეში დაჟინებით დამიწყო ყურება.

– ჩვენ ყველა რაღაცის დარაჯები ვართ. ახლა კი, თქვენის ნებართვით, დაგტოვებთ. ალბათ აქ დარჩენას თქვენც არ აპირებთ, ხო? – ჩაეცინა. – ნანგრევებს არაფერს ვუწუნებ,

უბრალოდ აცივდა და ეს ცაც დაიღლებოდა ამ ხალხის რიტუალში მონაწილეობით, ვაცალოთ მასაც დასვენება. შეხვედრამდე!

– შეხვედრამდე!

გაკვირვებული და შეშფოთებული წამოვედი. ამ ყველაფრის დამალვა სიკვდილამდე მომიწევდა, რადგან თუ გამაგლებდნენ, ელას ველარასდროს ვნახავდი, ეს კი ვარსკვლავის არარსებობაზე მნიშვნელოვანი იყო.

Vino Dulce

ის ღამეც გათენებით იცვლებოდა და ჩემმა ვარსკვლავებმაც დაიწყეს ჩვეულ ადგილებზე მიწებება. მაშინ ვინმეს ჩემთვის რომ ეკითხა, რა მოხდა საღამოსო, ალბათ ყველაფერს დაწვრილებით მოგუყვებოდი, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, არავინ შემეკითხებოდა. ერთი კვირის მერე კი ჩაიბუდებდა სამუდამოდ ასტროლოგის ნათქვამიც.

კარზე ფრთხილი კაკუნი გავიგონე, რადიოსაც ჩაეუწიე, რომელშიც ის სიმღერა ისმოდა, მაშინ ყველამ ზეპირად რომ იცოდა. ვერ ვიტანდი, მაგრამ მაინც ვუსმენდი. კარი ოდნავ ღიად მქონდა დატოვებული, კაკუნი საჭირო არ იყო, სტუმარი პირდაპირაც შემოყოფდა თავს. გულმა ჩემ წინ დაიწყო ხეტიალი, ოდნავ ტვინშიც კი გამიელვა კუთხეში მიმალულმა კითხვამ – „ელა რომ იყოს?“ თავი ოდნავ დაეხარე და კარებს უფრო და უფრო მიუახლოვდი.

სასწაულებრივად გამინათდა გონება, კარის უკან მთვარის სინათლეზე ელას ნაკეთები ირეკლებოდა.

შვლის თვალებით მიყურებდა, თითებით შფოთვას წნავდა. ვხედავდი, მის თავს კარგი არაფერი ხდებოდა.

– ელა!

– შემოვიდე? – მკითხა თუ არა, გავშეშდი, დაფანტულ ქვიშასავით ვებრძოდი ქარს.

– კი, კი, რა თქმა უნდა, ელა. როგორ, როგორ მოაგენი... ახლა ძალიან გვიანია...

– დედას დიდი ხანია ჩაეძინა, მეც წამოვედი. იქ, საში ხე რომ დგას ერთად, იქედან შენ სახლთან ადვილად მოვიდვარ.

თხელი შემოსაცმელი გაიხადა, სკამზე ნაზად გადაკიდა და ხელებით თმის გასწორება დაიწყო. ყველაფერი უფრო და უფრო გაუგებარი ხდებოდა ჩემთვის. ჩემგან ზურგით იდგა. როგორც კი სიჩუმე ჩამოვარდა, ელა შემობრუნდა.

– რა გინდა ჩემგან?

– შენგან?

– ჰო, ჩემგან, ბატონო...

– შენ მოხვედი ჩემს სახლში და მე უნდა მეკითხებოდე ამას, ელა?.. – კითხვა შეეუბრუნე, პატარა ბავშვივით დავიბენი. არც ვიცოდი, მისთვის რა მეპასუხა. არ ვიცი რატომ, მაგრამ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი.

– გავიგონე, ლეოს რომ ესაუბრებოდი სკოლის ეზოში.

ცივმა ოფლმა დამასხა. ჩემი გრძნობების შესახებ არ მსურდა ელას ფარულად გაეგო, მაგრამ მაინც მოხდა, გაუგონია. მორჩა, დავიღუპე-მეთქი, ვიფიქრე და სადაც მისი შემოსაცემელი იყო გადაკიდებული, იმ სკამზე სანთელივით ჩამოველვენთე.

– რომ არა ლეოსთან საუბარი, მოხვიდოდი აქ?

– არა, რატომ უნდა მოვსულიყავი?

– ახლა შუაღამეა, შეგეძლო დილით მოსულიყავი, მაგრამ ასე არ მოიქეცი.

დაიბნა, ყურები დაუწითლდა და სიცრუის ფერი დაეცყო.

– ხომ არ ფიქრობ, რომ ლეო ღირსი იყო. აი, სუსანას ამბავზე გეუბნები. – ქალის სახელის ხსენებაზე დაიმორცხვა.

გამიკვირდა, საკუთარ თავზე არაფერი რომ მკითხა. ისიც ვიფიქრე, ამ ქალური და ირიბი კითხვით ჭეშმარიტების შეცნობა რომ უნდოდა და მეც მის კითხვას ბრჭყალებით გავედევნე.

– ლეო გულწრფელი და სათუთი ადამიანია. ყოველ შემთხვევაში, მისი საუბარი ამას მოწმობს და მეტიც, ვფიქრობ, ახლაც ძლიერად სწამს სუსანას სიყვარულის.

– სწამს. მასხოვს, უბანში ორი, მოხრილ ხესავით მოხუცი გყავდა, ლეო და სუსანა ერქვათ. მოიკუნტებოდნენ გრძელ სკამზე და შებინდებამდე უცვლიდნენ ერთმანეთს გასული გაზაფხულის ფიქრებს, წლების წინ მუხლებამდე მოსული თოვლის ჭეშმარიტებასა და ზაფხულში ფეხნადრძობი სუსანას შვილიშვილის ისტორიას. მე ჩემი მომარაგებული თხილის ფოთლებით (რომელიც საკმაოდ ბევრი მქონდა დაგროვილი და ჩემი „ფული“ იყო), სახლამდე არმისული ვჩერდებოდი, ვაყურადებდი მათ ხანგრძლივ საუბარს. ვფიქრობდი, არ შემომხედოს არცერთმა, თორემ მაშინვე დაიმორცხვებენ

და უარესად მოიხრებიან წელში-მეთქი. მივიყუეებოდი ატმის ხის ქვეშ და მათ კეფასთან შეპარულ ნიავსაც კი ვუსაფრთებოდი. საოცარი ვინმე იყო სუსანა, ჭადარას კვლავ გრძელი და მიმზიდველი თითებით გადაიწვედა, კეკლუცად შეხედავდა ლეოს ხოლმე და თვალებით აშტერდებოდა მის სათვალეზე არეკლილ მთვარეს. დიდი რომანტიკა იყო მათი ცქერა და თითქოსდა ასჯერ ნაცეკვ ტანგოს ყოველდღე ახალი ხიბლი ედებოდა. მახსოვს, ლეო ხელის კანკალით როგორ ეხებოდა მის ჩამოვარდნილ შალს, უსწორებდა და ღმერთმა იცის, ამ წვრილმანში რას აქსოვდა. მეც ჩემი გონების შესაფერისად წარმოვიდგენდი ხოლმე მსგავს სურათს ჩემს საყვარელ ადამიანთან ერთად. ისიც ვიცოდი, მაშინ სუსანას ქმარიც აღარ ჰყავდა და წლების მერე, ხელახლა ნაპოვნ ლეოს როგორ უფრთხილდებოდა. ვტკებოდი და მიყვარდა ჩემი უადგილო როლი. მიშტერებულს ცნობისმოყვარედ წაგრძელებული კისერიც ბევრჯერ გამშეშებია, გულიც დამწყვეტია ვერგაგებული სიტყვების გამო.

დედას თმაზე ნამდვილი ფქვილი ჰქონდა. სახლში მისულს, კარებთან, ყოველ ჯერზე მკაცრი მხერით მხვდებოდა. ვერ ეპატიებინა ჩემი გაუგებარი ბოდიალი და ხიდან აკრულ ჭუჭყს ეჭვით მაშორებდა ხოლმე.

მახსოვს, ზამთარში მუხლამდე თოვლი მოვიდა. დიდი ხანია, ასე არ დაუდია. მეც სიხარულით გავიქეცი შეჩვეულ, ჩემთვის ამოსულ ხესთან. ბავშვური მოლოდინით აღსავსე ველოდი მათ გახარებულ სახეებს. ჩემი სქელი წინდებითა და ბაჯბაჯა ფეხსაცმელებით ატმის ხესთან მოკვალათდი. ლეო მარტო იჯდა ყინვაში. ღმერთმა იცის, სად იყო სუსანას გაზაფხული... მე კი სახლში მისვლა შებინდებამდე შევძელი. მთელი დამე ვფიქრობდი, რა ეშველებოდა ხესავით მობუზულ ლეოს სუსანას გარეშე?

ქვიშის საათივით დაიცალა ელა ჩემ წინ, თითქოს იმ დროს, ბავშვობაში შეპარული სიმართლე ნელ-ნელა ახლა ელანდებოდა თვალეებში და მეც დამიწყო გულის გადაშლა, დროში შეზღუდულ, წვიმის მოლოდინში მიმალულ ცისარტყელასავით.

– როგორც ჩანს, ლეომ თავისი ამბის მხოლოდ ცუდი მხარე მომიყვა.

– კი. სუსანასაც ჰყვარებია ლეო. – თვალებში მიყურებდა, ოდნავ ღია ტუჩები ახალ სიტყვას ელოდა, მაგრამ წამიერად, თითქოს თავში ფერები აერიო, ქვემოთ დაიხედა, მიმიკა შეიცვალა და კვლავ დაიწყო მოუსვენრად ცქმუტვა.

– იცის ლეომ?

– არა, მაშინ პატარა ვიყავი, ლეოსაც ვერ გავუბედე ჩემი ბავშვური თვალთვალის შესახებ მოყოლა. ახლა კი... უბრალოდ არ ღირს ყველაფრის თქმა, გინდ ადამიანი ძალიან გიყვარდეს და შეგტკიოდეს მასზე გული, უბრალოდ ჯობია, რაღაც გრძნობები შენში დაიტოვო.

– ხალხს არ უყვარხარ ელა, ლეოსთან საუბრის დროს კი მეტად დიდი გრძნობა დავინახე შენ მიმართ. წმინდა, უმანკო, რაღაც სხვა, მამაშვილური ფიქრები. – დაბლიდან ზემოთ აყვურებდი, მიძიმდა მეტად ამის თქმა, მაგრამ მაშინ საჭიროდ ვთვლიდი.

– ხალხს საკუთარი თავი არ უყვარს. უშნო ელა, უშნო ფრთებით, უშნო ფიქრებით... – დაიწყო ფარფატი ჩემ წინ, მიინახებოდა ნიავეით და ირონიული მზერით ზემოდან დამყურებდა.

– ფრთებით, ფიქრებით... ნუთუ არაა სასიამოვნო, როცა თვლიან, რომ ესენი მაინც გამაჩნია? უშნო, მაგრამ ხომ გამაჩნია. მათ ეს არ აქვთ, ამიტომ საკუთარი თავიც არ უყვართ, არ სურთ, არ სწამთ სიცოცხლის. ადამიანებს არ აქვთ დრო, რომ იყვნენ ბედნიერები, მაგრამ სამაგიეროდ, დრო აქვთ შეიზღუდონ თავისუფლება, სიყვარული, დარდი, რომელიც ადამიანის მაცოცხლებელია. არ შეუძლიათ იყვნენ ჩუმად, როცა ეს ყველაზე საჭიროა. – კვლავ ირონიით განაგრძობდა ტკივილის შეფუთვას და არ ჩერდებოდა, მოუსვენრად მოძრაობდა მთელ ოთახში.

– ლამაზი ხარ...

– გეცოდები. ლამაზი არ ვარ. – თვალები ჭკერს მიაპყრო და ღიმილი გაუკრთა სახეზე.

– კი, ხარ! შენ წარმოიდგინე, ყველაზე ლამაზიც კი. დედაჩემზე უფრო ლამაზი ხარ...

ელა სკამზე ჩამოჯდა, ეტყობოდა, დედის ხსენებაზე საკუ-

თარი გაახსენდა.

– დედასთვის ხშირად მიწოდებია ყველაზე თეთრი ფურცელი. ისიც ძლივძლივობით ხელს გადამისვამდა ხოლმე და უკმაყოფილო მზერით კალთას აშტერდებოდა. ბავშვობიდან ხალხს ამოუცნობ ფურცელთა გროვად წარმოვიდგენდი, ყველა ერთნაირად დამზადებული მეგონა ერთი საქმისთვის, არცერთი განსხვავებული. ისიც ამის ნაწილი იყო.

რა იცოდა დედის გულმა ელას გულის ფასი, იყო მხოლოდ მისი ზრუნვა ცხრა თვე საჭირო, თუ შემდეგ მასში ამოსულ კაშკაშა ფრთებს ბუმბულს დააცლიდა? ღირსია იყოს დედა ის, ვინც მხოლოდ აჩენს? ზოგჯერ შვილი უფრო მშობელია.

ებლაუჭებოდა ელა ამ ფურცელს. იცოდა, რომ გაეშვა, ნიავს ადვილად გაჰყვებოდა. იცოდა, რომ დედისგან საკუთარ თავს უფრო კარგად გაიცნობდა.

– მე ის ბავშვი ვიყავი, ვისაც ეხოში ჩასულს მონატრების გამო არავინ ეძახდა სახლში ამოდით. მე ის ბავშვი ვიყავი, ვისაც სკოლაში ხელსაც არ აწვევინებდნენ და მაინც მე ის ბავშვი ვიყავი, რომელიც ყველა პატარაზე დიდი ჩანდა. ჩემს კითხვებზე პასუხები არსად იყიდებოდა. მხოლოდ ლეო, მას ვანდობდი ჩემს უშნო ფიქრებს და მეც მის ცხოვრებას აგვიკიდევ უგონოდ.

ვუყურებდი და ვხედავდი, ელას თვალებში დაუოკებელი სურვილი რომ ღვივდებოდა და მეშინოდა. არა, არ გეგონოთ, რაიმე მატერიალური მზარავდა. შიში მიჩნდებოდა, რომ შევუყვარდებოდი. არ მინდოდა ჩემი თავის ცუდი ფენების დაღაგება მის წინ, შემდეგ ჩემივე ჩაქუჩით მათი ჩამტვრევა.

ვფიქრობდი და სასოწარკვეთილებაში ვვარდებოდი. მეყვარებოდა მაინც, იმის მერე, როცა მასაც შევუყვარდებოდი? ადამიანები ასე ვართ მოწყობილები, საესე მთვარის დროს ნახევარმთვარეს ვნატრობთ, მზის ამოსვლისას მის ჩასვლას, ვერა და ვერ ვკმაყოფილდებით არსებულით. მეც ხომ ჭიანჭველისხელა არსება ვიყავი ღმერთისთვის, ნუთუ არ სურდა ჩემი თავისი ღვთიური თითით გაჭყლეტა. რას ელოდა ჩემგან? მე ხომ იმ დროს მისი სიტყვის უარმყოფელი ადამი ვიყავი. რატომ არ მთმობდა ბოლომდე? იქნებ ღმერთს ყველაზე მეტად სინანული სჭირდება, ჩვენ კი ხესავით ჩარჭობილნი

მიწაში, მაშინ ვაფასებთ საკუთარ თავს, როცა მეტყვევებ ბასრ ცუდს მოგვიქნევს. რა იქნებოდა, ელა ყველას რომ ჰყვარებოდა და იქ, სადღაც, იასამნისფერი ხაზების წინ მზის ჩასვლის დროს, მის ამოსვლაზე აღარ გვეფიქრა. ვუყურებდი ელას უღალ თმაში შესახლებულ ღია მზისფერს, ვუყურებდი და ვფიქრობდი, სინანული იმის, რომ შეგიყვარდა, არის თუ არა ღმერთისთვის სწორი? და მერე ობოლი მათხოვარივით შემომიძვრებოდა აზრი, ამბიციურობით სავსე – ადამიანია იქნებ ღმერთი და იქ, ედემში გადაშლილ სამოთხეშიც, გველიც თვითონ გახდა მგესლაფი. ჩემ წინ მოფარფატე ევას სინანულის ნაყოფი დასდევდა.

– ხანდახან მიფიქრია, ჩემმა წინაპრებმა რაიმე საშინელი, ადამიანებისთვის საზიანო ხომ არ გააკეთეს-მეთქი? ამაზე ფიქრის დროს გული მიჩქარდება. ვფიქრობ, რომ მათ ცოდვაზე პასუხს მე ვაგებ.

– არ არის ასე, ელა!

– თუ წინაპრების ჩადენილი ცოდვა არ გადადის შთამომავლობაზე, მაშინ რატომ მოჰყვებოდა ადამ და ევას ჩადენილი ცოდვა ადამიანთა მოდგმას და თუ სწორად მახსოვს, ამის გამო ყველა ჯოჯოხეთში ხვდებოდა გარდაცვალების შემდეგ და ზუსტად ეს ცოდვა გამოისყიდა უფალმა ჯვარცმით, ხო? – ელამ ბოლო სიტყვები ჩუმად თქვა, ეტყობოდა, უფალთან ნაკლებად ახლოს იყო და ისიც ნათლად გამოიკვეთა სიბნელით მოცულ ოთახში, სახე სიმორცხვისგან როგორ აუწითლდა. ელას ეშინოდა საკუთარი თავის. ამჯერად არ დავიბენი და პასუხიც არ დავაყოვნე.

– ვფიქრობ, ადამისა და ევას შთამომავლობა აგრძელებდა იმ ხაზს, რომელსაც ცოდვის გზა ჰქვია. ყოველ შემთხვევაში, ასე გავიგე რამდენიმე წლის წინ პასტორის ქადაგების შემდეგ, მიკარგულ სოფელში. სახელიც არ მახსოვს, იქაც პროექტიდან ვიყავით წასულები. ღმერთმა დასაჯა ისინი, მაგრამ ამ ყველაფრის სამაგიეროდ, თავისი თავი გვიბოძა. ჩვენ მივიღებთ თუ არა ადამის ან ევას ცოდვებს, ეგ მხოლოდ ჩვენი გადასაწყვეტია. ელა, ადამიანები არჩევანში თავისუფლები ვართ, ჩვენ გვინდა, გავწყვებით ევას და ადამის გზას, გვინდა – არა. ყველაფერი ასე პირდაპირაც არ უნდა გავიგოთ, ეს უბრალოდ ზოგადი რამ არის, თუ რა შეუძლია ადამიანმა

დამართოს საკუთარ თავს, როგორც ეს ჩვენი წინაპრების, ევასა და ადამის მაგალითით არის წარმოჩენილი. ჩვენი შეგვიძლია ავირჩიოთ გველის სისინი ან საკუთარ თავში ჩაბუდებული ღმერთი, შეგვიძლია გავავარძელოთ ის ცოდვიანი გზა ან უბრალოდ ღმერთთან კავშირით გავიასმაგოთ ბედნიერება და შევიმსუბუქოდ ამქვეყნიური, ზოგადი ტანჯვა. თუ დაკვირვებისარ, ევა, როგორც დედაკაცი, რომელიც დასჯილია უფლისგან და ტკივილებით აჩენს შვილს, ეს მხოლოდ ადამიანთა მოდგმის ტანჯვა არ არის, მსგავსად განიცდიან თავიანთი ბუნების შესაფერისად ცხოველებიც. გამოდის, ბევრი რამ სხვანაირად არის. რა შესცოდეს მათ?

– ბევრი გიფიქრია, ანუ ჩემი ბედი მთლად წინაპრებს არ მივაწერო, ხო? – ირონიულად ჩაიცინა.

ვატყობდი, გულზე უზარმაზარი ლოდი ედო და აწვეის სურვილიც აღარ ჰქონდა.

– როდესაც ჩვენ მოგვედებით, მონატრებული მეგობარით გამოჩნდება უზარმაზარი, უსასრულო ჩაშავებული გამოქვაბული, რომელშიც ადამიანები დაიწყებენ შესახლებას. – ჭერზე ხელით მოხატა უსასრულო ხაზი. – აი, ის ადამიანები, რომლებიც ჩირქს უმიზეზოდ გცხებდნენ, შენს ოცნებებს ფერფლად ქცევას უსურვებდნენ. მერე ნელ-ნელა შეეჩვევიან ჩვენი სიღრმეების ქვეშ სწორედ მათგან გადამალული ოცნებების ქექვას, განხილვას, შენი საყვარელი ციტატების გაზეპირებას... ოღონდ დაიმახსოვრე, მხოლოდ მაშინ, როცა მოგვედებით. მთელი უბედურება ამაშია! – დაფიქრდა. ღრმა ჩასუნთქვა გამოქვაბულის სიზმრიდან გამოპარვას ჰგავდა. – ისე, ოცნებების სიკვდილი ალბათ ყველაზე ლამაზი სანახაობა იქნება, არა? ვინ იცის, ცაზე მოციმციმე ვარსკვალები წვრილ-წვრილი ფერფლებია და სწორედ ამიტომაც გადაეწყობიან ხოლმე ცაზე... უსასრულოდ...

ჩემი ხელი მისი ხელისკენ დაკარგული სულივით მიიღტვოდა...

– ოცნებები? ეგ ხომ თვითონ ადამიანები არიან.

– მაშინ ყველაზე ცუდი ოცნება ვყოფილვარ, მაგრამ არა უშავს, ჩემი წასვლა მაინც იქნება ლამაზი.

კვლავ ზმანებიდან გამოღვიძებულს დაემსგავსა. ელას

ამქვეყნიური თვალები იმქვეყნიურისკენ საოცრად მიიღტვო-
და. მეშინოდა...

– ფედხას ბიბლიოთეკიდან შექსპირის სონეტები მოვიპარე.
ჰო, მოვიპარე, გეცოდინება ეგეც. ჩემი ყველაზე ცუდი თვისე-
ბაა. – თხელი ფურცლები ამოაძვრინა ჯიბიდან, ნაზი ღიმი-
ლით გადაავლო თვალი, ღრმად ჩაახველა და აღერსიანად
დაიწყო ნაწყვეტის კითხვა:

რაღვან უვირი და რეგვნი ზრძენოზს აფვილად,
რაღვან სიძართლე სისულებლედ იფვლენა ახლა,
რაღვან სიკეთე ზოროტეზის ტყვეფ ჩავარდნილა.
ასე დაღლილი, ამ ქვეყნიდან გაქრევას ვარჩევ...

მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს.“

– 66-ე სონეტი, საუკეთესო! – გაოცდა.

– გააგრძელე...

მხოლოდ შენ ძაღვის გაზაფხულთან განაასება,
რად არ გაშინებ, თუ ნაყოფი კვირტშივე გახმა...
მშვენიერებას რაჭომ ფლანგავ, ძუნინო არსება?!
ნუთისოფელი შეიბრალე, შენს მზეს რომ ფიქვას,
მაგ სიღამაზის ნუ დაუთმობ სამარის მინას...”

მიყურებდა. უთქმელად გადმოაბრუნა პირველი სონეტიდან
დატკმუჭნული ფურცელი. ნერვიულობა დაუპატიჟებელი სტუ-
მარივით აეკრო სახეზე.

„შენ ჩემში უკვე შემოღვომის სიშიშვლეს ხედავ:
რჭოვზს სიყვილლე ფოთლებისა შემოძარწია,
ფრინველთ გალოზა შეურვლია გოდებას ხეთა,
და ტყეს სამოსი არასოდეს თითქოს არ წმია.
შენ ჩემში ხედავ ნარსულ დღეებს მიმნუსხრიანებს,
მენამულ სხივებს დასავლეთის რაზე მოფენილს,
ქრება ნათელი, შუალამე ავად ხრიალვებს
და მოყსავლეთს ემგვანება ნუთისოფელი.
ვირი, რომ უკვე მიმქრალ კორონს მაღარებ გულში,
ლადარი დღეებს დაუნარწავთ, რხარე რემელიანთ,
და რარ სინაზით ძიძაობდა სიყოჩხლეს გუშინ,
ახლა მისივე სასიკვდილო სარეწლია.
რარ უფრო ამჩნევ, – სააქაოს თითქმის არლა ვარ,
მით უფრო მეტრფი, ვით განწირულს დასამარხავად.“

ძალიან სწრაფად ჩაიკითხა, ფურცელი ოფლიან ხელეზე ეკეროდა. „დასამარახავად“, როგორც კი ახსენა, უკან დაიხია, ხელეები მჭიდროდ მიიღო საფერთქლებზე.

– მე შენთან მსურს ყოფნა! ელა... მომისმინე. – მის ხელეებს მივევარდი, უხეშად დაეუწყე ჩემს სახეზე ფერება. – მზეო ჩემო, ღვთაებავ ჩემო, არ მიატოვო უძღური, მიწა გამოცლილი მჯღაბნელი, მხოლოდ იმიტომ, რომ აღიარა ადამიანთა ცოდვები, აღიარა და ვაი, რომ თვითონაც გახდა მოსიარულე ცოდვა. ოხ, მზეო ჩემო, ელა! არ ჩააქრო ჩემში შენი, არ მოკლა ჩვენი ჩვენში, გემუდარები! ცხოვრება გვეჩქარებოდეს! ყოველ წამში ჩავციოთ მომავალ დღეს გასაკეთებელი! აი, მე იმასაც გეტყვი, სულში რომ კარგად ჩამხედო, მიხვდები, ვფიცავ, მაშინვე აირეკლება ჩემი ცოდვის ტანჯვა! – და აი ისიც, ჩემი მეორე მე, რომელმაც ელა აღიარა!

– ნუთუ შესაძლოა, საცოდავი, საწყალი ელა უყვარდეს ვინმეს ასე? არა, არა! კოცონზე დაგწვავენ, გესმის? ისე... ისე, შესაძლოა, ყველაფერიც კი დაკარგო. არ ვიცი... არ ვიცი... გაგრიყავენ, მიწას მოგაყრიან... მერე? მერე, იცი, რა იქნება? ტანჯვა, წამება, ტირილი, არანაირი ბედნიერება, არანაირი სითბო, მხოლოდ ტირილი და ტირილი... – ხელეებს სახეზე მისვამდა, თვალებში ფრთებდაკარგული ანგელოზივით შემომციცინებდა, თითქოსდა ცდილობდა დანახული ჯოჯოხეთი ჩემს თვალებში გადმოეტანა.

– იყოს ყველას ჭირი ჩემი ღვინის გამო, ოღონდ არ დაივიწყო ჩემი სიყვარული, ჩემი არსებობა, მიყვარხარ, ელა, მიყვარხარ!.. – მის ხელეებს ამბორს ვერ ვაშორებდი. ვღლიდი, ვაწითლებდი ჭორფლებით სავსე თითებს... მინდოდა ელას ჟღალი თმა სამუდამოდ ყოფილიყო ჩემი დილის საბანი!

– იქნებ იყოს ის პატარა წერტილი კაშკაშა და ღამაზი, ყველა ამბის ბოლოს რომ ისმება. იქნებ რაიმეს დასასრული ღირდეს ახლის დასაწყებად.

– ცოდვას მადებინებ, ნამდვილად ცოდვას მადებინებ!

– ელა, არ გიყვარვარ?

– თუნდაც მასე იყოს, ტანჯვა იქნება ჩვენი თანმდევი ეკალი.

– იყოს! გიყვარვარ?

– იმ ქუჩის გავლის შემდეგ დავიწყე შენი შეყვარება.

– არაა... ნუთუ მართლა ასეა?

– კი, სიყვარულის ბილიკებს ასჯერ გადავუჭერი გზა, აი დღეს კი...

– არა უშავს, მოდი, მომიახლოვდი, გთხოვ! შენ... შენ ისეთი მიუწვდომელი ხარ, ყოველ წამს, მაშინაც კი, როცა გიყვარვარ.

ელა მომიახლოვდა. მისი ხელები, კოცნისგან დაღლილნი, ჩემს ხელებს ეკვროდნენ. მისი ტუჩები, ღმერთო... ბროწეულისფრად დამცქეროდნენ მიღურჯებულ ხაზებზე. კოცნა კოცნას ჰგავდა და მე ვიყავი ბედნიერი!

– შემიძლია უსასრულოდ გაკოცო?

– შეგიძლია.

ღამე ღამეს ჰგავდა და მე ვიყავი ბედნიერი!

მაგრამ მაინც, ამოქარგულ წამწამებს მაცდურად ეკვროდა სევდა, ზამთრის სუსხიანი დღეებივით. უსასრულოა მასზე ფიქრი და საღამდეც ფიქრი ბობოქრობს, იქვეა ადამიანიც და ვაი, რომ იქვე მიიკლაკნება ბოროტება, სიკეთის ხმაურში შებუდებული.

მახსოვს, უფროსკლასელი რომ ვიყავი, ჩემს ოთახში ვიკეტებოდი და ფიზიკას დაუსრულებლად ვმეცადინებოდი. ისიც კარგად მახსოვს, იმ ოთახიდან ომგადატარებულივით რომ გამოვდიოდი და ეზოს და მზეს მოჭუტული თვალებით ვეგებებოდი. არავინ და არაფერი მაინტერესებდა. უფროსკლასელობის პერიოდი და ის ასაკი, რა ასაკისაც მაშინ ვიყავი, დიდი ბიძგი იყო იმისთვის, რომ მარტოსულობა ბოლომდე შემეგრძნო. სიმართლე რომ გითხრათ, იმ დროის შემდეგ შინაგანად ის უფროსკლასელი ბიჭი ვიყავი, რომელსაც ერთი ბნელი ოთახი და გახუნებული ფურცლების კითხვა აინტერესებდა. ამდენი ხნის მანძილზე მხოლოდ ამ დღეს, ელას გვერდით მივხვდი, რომ ხანგრძლივი ფიზიკის გაკვეთილი ჩავლიდი იყო. არქიმედეს, ამპერის, ნიუტონის, კულონისა თუ სხვა გამოჩენილი ფიზიკოსების კანონები დაზეპირებული

სიტყვებით გადაიფანტნენ. ჩემს ბნელ ოთახში მკვეთრად შემოანათა ერთი უბრალო წითური გოგონას კაშკაშა თმამ, თვალების დაპატარავების გარეშე დამანახა ეზოს და მზის სილამაზე ერთბაშად. რა კარგია, არა? კარგი უფრო ის არის, რომ ეს ყველაფერი, რასაც მე ეზოს და მზეს ვეძახი, დიდხანს მხედებოდა თვალთ, მაგრამ არასდროს გადამიხდია ფასი, ის სასიცოცხლო ღირებულება, რომელიც ასე სათუთად იყო ჩაქსოვილი...

ელა! ოხ, როგორ მაფორიაქებს შენი გულის ფეთქვა, როცა ფიზიკის კანონებს მავიწყებ! როგორ შეიძლებოდა ასე ჯოჯოხეთურად მდომებოდა მხოლოდ შენთან და ამ სამყაროში არავისთან სხვასთან.

გათენდა.

ელა არც ჩემთან იწვა და აღარც ოთახში იყო. გუშინდელი სონეტის ფურცლები შემლილი წუთებით მიმოფანტულიყო მაგიდასთან. ვერ გამეგო ჩემს თავს რა ხდებოდა. შარვალი და პერანგი უცბად ჩავიცვი. სახეც ცივი წყლით დავიბანე. უნდა წავსულიყავი, მაგრამ სად, ჯერ ვერ გამეგო. შფოთვა ჩემი ახლობელი გახდა, დარდმა კი ტუჩებთან დაიწყო სრიალი. არ მინდოდა, დამეჯერებინა ელას ნათქვამი სიტყვების – „ტანჯვა იქნება ჩვენი თანმდევი ეკალი“. არ მინდოდა, სიყვარული მსხვერპლად შეეწირა ჩემი ბედნიერებისთვის. უხილავი ჭუსტყვი მომდებოდა გონებაში. რატომ? ჩვენ ხომ ასე ლამაზად გამოვეუტყვდით სიყვარულში ერთმანეთს? რატომ მოიქცა ასე? შიშნარევი სიბრაზე მაწუხებდა, არ ვიცოდი, სად წავსულიყავი. საცოდავი ადამიანი ვიყავი თუ მიტოვებული, ვერ გამეგო, მაგრამ ეს ორივე ხომ ერთია. საცოდავსაც და მიტოვებულსაც გული ერთნაირად ნელა და სასოწარკვეთილად უცემთ, ჰგონიათ ეს უკანასკნელი ამოსუნთვაა. ძალა სადღაც განუკურნებელ კუთხეებში დადლილა და ხსნას გულის პასუხებში ეძებს. რა საცოდავია მიტოვებული ადამიანი. ალბათ ასე იყო ელაც, ყველა რომ იძულებდა და ქვეს ესროდა. როგორ მარტოსულად და ეულად გრძნობდა თავს. წარმომიდგენია, როგორ ეხლართებოდა ფეხები სიარულის დროს, როგორ სურდა ყველასთან მარტო დამჯდარიყო და თავის ფიქრებზე საათობით ესაუბრა, დაენახათ მათ მისი რეალური ელა. აცდიდა კი ვინმე ამას? გომბეშოს თქმის არ იყოს, მასზე საუბარი და

ფიქრიც კი დროის კარგვა იყო.

ოთახში მოცარტის *lacrimosa* ჩუმად დათამაშობდა ხვეულ დარდში. საწოლთან შეწებებულ სარკეს მიუჯახლოვდი. რა საინტერესო და სულის შემძვრელი იქნებოდა ანგელოზის სახე, როდესაც იცოდა, რომ ეშმაკად ქცევამდე ერთი ნაბიჯი აკლდა. როგორი თვალები ჰქონდა, როცა იცოდა, რომ მისი ფრთები ჯოჯოხეთის ლავაში აირეკლებოდა. ალბათ, ეშმაკიც რომ გახდა, მის მზერაშიც იგრძნობოდა ნანახი სამოთხის კეთილშობილებანი. იმ უსახო სარკესთან ძველ თოჯინასავით წაყუდებული ვხედავდი ჩემს შესაძლებლობას, რომელიც თურმე ყველა ადამიანშია. მივცემდი კი საკუთარ თავს ბოროტი ზრახვების ასრულების ნებას? რა შემზარავი სახე იყო, რა წაბილწული, რა საშიში, როცა გულმკერდს ავი ფიქრები გრძელი ფრჩხილებით მიკაწრავდნენ.

გზას მეც ახლართული ნაბიჯებით ვიკვლევდი. ეკლესიაში ზარის ხმა მოსალოდნელი უბედურების, ანდა დიდი ბედნიერების მომასწავებლად გაისმოდა. დავინახე, ეზოში მღვდლის ჭადარა როგორ ბედნიერად კაშკაშებდა. იქნებ უნდა მივსულიყავი, იქნებ უნდა მეკითხა ჩემი და ელას ხსნა რა იქნებოდა. დაბნეულმა შევიარე ეკლესიასთან.

– მამაო, საუბარს რომ მაცდიდეთ, აგიხსნიდით ყველაფერს. ფული გინდათ? მოგცემთ, უბრალოდ რა იქნება, მაზიარეთ და მომიტევეთ ცოდვები.

– J'ai peur de Dieu. ვერ ვიზამ ამას.

– კარგ საქმეს გააკეთებთ, მამაო, თქვენთვის ეს მარტივი იქნება.

– ვერ ვიზამ, გულით რომ მოინანიებ, მერე აუცილებლად გაზიარებ. – დაბნეული შუახნის კაცი ხელებს იფშვნეტდა, სწორედ ამ ნერვიულობაში მალავდა გულწრფელობას. გაბრაზებული და იმედგაცრუებული ეკლესიაში შესულ მათხოვარს მივარდა.

– ჰეი, შენ ახჯერ გავლილო ეკლესიასთან და არცერთხელ შესულო, თუ იცი, რამდენ ვერცხლად გაყიდა იუდამ ქრისტე? – მათხოვარი თავდაჯერებული იყო, სახეზე ადამიანთა მოდგმის ჭუჭყი უფრო ჰქონდა აკრული, ვიდრე მტვრისა და ნაგვის. თავდახრილი მოუბრუნდა, თვალებს მსხვერპლი შევლივით

დაუწყო ცეცება და უთქმელი ტუჩებით შეაგება სიტყვები:

– ქრისტე ყოველ წამს იყიდება, ყოველ ნაბიჯზე, ეკლესიის შიგნით ორჯერ უფრო მეტად, ვიდრე მის ეზოში, 30-ჯერ წამში. შენი თვალები, თავდაჯერებული რომ იყურება ჩემი დახეული ტანსაცმლისკენ, ამ წამსაც ყიდის ქრისტეს თბილ ქურთუკზე.

მღვდელი მობრუნდა, ირონიულად გაუღიმა მათხოვარს და გაბრაზებულმა შეხედა შუახნის კაცს, თითქოს მზერაში თავისი პასუხი ხელახლა აღბეჭდვოდა. ანაფორაში ვერ ვიცანი, მაგრამ ფრანგული აქცენტი საუბრის დროს მაღევე შევამჩნიე. კაცი ხესთან, რომელიც განვლილ ცხოვრებას დასტიროდა, ეკლესიის ეზოში მღვდლის ანაფორაში მიმხერდა. ვავიკვირვე, ნელი ნაბიჯებით მივუახლოვდი.

– თქვენ?

– როგორ ხართ? გავიგე კარგი ამბები არ გადაგხდენიათ ბატონ ფედნასთან ბაზარში. მოთმინება გამოგიჩენია.

– ფედნა? ა, კი, მოთმინება...

– ეკლესიაში პირველად გხედავ. – მათხოვარს მიუბრუნდა.
– Effacez l'appel. – ამჯერად კიბებზე ფრთხილად ადი!

– იცით, ვერ გამიგია, როგორ დავიწყო. რა უცნაურ დაავადებასავით მაქვს, დაწყება ყოველთვის მიჭირს. ელა, ის ჟღალი გოგონა ძალიან... არა, ძალიან არა, აუხსნელად უცხოდ შემიყვარდა. გუშინ ერთად ვიყავით. მერე, არ ვიცი, აღარ იყო ოთახში. ისიც გამომიტყდა სიყვარულში. ჩვენ... ჩვენ წესით... ახლა ყველაფერი კარგად უნდა ყოფილიყო.

– Gingembre? არ ვიცი.

– დაახლოებით ერთი საათის წინ აქ გაიარა. – საუბარში მათხოვარი ჩაერთა. თითი ეკლესიასთან შესახვევს გააყოლა და ბედნიერი მზერით შემომხედა.

– დარწმუნებული ხართ? ელა? ჟღალი გოგონა, აი, იქიდან უნდა წამოსულიყო.

– ცხოვრებაში იშვიათად ვარ დარწმუნებული, მაგრამ ამჯერად ვიცი ის, რომ იყო, ბატონო. – მათხოვარს კეთილი თვალები ჰქონდა. ეტყობოდა ბოროტება და მზაკვრობა ბევ-

რჯერ ენახა და ისიც აკვროდა სახეზე, ნაგვის ბუნკერი ამ სოფელში მისთვის ერთადერთი სუფთა რამ რომ იყო.

დაბნეული ვიდექი, პასტორს გარინდებულმა შევხედე.

– თუ მოძღვარი ნებას მომცემს, ზუსტად განახებთ, საით მიდიოდა.

– Oh, Dieu! მალე მოდი!

მათხოვარი დაბნეული და ხელების ფშვნეცით ნელ-ნელა მიუახლოვდა ეზოს კარებს.

– აქეთ.

– მადლობა დახმარებისთვის!

ზოგი ადამიანი სულით ასეთია, მუდმივად სურს ვინმეს დაემონოს. იტყვიო, სიკეთის გაკეთება ნუთუ მონობა შეიძლება იყოსო? არა, რა თქმა უნდა, მაგრამ იმაში დარწმუნებული მაინც ვიყავი, რომ მათხოვარს უყვარდა სხვების სურვილების შესრულება, მხოლოდ იმიტომ, რომ ათიათასი წამიდან, სულ მხოლოდ ერთი წამით მაინც ეგრძნო თავი საჭიროდ.

– ორშაბათია, ბატონო, დღეს?

– სამშაბათი.

– სამშაბათი არ მიყვარს!... ამ დროს იციან უფრო ხშირად მიცვალებულების დასაფლავება. რატომ გამოვედი დღეს გარეთ საერთოდ, უტვინო ვარ, ნამდვილად უტვინო.

– ნუ ჯავრობთ ასე საკუთარ თავზე. თქვენ მგონი სიკვდილის უფრო გეშინიათ და ამას ვერ ამბობთ. დიახ, ნამდვილად ასე მგონია. თქვენ სიკვდილს თქვენებურად სამშაბათი უწოდებთ.

– სამშაბათი ცუდი დღეა.

– აი, ხედავთ, სიკვდილის თქმისაც გერიდებათ. მოდუნდით, ცხოვრება მშვენიერია!

– კარგი, ჟურნალისტო, მართლა ასე ფიქრობ? ცხოვრება მშვენიერია? ჰა-ჰა! რჩევის მიცემა როგორი მარტივია. ან საერთოდ აზრი აქვს ამ „ვარდისფერ“ ჭკუა-დარიგებებს? თუ გაითვალისწინა და წინ კარგად დაუხვდა, ადამიანი ბედნიერია, მრჩეველი სულ არ ახსენდება. ცუდად დაუხვდება და

მაშინვე გაიხსენებს, ამან მირჩია და მიტომ გავაკეთე, რა ჩემი ბრალიაო. ჯობია განზე გადგე, ადამიანო, შენს თავს მიხედე! მაინც ვერ გამოგია, რატომ გამოვედი დღეს გარეთ. იმ ჩემს ვირთხებიან ოთახში უფრო მხნედ და ძლიერად ვიქნებოდი. აი, ბატონო ახლა მთელი ენერგია გამომეცალა. გინდ დაი-ჯერეთ, გინდ არა, ზარს დიდი გოლიათისხელა ხელებითაც ვეღარ შემოვკრავ.

– აზვიადებთ, ნუთუ ასე გეშინიათ სამშაბათის? ჰა-ჰა, გეყოფათ!

– ყური მოგკარი, ელა გიყვართ?

– კი.

– ლამაზია.

– ჰო.

– თქვენი „მე“ შექმნილი გაქვთ?

– ვერ მიგიხვდით.

– კატის თვალში ერთხელ დიდი რამ დავინახე, უცნაური, ზმანებას ჰგავდა. მაგის მერე ვიცი ვინც ვარ. დიდი შავი კატა ვიყავი წინა ცხოვრებაში!

– თქვენ ხომ ზარს რეკავთ ეკლესიაში? გჯერათ მსგავსი რაღაცეების?

შესახვევამდე ნელა მიდიოდა, საუბრის გაგრძელება ძალიან სურდა. მეც, მიუხედავად იმისა, რომ ელას ნახვის სურვილი მტანჯვდა, დროის დათმობა და მოსმენა გადავწყვიტე.

– მიყვარს ის, რასაც ვაკეთებ. არ მიწყინოთ, მაგრამ პას-ტორისაც არ მჯერა. მე რომ მკითხოთ, ქრისტეს გარდა ვერაინ და ვერაფერი განახლდა ამ სამყაროში. არაამქვეყნიურად ვარ მასზე და იმ საუკუნის ამბებზე შეყვარებული... ახლა ის არ გყვავს, ამიტომაც სხვა რამეს დაგუწყეთ ადამიანებმა შეკედლება. დიახ, რეინკარნაციის მჯერა, დიდი შავი კატა ვიყავი.

– ქრისტე ჩვენშია, ხვრელები რომ გაავსო შენს გულში. თუ გწამს, არსად წავა, მთავარია, გჯეროდეს.

– იქნებ ამ ზარის წმენდის დროს, ერთხელ ისე მიმეკრა

ხელი, რომ სულ დავეყრუვდი. არ მესმის თქვენი, მაგრამ არა უშავს.

გუყურებდი, ვხვდებოდი, როგორ სუსტი და ღარიბი იყო მატერიალურად, მაგრამ მაინც რაც გააჩნდა, იმის მაღლიერი იყო. ჩვენ ხშირად ვწუწუნებთ იმაზე, რაც არ გვაქვს და რომ გკპონდეს, ყველაფერი შესანიშნავი იქნებოდა. მაღლიერებაც ერთი დიდი, ეკლიანი ვარდი ხდება, ეულად დარჩენილი და ვუვლით გარშემო, ვურტყამთ წრეებს აბლანდური ფეხებით. მერე ის ერთადერთი სურვილიც რომ გვისრულდება, სხვა გვინდება. მერე ეს სხვაც ხდება და არა, ასე არა, უფრო ვარდისფერ ფერში მინდაო – მიაძახებ შემოქმედს და დაიწყებ წუწუნს. რაზე წუწუნს? იმაზე, რომ ნატვრა აგიხდა, მაგრამ ფერებია სხვა, ასეთ ახდენას ჯობდა, სულ არ ამხდენოდაო, – იტყვი და ხელს ჩაიქნევ. ვინ იცის, ზოგი ფერის დანახვას ნატრობს ჩაბნელებულ ოთახში და სურვილის წარმოთქმისაც ეშინია.

მაღლობა, ბოდიშო, ეს რა სიტყვებია – იტყვი... მაგას ჯობია ცხვირი ავიბზუო, იქნებ ყურადღება მომაქციონ და უფრო დიდი, ლამაზად შეფუთული საჩუქარი დამიდონო. მერე შეფუთვა არ მოგეწონება, გახსნამდე სხვანაირად წარმოგედგინაო. ასეა თუ ისე, ადამიანი უმადურია და ამიტომაც არის უბედური. მე ჯერ მაღლიერი და ცუდად მყოფი არ მინახავს. ბედნიერ ადამიანსაც ამიტომ დაჰყვება განუყრელი მეგობრებით სიტყვები – მაღლობა, ბოდიშო, მაპატიე. ის ფერებს თვითონ ქმნის, შენი ვარდისფერი კი უბრალოდ დაწესებული, კონკრეტული ფერია, რომელიც უნდა იყოს და მორჩა!

შექმენი შენი ფერი და იყავი იმდენად მაღლიერი, რომ სხვის ვარდისფერ ყუთს შეფუთვა არ დაუწუნო. ცხოვრება საჩუქარია, რომელიც შენ თვითონ უნდა შეუქმნა საკუთარ თავს და არა სხვისი სიტყვებით – ეს ასეა კარგი.

გუყურებდი მათხოვარს და ვხვდებოდი, რომ გულში, ყოველ ნაბიჯზე იმეორებდა – „მიყვარხარ სამყარო; მიყვარხარ, ჩემო თავო; მიყვარხარ, მიწავ, რომელზეც დავდივარ, რადგან ვცხოვრობ, რადგან მაქვს იმედი მომავალი დღის“.

ჩემთვის ასეთი ადამიანები უფრო მისაბამები არიან, ჩამოძონძილ და სუნიან ქურთუკში მოსიარულეები, ვიდრე გაწკეპ-

იღ კოსტიუმებში მორბენალი ოთახის კაცები, რომლებსთვის მთავარია, აქეთ იყვნენ სხვები მათი მადლიერები.

– თუ ასეთი უცნაური ხარ და არ გჯერა ამ ჩვენი ღმერთის, რატომ უსაყვედურე შუახნის კაცს ეზოში?

– აკი ვთქვი, ბატონო, ქრისტე მიყვარს, მაგრამ ქრისტიანები – არა! თქვენმა ქალბატონმა აქ შეუხვია, მერე სადგურისკენ წავიდა. თუ არ ვცდები, მაღე გავა ის რეისი, რომელზეც ეჩქარებოდა.

– სადგურზე? არა, ელა!

– სანამ წახვიდოდეთ, იცოდეთ, ეგ გოგონა ეკლესიაში ხშირად დადიოდა, ქრისტე მასაც უყვარს. პასტორმა იცრუა, ელა ყოველთვის ეკლესიაში მოდიოდა, გრძელი ჩადრით, რომ არავის დაენახა.

– გმადლობ!

ვაგონი და ის ლანდები

ჩემ გარშემო ყველაფერი ბრუნავდა, მაგრამ ელას ლანდები ისევ ისე დინჯად მიცქერდნენ, ორი გრძელი, ბუმბულით საესე ფრთით. ერთი ლანდი ჩემთან ახლოს მოდიოდა, ყურში მისისინებდა – მარტოსული.

საკუთარი თავის გარდა ასე თუ გიმტრობს ვინმე, ადამიანო? მეგონა, ამ ერთ სიტყვაში ყველა ავისმსურველის ემოციას მოეყარა თავი და მტანჯველი სიტყვა ნელა და სათუთად აეკინძათ. სიზმარი ახდა! ეს უნდოდა ალბათ იმ დაუსრულებელ ჭირს, ჩემსა და ელას შორის ზაფხულის ქარივით რომ ქროდა. საკუთარ ლანდს გავეუბოდი, მაგრამ გიჟური დიალოგი ჩემს გონებაში ჩვეულად გაიმართა:

– ჟურნალისტო, ჩვენ ხომ ვიცით, რომ კარგად არ ვართ ხოლმე ადამიანები.

– მერე? ეშეშოდ დარჩენილ ბუხარს რა ხიბლი აქვს ან ყვაველების სურნელს თუ ვერ ვგრძნობ, ვერ განვიცდი, მათ სინაზეს და სილამაზეს რა აზრი აქვს? მეორე გაზაფხული გავა, რაც ელამ ჩემში დაისადგურა თავისი ჯადოსნური სურნელით. სულით ამადლებული ადამიანი თვალწინ მედგა, მე კი მხოლოდ კოჭებზე დავეყრებდი, შეცდომებს ვუთვლიდი. იქნებ ეს უკანასკნელი აღერსი უკანასკნელი ნახვამდის იყო და არა დაწყება მრავალი საღამის? ახლა გვიანია, ალბათ ძალიან გვიანიც კი.

– ჟურნალისტო, ამ სამყაროში მთავარია ვინმემ მოგისმინოს! ლაბირინთებში ნუ იკარგები. არ გახსოვს? ელაც ასე იყო. გულმაღვიწყი გახდი.

– თავს მახეზრებ, არ გინდა ეს გაცვეთილი სიტყვები. შენი მცდელობა დასაფასებელია, მაგრამ არ ღირს ტყუილად ვგალება, ამაოა ყველაფერი.

– პატარა რომ იყავი, ხუჭუჭა კაცი რომ ცხოვრობდა მეზობლად, გახსოვს?

– კი, ლოთი.

– ცოლიც მოუკვდა, დედ-მამაც და სახლიც ენგრეოდა, მაგრამ სახეზე ღიმილი არ შორდებოდა.

– ეგ ღიმილი მერედა რა მწარეა, შენ თუ იცი? არ იცი. ამ მბრუნავ დელამიწაზე სწორად თუ დგახარ, ეგეც ნაკლია, სჯობს ცუდად იყო ადამიანი. სიარულს დაიწყებ – რატომ დადიხარო, გიყვარს – რატომ გიყვარსო, ცოცხლობ და რატომ ცოცხლობო? ჩვენ ყველაფრის მიმართ გვაქვს კითხვები, გაცნეოთილად მიგდებულები, აი პასუხი კი არა!

გამწარებულ „მეს“ სიტყვა შეაშრა. აწვებოდა ლურსმანივით ჩემი სიმართლე, მე კი ყველაზე დიდი ჩაქუჩივით ვურტყამდი და ვურტყამდი. ისიც კარგად იცოდა, ცუდად რომ ვიყავი, მაშინ უფრო ბედნიერად ვგრძნობდი თავს. მისი ერთი ღრმა, სევდანარევი ამოხვრა დამამახსოვრდა. მერე კი თავი გუნდს ჩამორჩენილი ჩიტით დამადლო.

ოფლი ცივად მაშრებოდა ლოყებზე. მჯეროდა, ეს ყველაფერი მთლიანად წარსულად გადაიქცეოდა, რომელიც უბრალოდ არ გაგრძელდა, მოკვდა დასაწყისშივე. დიას, თითქმის ასეც მჯეროდა, ცუდ ხუმრობას მიწაზე ფეხით ჭიანჭველასავით მთელი ძალით ვჭყლეტდი.

იქნებ ჯობია, აღარ ვიყო მებრძოლი და თავხედ მემპრტიანედ ვიქცე, რომელსაც ნახშირით აქვს მიხატული ნანახი ბრძოლა? იქნებ ჯობია, დავბრუნდე წინა დამის სურნელით გაჟღენთილ ოთახში და ის ჩემს ბედზე წამოღებულები ღიქიორი გადავკრა? თუ ვუყვარვარ, მოვა. არა?

ჰო ასე იციან, იტყვიან ხოლმე და მერე ელოდებიან, ელოდებიან... ლოდინიც მთავრდება და სინანულს ჩააკედებიან ხოლმე ხელში.

ზის ალბათ ასე ჩემი „მე“ და იცინის, რომ არ ვირწმუნე მისი, რომ სადაცაა წავალ, მივბრუნდები და დავაყოლებ – ტყუილი ყოფილა.

ვიდექი ცეცხლმოკიდებული სანთელივით, მეღვენთებოდა ზედ ჩემივე ტანი, თრთოდა, კვამლს ხვეულად უშვებდა ჰაერში. ვიდექი ასე, მოხუც ხესავით მიტოვებული, დაგრძელებული ფესვებით. ღრმად მწამდა, რომ ჩემი ადამიანად საქცევად საკმარისი იყო ამდენ ხანს მომყოლი ეს ლამაზმანი ფესვები.

მგონი გავეგიჟდი, კი, ნამდვილად! ამათმაც დაიწყეს ჩემთან მოკრძალებული საუბარი. ის ყველაზე გრძელი, შავ დღეებში უფრო რომ გრძელდებოდა, მიყვიროდა, „ამად ვღირდი“-ო? ჰა-

პა-პა, ამ უმადურს უნდოდა გაგვიდებოდი იმ წითურს?

– არ გავყვები!

– ამისთვის გამზარდე? სირცხვილია, ჩემს სიბერეს ვფიცავ, დამტკნარი ყვაილი ჯობდა ვყოფილიყავი.

– ჩაიგდე ენა!

– ახლა თურმე წითური გამხდარა შენი სამუდამო სიყვარული? შენც სხვებს დაემსგავსე. დასანანია, მათხოვარიც რომ ამადლებულად შესცქერის განვლილ გზას, თუნდაც ის მისთვის კატის თვალში აღბეჭდილიყო. ერთი უბადრუკი და გახუნებული, მოგლეჯილი ფურცელი ყოფილხარ, რომელზეც მელანსაც არ გავსვრიდი. ასეა, დიახაც, ღირსია შენნაირი უტვინო, საკუთარმა ფესვმა დაღალოს ლანძღვით.

– ჩაიგდე ენა, ჩაიგდე! ელა მიყვარს. ეს უბრალოდ უგუნური ძრახვებია. „უღალი“ ეს სიტყვა, ღმერთო, ამდენი ხანი ეკალივით მედებოდა.

– არა, ფურცელადაც არ გამოდგებოდი!

– ახია ჩემზე, ამაოა ყველაფერი, ამაო!

თავზე ხელები საგიჟეთიდან გამოვარდნილი პაციენტისვით მივიჭირე. ხელები სწრაფად მოვიშორე, ცაზე მწკრივად მფრინავ ჩიტებს დაწითლებული თვალებით ავხედე. წამი გაჩერდა.

ცას ხაზებად მიჰყვებოდა ღია იასამნისფერი. მანდარინისფრად გადაჰკვროდა მზის სითბო მოგრძო ღრუბლებს. დინჯად ჰყვებოდა მცენარეთა ფოთლები ნიავის ფერებას. რა დიდებული იყო ყველაფერი, რა მშვენიერი.

ამაოა ყველაფერი, ჟურნალისტო? შეხედე მოოქროვილ ბუნებას, სიმდიდრითა და სიღარიბით საცხეს. ორივეს ღვთიურად რომ იფერებს და არც ჯავრობს. ადამიანი ამ ცის ქვეშ იღვიძებს, ქურდობს, უყვარს, კლავს, ზრუნავს, ცა კი ისევ ასეთი ლამაზი რჩება, ჩვენი ცუდისა თუ კარგის მიუხედავად.

მადლობა, ღრუბლებო! მადლობა, ხეებო, ჩიტებო, ამ უმადურ მარტოსულს ასეთ ბედნიერებაში რომ უწევს ცხოვრება. ამაოა ყველაფერი? არა, ყველაფერი საოცარია, როცა აფასებ და უფრო საოცარი, როცა მას თვითონ ქმნი. ჩემს თვალებზე ნახად ირეკლებოდა იასამნისფერი და მანდარინისფერი სიმა-

როლე, რომელსაც ელას წმინდა გულამდე მიყავდი.

აზიისკენ დაძრულ მაკედონელს ვგავდი, ჩემი სახე რუდიარად მესახებოდა. ნოსტრადამუსის უკანასკნელი ხილვის ტყუპისცალი ვიყავი, რომელიც გადაშლოდა მომავლის ველს. ოთხმოცდაცამეტი წლის ბრძენ მეფეს ვგავდი, არაბულ ცხენზე ამხედრებულს, რომელსაც გული კვლავ ძველი მებრძოლივით უცემდა. და მაინც, შექსპირის რომეო გახლდით, ყველაზე ლამაზად რომ ეჩვენებოდა აკრძალული ხილი. ერთი ის წაეიწურაწურე – სადგურისკენ წავალ! ფეხებს ჩვეული ძალა მივეცი.

იქნებ მე მართლაც ვითომ ბრძენი მეზღაპრე ვარ და ელა, როგორც ქალთა სიძლიერის სიმბოლო, ყველაზე სათუთად მოქსოვილი სიმართლეა?

სადგურს რომ მიუახლოვდი, ნაცრისფერი ფერი დრუბლიანი ამინდივით დამთამაშებდა ბიბილოებზე.

აი ისიც – სადგური. მეჩვენებოდა, თითქოს გარდაცვლილი ვიყავი და ჩემი ორმოციც დასრულებული იყო. ახლა კი ამ სადგურის კიბეებზე უნდა შემედგა ფეხი, რათა წავსულიყავი ჩემ მიერ წარმოსახულ სამსჯავროზე, სადაც ჩემი ცოდვების ცუდს კარგი თვალით დავინახავდი.

მწვანე ვაგონები ლამაზად გამუქებულიყვნენ და იმ ყველაზე ღია და სათნო ფერის დანახვაში, რომელსაც ელა ერქვა, გამაღებით მესმარებოდნენ. პირველ ვაგონთან ღიმილნარევი სახით მოხუცი ქალი შემომეჩეხა, თვალებით ვიდაცას ელოდა. ზღაპრის ფერიას ჰგავდა, სათნო, გულწრფელი ღიმილით რომ ასრულებენ შენს სურვილებს ერთი შემოძახილით – „ბიბიდი-ბაბიდი-ბუ!“ დარწმუნებული ვიყავი, დიდი დარდი ჰქონდა ლოდად მის გულს. თვალს აწვრილებდა, ვაგონიდან ჩამოსულ ხალხს, თითქოსდა ჭეშმარიტების დანახვა უნდაო, მთელი ყურადღებით აკვირდებოდა. მოხუცის შემხედვარე, მზიანი ამინდი ნისლიანი და დაბინდული წარმოვიდგინე. ასეთ ამინდში, როდესაც თვალი იწყებს დაწვრილებას ჭეშმარიტების დასანახად, მაშინ მოდის ის ნანატრი ბედნიერება და არა ისედაც ხილულ, მზიან ამინდში.

წარმოვიდგინე ელას სიბერე. ნუთუ ისიც ასეთი გულწრფელი ღიმილით დაიწყებდა სიმართლის ძიებას ყველა ქუჩასა

თუ ადამიანში? არა, მე აუცილებლად უნდა მეპოვა ელა, მისი ხელები ობოლი ბავშვივით ჩემს ხელებში მომექცია და მეთქვა – „ჩვენ ერთად შემოვუძახებთ ცხოვრებას „ბიბიდი-ბიბიდი-ბუს!“

სასაცილოდ ჟღერს, არა? რას არ აფიქრებინებს შეყვარებული კაცს ეს სიყვარული!

მოხეტიალე სურნელი ვიგრძენი ცხვირთან, მესამე ვაგონთან მიახლოების დროს დავინახე მუქ მწვანე ფერზე როგორ კაშკაშებდა ელას სტაფილოსფერი, აბურდული თმა. ფრჩხილებზე მოშავებული ჭუჭყი მრგვალად ერტყა, თმაში თითებს ჰყოფდა და შემდეგ ახვევდა. ელას ეს ჩვევა აქამდე არც შემიძინევია. მისმა ყველა ნაწილმა რაც იცოდა, მეც ვიცოდი. ვიცოდი, უნდოდა წასვლა, მაგრამ პატარა, დახვეულ სინანულსაც ელოდა გასწორება. დიახ, ვიცოდი, სწორედ ამ სინანულს უნდოდა ჩემთან დარჩენა ჭირშიც და ღხინშიც. დაუფიქრებლად ავეკარი ვაგონს, ქვემოდან ვაყურადებდი მის სიჩუმეს. მინდოდა რაიმეს გაგონება, რაც გამაბედვინებდა ამ ბინძურ ბრბოში მის განერებას. გამცილებელს ალბათ ქურდი ვეგონე, რადგან მაშინ აშკარად მეკვროდა სახეზე დამალვის სურვილი.

– ეი, თქვენ, ვაგონში აპარვა გსურთ? მოშორდით აქაურობას!

– ჩუმად, გთხოვთ, არასწორედ გაიგეთ. გთხოვთ, ჩუმად! – ხელებით განუმებას ვთხოვდი. ალბათ, რომ შემძლებდა, ამ ხელებითვე მოგვუდავდი ჩემთვის ჩანაფიქრი რომ არ დაერღვია.

– მოშორდით ვაგონს, ბატონო, ახლავე! გეუბნებით, რას ცდილობთ?! წაიყვანეთ ეს კაცი აქედან!

– არა, არა, ნუ გგონიათ, რომ რაიმე არაკანონიერს ვაკეთებ. ზემოთ, ვაგონში გოგონას ვეძებ. აი, იქ ზის, არაფერი სხვა, მისი გაცილება მინდოდა.

– აქ არავინ ზის.

ავიხედე. მართლაც, იქ ელა აღარ იჯდა. შესასვლელთან ჩამოსულიყო და გაკვირვებული მიყურებდა, ვაგონიდან სანახევროდ გამოსული.

– აქ აღარ დაგინახოთ!

– კარგი, ნუ ჯავრობთ, დაწყნარდით! – კვლავ ხელებით ცდილობდი გაჩუმებას.

ელა ვაგონიდან ჩამოვიდა, მომიახლოვდა და თან გაკვირვებას ვერ მალავდა. პირიქით, უფრო და უფრო ესახებოდა სახეზე მრავალი კითხვა.

– შენ... აქ?

– კი, მე აქ და შენ მანდ. როგორ შეგეძლო ასე წასვლა?!

– მე მგონია, რომ ასე უკეთესია, ასე ჯობია და ამაში თითოეული ჩვენგანი დარწმუნდება.

– არ მჯერა. იცი, მეცინება კიდევ, რატომ უკეთებ შენს თავს ამას? ა, არა, უი, ადვილია მიხვედრა, შენ გგონია შენი დარჩენით მე ჯოჯოხეთს მომიწყობდი და ხედავ, რა გამოვიდა? პირიქით, შენი წასვლით მაგდებ პირდაპირ ცეცხლში. – ორივე ხელი მკლავებზე ძლიერად მოვუჭირე, თვალებში სასოწარკვეთილი ცხოველით ვუყურებდი, რომელსაც უნდოდა მონადირე ნადირობის სისასტიკეში დაერწმუნებინა.

– არ წახვიდე!

ჩვენი შეხვედრა მიქელანჯელოს ნამუშევარს მაგონებდა, „ადამის შექმნას“. ჩვენი გულები მთელი ძალით ცდილობდნენ ერთმანეთთან მიწვდენას, როგორც შემოქმედი ლამობდა ფრესკაზე ადამის მოხრილ თითთან შეხებას. ელა, როგორც ადამი, თავის გადაწყვეტილებაში თავისუფალია, მისი არჩევანი მის ხელშია. ეს იქნება მარადიულად მიქელანჯელოს ფრესკა, რომელიც მუდმივად აჩვენებს შემოქმედის – როგორც ჩემი და ადამის – როგორც ელას ერთმანეთთან მიუწვდომლობას.

შეეხება ელას გული საბოლოოდ ჩემს გულს?

– მტანჯველი დილა მქონდა, ელა, ძალიან დავიტანჯე. მიყვარხარ-მეთქი, რომ გითხრა ასჯერ, ეგეც არ მომბეზრდება, მაგრამ „არ წახვიდე“-ს მე ვერ გეტყვი ასჯერ, არ მინდა რაიმე დაგაძალო.

„გაგუშვა? არა, ჟურნალისტო, მოიმწვდიე მკლავებში და დაუწყე შუბლზე კოცნა. წაუკითხე ძილის წინ ის ზღაპრები,

რასაც დედა ვერ უბედავდა ელას ცეცხლისფერ თმას. დაუწყე მის თვალებს უსასრულო კმაყოფილებით ყურება, როცა დილით შენ გვერდით გაიღვიძებს და შეუნარჩუნე ბავშვური სილალე შენი მყარი რქების მიუხედავად. მიდი, ჟურნალისტო, ჰა-ჰა, გაუშვებ შენს ერთადერთ სიყვარულს? კაი რა, ნუთუ ამას როდისმე ინანებ? გადადგი მიწაზე მშობარა ბავშვივით მიწებებული ტერფები. გაიქეცი, ჟურნალისტო, გაშალე უხილავი ფრთები!

ელას ცალი ფრთა ჩემზე მოწებებულიყო. მიმეცა იგი ელასთვის თუ გამეშვა სამუდამოდ ერთი ფრთით?

– უნდა წავიდე, აქ ვერ ვიქნები. აქ... აქ სუნთქვა მეკერის, გესმის?

– ელა, ჩვენი სიყვარულის სიძლიერეც მსხვერპლის ფასად იწონება. მე, შენ, ჩვენი უხილავი ძაფი, უბედურება, რაც გავიარეთ, ღირდა სიყვარულის ფასად. ირწმუნე, ელა, ამის!

ელას თვალებიდან ცრემლები წვიმის წვეთებით ნელა და ხილულად ვარდებოდა. ვერ ახერხებდა თავისი ვნების დამალვას, უნდოდა ძალიან სწრაფად ეთქვა, რომ ამოა ყველაფერი, მე შენთვის, შენ კი ჩემთვის! – მაგრამ გაურკვევლობა და შიში დაჰკიდებოდა წამწამებზე.

– მომხედე, მოიწმინდე ცრემლები! მთლიანად ეს ყველაფერი ცხოვრებისეულია, ჩვენ არავინ ვართ ყველასთან და ყველაც არავინ უნდა იყოს ჩვენთან. ჩემთვის მაინც უცნობია შენი განწყობა, სწორედ ეს მაწუხებს, მღრღნის.

– ცუდად ვარ, გესმის? ასე ძლიერად რომ მიყვარხარ, იმიტომაც მივდივარ! არა, არ გესმის, არავის ესმის ჩემი. – თავს გიჟურად იქნევდა, ცრემლი მის თვალებს შეუშრობლად სდიოდა.

– მატარებელი ხუთ წუთში გადის! ქალბატონო, მგზავრი ხართ? აბრძანდით თუ შეიძლება და თქვენი ადგილი დაიკავეთ.

რომ ეკითხათ, ჩემთვის ყველაზე საყვარელი სურნელი რომელია, ვეტყვოდი ახლად დაბეჭდილი გაზეთის და ელას თმის სურნელი-მეთქი. რომელ სურნელს ვერ იტანო, რომ ეკითხათ, ადრე ვერ გიპასუხებდით. ახლა კი ნამდვილად

ვიცი – განშორების სურნელია საშინელი, მზარავს და მბურბულავს ტანში, თითქოს ციმბირულ თავგადასავალში ვიყო.

– ტკივილს მე გაყენებ. იმედია ჩემ გამო სხვა რაღაცებში არ შეგეშლება ხელი. მჯერა, ბევრს მიაღწევ. ის უხილავი ძაფი, რომელიც ჩვენ შორის არის, აუცილებლად მაგრძნობინებს, როგორ იქნები. ყოველ შემთხვევაში, ამის მწამს. მაპატიე, რომ ასე ცუდად ვიქცევი, ასე გახვევ ყველაფერს. გთხოვ, რომ აქ იყო, ამ ჯოჯოხეთში, ამას დაუფიქრებლად გაძალებ. ვხედები, რომ არასწორად ვიქცევი და ამას ვინანებ. ალბათ არც უნდა გიშვებდე. ასე უფრო გტანჯავ. დროებით, ელა!

სწრაფად მოვბრუნდი, ცრემლები უაზროდ მდიოდა. მტკიოდა და მეწვოდა ყველაფერი, ყელში გაჩხერილი ბურთი ზემოთ-ქვემოთ აუჩქარებლად მოძრაობდა. ფეხებს ვდგამდი, მაგრამ წინ ვერ მივდიოდი. უკან მივიხედე, ელა უკვე ვაგონში შესულიყო. როგორი მარტივია მისთვის, როგორ ადვილად მიმატოვა... ჩვენი ალერსის მომსწრე ხომ არც არავინ ყოფილა, მე რომ დამვიწყებოდა ეს ყველაფერი, ნუთუ ვინმე გაგვიხსენებდა, არც ეს აღარ გაგვანხნდა. დმერთი ხომ ხედავდა? თავისი არსებით ამქვეყნიურობასთან ახლოსაა, არა? იქნებ წლების მერე მაინც გამხადოს ღირსი, საკუთარ ფეხებს კვლავ თამამად გაუშმართო დიალოგი და ამაყად ვთქვა – მომხიბლავია სამყარო უსიყვარულოდ და შიშისმომგვრელია ყველაფერი, რასაც მოწყალება ჰქვია!

როგორ დავდიოდი, როგორ ვსუნთქავდი... ახ, ეს ბურთიც ისევ ასე მებჯინებოდა!

– ცუდად იქცევი! – შორიდან მოისმოდა ბგერები. – არ გესმის? ცუდად იქცევი, შეჩერდი!

გაეჩერდი.

ნელა მივიხედე. ელა ჩემოდნით ხელში ჩემ წინ იდგა.

– ძალიან ცუდად იქცევი. რატომ, რატომ არ შემიძლია შენი მიტოვება?! – ხელები მჭიდროდ წამავლო, თვალებში მომაშტერდა. – გიყვარვარ, ვიცი. ახლა კი დავრწმუნდი, შემზარავი დილა რომ არ ნიშნავს შემზარავ საღამოს. გულში მჭიდროდ ვიკრავდი მის ფერებს. ადამიანებს უნდა შეგვეძლოს ერთმანეთის დამარცხება!

ჟურნალისტის დღიური, მათ სახელში გადმოსვლის შემდეგ, სარდაფში აღმოვაჩინე. პატარა მაგიდის უჯრაში ყავისფერი ყლით, წვრილად დაწერილი დღიური ბავშვური თავგადასავლებით იწყებოდა, ნაწერიც რთულად გასარჩევი იყო, მერე კი მათი ისტორიით გრძელდებოდა. ერთ ღამის განმავლობაში წაგიკითხე. გარეთ გაუჩერებლად წვიმდა, მე კი იმ დღეს ვინო დუღცე ბოლომდე გამოვცალე.

ელა და ჟურნალისტი ღრმად მოხუცებულობაში მიიცივალნენ იმ სოფელში, მათ ასე ძლიერ რომ სძულდათ. ერთადერთი ჟღალი თმის ღერი კვიდა ბოლო იმედივით დაბერებულ ელას. ათეროსკლეროზმა ძლიერ გააწამა და მისი სიცოცხლეც ეზოში ძველ საქანელასთან დასრულდა.

გარდაცვლილი მისმა თანამეცხედრემ იპოვა, ორი წლის შემდეგ კი მანაც დაუწყო სიკვდილს ვედრება. ტვინის სიმსივნის მეორე სტადია ჰქონდა, წესით ჯერ არ უნდა მომკვდარიყო, მაგრამ დარდი უფრო მოედო მწვავედ მის სხეულს, როგორც დაავადება და ელას ცალ ფრთასთან მალევე დაიდო ბინა. არც შვილი, არც მეგობარი – არავინ იყო მათი ცხოვრების მოწმე, ამიტომ ბევრს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ყველამ კი დანამდვილებით იცოდა, როგორ ვერ პატიობდა ჩვენთვის ნაცნობი ჟურნალისტი ქალს ხალხისგან მიკრობილ ტალახს. იმასაც ხშირად ამბობდნენ, ელა ყოველ დილით ტკბილ მურაბებს აჭმევდა და სევდანარევი ღიმილით ნაზადაც კოცნიდა შუბლზეო, მაგრამ მათი დილაც ჟურნალისტის ერთი და იგივე სიტყვით იწყებოდა: „გახსოვს...?“ და პასუხიც მხოლოდ ერთი იყო „მაპატიე!“

ჩვენთვის ნაცნობ წივნის ქურდს თაროებზე სხვადასხვა ხილის მურაბები ეწყო, ქმრისთვის ამ მურაბების მირთმევის მიზანიც ტკბილი სიტყვის მიღება იყო, მაგრამ ფუჭი იმედები ფუჭ იმედებად რჩებოდა.

ქალზე რამდენი უბედურება დაწერილა, ბედნიერებაზე კი ცოტა, წივნებშიც კი მათი თავგადასავალი ხშირად სინანულითა და მწუხარებით მთავრდებოდა. ნაკლიანი ხარო, ეუბნებოდნენ და ქალიც იწყებდა სახეზე ხელების ფათურს, იქნებ ნაკლი მოვიშოროო. ვინ ასწავლა, შენს გონებაში ყვავილთა ბადი უნდა მორწყო და მოუაროო? ასე გადიოდა საუკუნეები, მხოლოდ ბალიშზე თავის დადებისას თუ იყვნენ თავისუ-

ფლები. ფიქრობდნენ და ფიქრობდნენ, საკუთარ ბიბლიებს წერდნენ აპოკალიფსებით და ამყობდნენ გამოგონილი გმირობებით. ყველა მათგანში ეძინა ცხრა მთას იქით, ცხენით გაქცეული ბერძოლის სულს და ოკეანეების დამპყრობელ მეზღვარს. თენდებოდა თუ არა, სახლის კუთხეებში აბლაბუდებთან ბრძოლა ხდებოდა მათთვის ერთადერთი თავგადასავალი. აუარებელი დარდი და უბედურება, სიკეთით ნათქვამი გამარჯობა და ცეცხლში დაწვა, ალერსით მირთმეული კერძი და ღალატი, შვილების აღზრდა და ათასი ფიქრი მათზე. და მაინც, საკუთარი თავის შენებით, საკუთარ შვილებს, სხვა ქალებს ანახეს მსხვერპლის ფასი. ანახეს და იამაყეს, გული დასწყყათ, მაგრამ კვლავ იამაყეს. გადასცეს ხალხს საკუთარი ოცნებები დამტვერილი განძივით. აი, ის ოცნებები, შებინდებისას რომ ეალერსებოდათ ნიკაპსა და თვალეებზე.

ერთ-ერთი მათგანი იყო ელაც, თავისი ცალი ფრთით, რომელსაც ვერა და ვერ ეპოვა მეორე ფრთა გასაფრენად. ეს ყველამ იცოდა, მაგრამ ამჩნევდა კი ვინმე, რა ცოდვებს ისრუტავდა ელას ჟღალი თმა დაჭადარაგებამდე? იმ ვაგონიდან თავისი ფეხით ჩამოსული მსხვერპლი იტანდა და ღრმად სწამდა, ღირსი იყო ამის.

ასეა, ჩვენ ზოგჯერ გვირჩევენია ვინმეს დავემონოთ, რათა დანაშაულის გრძნობა გაქრეს. რისთვის ითხოვდა ელა პატიებას სიბერებდე, ნუთუ იმას, რომ სოფელში ვერავის აუწყო ფეხი, ან ნუთუ იმას, რომ ბავშვობიდან დანაშაულის გრძნობა აუცილებელ ყოველდღიურობად გაუხადეს. დიახ, თვით საკუთარმა დედამაც კი. არ ვიცი, ვერ გეტყვით ამას, მაგრამ ის ზუსტად ვიცი, რომ ეს სიყვარული ნამდვილად არ იყო. აკრძალული ვაშლის ჭამას ემსგავსებოდა ცოლ-ქმრის ცხოვრება და ქუჩაში დაბადებული სიყვარულიც კუთხეში იკალათებდა ცოცხიანი გრძნეულივით. ვინ თქვა, რომ ამით ჟურნალისტი ბედნიერი იყო? უნდოდა, მთელი გულით სურდა ეპატიებინა ელასთვის ის, რაც სოფელმა უბოძა მას. ვინ იცის, იყო კი ეშმაკი ბედნიერი, როცა სცოდავდა? ალბათ იმ საბედისწეროდღეს, როცა ჟურნალისტი სარკეში თავის სახეს უყურებდა, საბოლოოდ სძლია ბოროტმა ხალხმა, იმ სიზმრებმა, იმ წამოძახილებმა, სოფლის გამგლელები რომ ახვედრებდნენ ყოველ ნაბიჯზე. სძლია ანგელოზის სახეს ეშმაკმა და მაინც ვაშლის

მოწყვეტის მიზეზი კვლავ ქალი გახდა, როგორც ყოველთვის.

სხვანაირი ობოლი გახლდათ ელა, ვერავინ იგებდა მისას, ვერავინ უცვლიდა დარდს და ალბათ ამიტომაც შესწირა თავი ლანდებით სავსე ცხოვრებას. სხვანაირი ობოლი იყო და ამიტომაც ხალხში უფრო ობოლი ხდებოდა. და მაინც, ჩემო მეგობრებო, ნამდვილი სიყვარული როგორია? იქნებ სხვადასხვა ბილიკებზე წასულთა ხვედრია, იქნებ ლეოს და სუსანასნაირი სიყვარული ლეგენდაა?

მე რომ მკითხოთ, ყველაზე მეტად სწორედ რომ მოხუცებულ ლეოს უყვარდა ელა – ცოდვებით, ფრთებით, უფრთოდ თუ ტალახით შემკული, მხოლოდ მას უყვარდა ასე ძლიერ ის ქლავი გოგონა, რადგან მასავით სხვანაირი ობოლი იყო ისიც.

